# კვირის პალიტრა

აღმოაჩინე ყოველი კვირა

პალიტრა მედია
WWW.KVIRISPALITRA.GE

№7 (1281) ◆ 11 - 17 თებერვალი, 2019 წ. ◆ ფასი 1,5 ლარი



„კვირის პალიტრის“
ამ ნომერთან ერთად!

კლასიკოსები ბავშვებისთვის

ჯეკ ლონდონი
„თავგადასავალი საჰაერო ოკეანეში“

წიგნი 3



სპეციალური ფასი 13⁵⁰ ლ
გაზეთთან ერთად 15ლ

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის
იკითხეთ პრესის გამავრცელებლებთან


## ფარული კადრების ამტვირთავს საკუთარი ძმა ამხელს!!!





**FACEBOOKფსევდონიმი: Buba Lomtatidze**
**ნამდვილი გვარ-სახელი: დიმიტრი ანდრეევი**

რომა ანდრეევი: „ჩემზე მეტად ჩემს ძმაზე არავის შესტკივა გული, მაგრამ დამნაშავეს ხელს ვერ დავაფარებ. ტელევიზიით რომ ლაპარაკობდა, გაოგნებული დავრჩი. როგორ შეიძლება, კაცმა ასეთი რამ მოიგონო? ის ფანტაზიორია, ტყუილების გუდა. ჯერ მთელი ოჯახი ვალებში ჩაძირა და გააუბედურა და ახლა ისევ ტყუილებით აგრძელებს ცხოვრებას“

**„დარწმუნებული ვარ, ჩემს ძმას ვიღაც იყენებს, მის ზურგს უკან ვიღაც დგას. მას ვიღაც ალაპარაკებს... დანამდვილებით გეტყვით, რომ მის ფეისბუკგვერდზე გამოქვეყნებული ტექსტი მისი დაწერილი არ არის“**

**„ალბათ, რამეს შეჰპირდნენ და აქვს იმედი, რომ ციხიდან დაიხსნიან...“**

გვ.4


სუპერკუპონი!
ამოჭერი, შეაგროვე, ააწყვე!
დაზოგე 21 ლარი

და მიიღე საოცნებო ფასდაკლება „ბიბლუსის“ წიგნის მაღაზიებში!
ააწყვე წიგნის 4 ნაწილად დაშლილი ყდა




„პრინცესების უზარმაზარი პაზლი და წიგნი“
„მეკობრის უზარმაზარი პაზლი და წიგნი“

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის!




## შეიძლებოდა თუ არა რუსთავში მომხდარი შემზარავი მკვლელობის თავიდან აცილება?!

ბიძის მიერ მოკლული 13 წლის ბიჭის ნათესავების ინფორმაციით, ტრაგედიის წინა დღეს მკვლელობაში ბრალდებული ფსიქიატრიულში არ დაიტოვეს, ნარკოლოგიურში კი 3.000 ლარი მოსთხოვეს

გვ. 3

## არის თუ არა კრიმინოგენული ვითარება საგანგაშო?!

შს მინისტრის მოადგილის პასუხი კითხვებზე: რა კატეგორიის კრიმინალმა მოიმატა, დგანან თუ არა ორგანიზებული ჯგუფები არასრულწლოვანთა დანაშაულის უკან, რას იკვლევს გენინსპექცია 4 წლის ბავშვის დაღუპვასთან დაკავშირებით და როგორ გააკონტროლებს პოლიცია ციხიდან გამოსულ პედოფილებს

გვ. 5

## „ჯანი ვერსაჩე ჯორჯიანას მეძახდა“



„პოლიტიკოსებიდან ყველაზე გემოვნებით კახა კალაძე იცვამს, ქალებში — ნინო ბურჯანაძე. ამ მხრივ განვითარდა ეკა ბესელიაც — ყოველთვის ელეგანტურად აცვია“

გვ.24

**რამაზ საყვარელიძე: „თუ ემიგრანტები საჰაკაშვილს გამოჰყვებიან, ისინი საქართველოში მცხოვრებ თანამემამულეებს დაუპირისპირდებიან“**

გვ. 2,3

**„წულუკიანი ცდილობს, გაექცეს პასუხისმგებლობას...“**



„ჯერ კიდევ შარშან ვამბობდით, რომ წულუკიანი უნდა წასულიყო, მაგრამ...“

გვ. 7

## ოტია იოსელიანი უმცროსი: „ბაბუს ბოლო სიტყვები იყო, არ ყოფილა ისე, როგორც ტოლსტოი წერდაო...“

გვ.11

## რა ხდება — გაიგე სხვაგან... რატომ ხდება — წაიკითხე აქ!

კვირის თემა

# „ივანიშვილის მთავარი შეცდომა ის არის, რომ პოლიტიკაში

*5 თებერვალს პარლამენტის საგაზაფხულო სესია გაიხსნა. 2012 წლის შემდეგ პირველად პარლამენტის პლენარული სხდომა თბილისში გაიმართა, რითაც პარლამენტმა დედაქალაქში საქმიანობა სრულად განაახლა.*

*როგორც მოსალოდნელი იყო, ხმაურიანი იყო პირველი სასესიო კვირა. საზოგადოების ყურადღება კვლავაც მიიპყრო „ქართულ ოცნებაში“ მიმდინარე პროცესებმა და უვადო მოსამართლეების დანიშვნასთან დაკავშირებულმა ვნებათაღელვამ. საკანონმდებლო ორგანოში დარეგისტრირდა კანონპროექტი, რომელსაც ხელს ჯერ კიდევ უმრავლესობის დეპუტატები გედევან ფოფხაძე, ალექსანდრე ერქვანია, ზვიად კვაჭანტირაძე, კობა ნარჩემაშვილი, ლევან კობერიძე, დავით ჭიჭინაძე, ოთარ ჩრდილელი, ეკა ბესელია და ლევან გოგიჩაიშვილი აწერენ და რომელიც პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებში მოსამართლეთა უვადოდ გამწესების პროცესის შეჩერებას გულისხმობს. გაიზიარებს თუ არა „ქართული ოცნების“ უმრავლესობა ამ ინიციატივას, უცნობია. ხმაური მოჰყვა საკანონმდებლო ორგანოში განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის, მიხეილ ბატიაშვილის სტუმრობასაც. საგანმანათლებლო სფეროს რეფორმირების საკითხები მძაფრი პოლიტიკური დაპირისპირების საგნად იქცა. გათვლილია და მოიტანს თუ არა ეფექტიან შედეგს ბატიაშვილის დაანონსებული ცვლილებები? — ამ საკითხებზე საუბრით დავიწყეთ გასული კვირის საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების შეფასება ექსპერტ რამაზ საყვარელიძესთან:*





**„ბიძინა ივანიშვილისადმი საზოგადოების ნდობის გაქრობა იქნება დიდი პრობლემა არა მხოლოდ „ქართული ოცნების“, არამედ ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისთვისაც. ასეთ შემთხვევაში გაჩნდება ქაოსის დიდი საფრთხე“**

— ამ დღეებში არაერთხელ ახსენეს განათლების ე.წ. ვაშლების რეფორმა, გაიხსენეს განათლების სხვა მინისტრების დაანონსებული ცვლილებებიც, რომლებიც ანონსად დარჩა... მოკლედ, ამ სისტემაში თითქოს იყო რეფორმირების სურვილი, თუმცა წლებია, არსებითად ვერაფერი შეიცვალა. ყოველ ახალ მინისტრს ახალი იდეები ჰქონდა, ძველის ინიციატივებს კი ივიწყებდა... იმედი ვიქონიოთ, რომ ამჯერად ასე არ იქნება. მიხეილ ბატიაშვილი აქტიურად შეუდგა საქმიანობას. სრულად გააზრებულია თუ არა ეს ინიციატივები, ამაზე ლაპარაკი ნაადრევია, რადგან აშკარაა, რომ რეფორმის პროექტი ჯერ იქმნება. როგორც მივხვდი, პარლამენტში მისვლა მიხეილ ბატიაშვილის ინიციატივა იყო, რაც მიანიშნებს, რომ ის ჯერ კიდევ ეძებს რეფორმის მიმართულების სტიმულებს და პარლამენტარებთან დიალოგიც ამიტომ სურდა.

ერთ-ერთი პირველი, რაც მან გააკეთა, იყო ის, რომ ადამიანებს, რომლებიც გაშინაურებული იყვნენ სისტემასთან, თანამდებობები დაატოვებინა. ეს იყო გაბედული ნაბიჯი, რომლითაც გამოჩნდა, რომ მას მართლაც სურს ცვლილებები და სჭირდება ახალი ხალხი და ახალი იდეები. ამისთვის გახსნა ყველა კარი, ხმამაღლა განაცხადა, რას აპირებს და ისიც თქვა, რომ თანამშრომლობისთვის მზად არის.

ჯერჯერობით ზუსტად მხოლოდ ის ვიცით, რომ გადაწყვეტილია მე-11 და მე-12 კლასებში გამოცდების გაუქმება და სავალდებულო აღარ იქნება უნარ-ჩვევების გამოცდა. ესეც ძალიან გაბედული ნაბიჯია. საქმე ის არის, რომ ჩვენი საზოგადოება შეჩვეულია მოდელს, რომლის მიხედვით გამოცდა გამოცხადებულია ცოდნის გარანტად. უარყოფითი რეაქციაც, ძირითადად, ამან გამოიწვია, თუმცა ბევრ ქვეყანაში სასწავლო პროცესი ფასდება წლების განმავლობაში, ამის შედეგი კი არის ფინალური შეფასება, რომლითაც მიდის ახალგაზრდა უმაღლეს სასწავლებელში, ანუ შეფასება არის უწყვეტი პროცესი... როგორც ბატიაშვილმა თქვა, მოსწავლე და მშობელი მხოლოდ რამდენიმე გამოცდაზე არ უნდა იყვნენ ორიენტირებული...

მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ გამოცდა შეიძლება გაუქმდეს, მაგრამ უნდა არსებობდეს ცოდნის შეფასების ეფექტიანი სისტემა. ასეთი ინიციატივა სწორი მიდგომაა, მაგრამ როგორ განხორციელდება, როგორ გახდება სასკოლო პროცესი საინტერესო, ეს არის უმთავრესი...

ბატიაშვილი ჩემი ნასტუდენტარია, კარგა ხანია, ვიცნობ, ძალიან ინტერესიანი და მოტივირებული იყო ყოველთვის. მან შესანიშნავი უნივერსიტეტი შექმნა. შეეძლო მშვიდად მჯდარიყო და თავისი კარგი საქმის შედეგი ენახა, თუმცა ის დათანხმდა მინისტრობას, რაც, ჩემი აზრით, მისთვის დიდი გამოწვევა და აზარტია, თვითონ არის დაინტერესებული, შეძლებს თუ არა ეფექტიანად ამხელა სისტემის მოვლას. როდესაც ადამიანი პროფესიული აზარტით მოქმედებს, ის რისკსაც სწევს, თუმცა ამ რისკისას პატიოსანია...

**— განათლების სისტემა ისეთი მნიშვნელოვანი სფეროა, ჯანსაღ საზოგადოებაში მას პოლიტიკური დაპირისპირების საგნად არ უნდა იყენებდნენ, თუმცა...**

— სიმართლე გითხრათ, პარლამენტში მინისტრის სტუმრობისას არ ველოდი, რომ ასეთი პოლიტიკური ხმაური იქნებოდა. რაღა დაგიმალოთ და, ძლიერ პოლიტიკურ ქარიშხალს არც საპრეზიდენტო არჩევნებისას ველოდი, მაგრამ ვინ გვაცადა მშვიდი არჩევნები... სამწუხაროდ, „ნაციონალური მოძრაობა“ ყველა თემას იყენებს ხელისუფლებისთვის დარტყმის მისაყენებლად და ეს დარტყმა ქვეყანასაც რომ მოხვდეს, ეს ამ პოლიტიკური ძალისთვის ბარიერი არ არის. შეიძლება ითქვას, „ნაციონალებს“ ბოლშევიკების ფორმულაც კი ამოძრავებთ: „რაც უარესი, მით უკეთესი“... მათ რევოლუცია სჭირდებოდათ, რევოლუციას კი ქვეყნის მოშლა სჭირდება...

ეროვნული გამოცდების სისტემამ მართლაც აღმოფხვრა კორუფცია, მაგრამ გაჩერება მხოლოდ იმაზე, რასაც მიაღწიეს, არ შეიძლებოდა. საგანი სულ რომ არ მოსწონდეს და არც არაფრისთვის გამოიყენოს, ბავშვისთვის მისი სწავლაც უმნიშვნელოვანესია, რადგან ამით დასწავლის უნარ-ჩვევებს იმუშავებს. სკოლის მოწაფე უნდა შეეჩვიოს აკადემიური ცოდნის ფარგლებში აზროვნებას.

სამწუხაროდ, ჩვენთან ახალგაზრდების ნაწილი სწორად აზროვნებას არის გადაჩვეული. ეს მნიშვნელოვანწილად შეფასების სისტემის გაღარიბების შედეგია... მე არაფერი მაქვს ზოგადი უნარების გამოცდის საწინააღმდეგო, მაგრამ არ შეიძლებოდა მთელი შეფასებითი სისტემის ამ ტესტებზე აგება. აი, ეს იყო შეცდომა.

ბატიაშვილი პარლამენტში სათანამშრომლოდ მივიდა, თუმცა იქ გამართული პოლიტიკური ბრძოლის გამო აშკარად გაცხარდა. ყველამ უნდა გაითვალისწინოს ერთი რამ — პოლიტიკური ბრძოლის გარდა ხანდახან პარლამენტში მუშაობაც არის საჭირო.

**— ხმაური არ წყდება სასამართლო სისტემის გარშემო. საინტერესოა, რომ ამ საკითხზე „ქართულმა ოცნებამ“ სპეციალური განცხადება გაავრცელა, რომელშიც ნათქვამია, რომ სასამართლო სისტემას მიზანმიმართულად უტევენ. „არ დავუშვებთ სასამართლოს უსამართლო, უკანონო და აბსოლუტურად მიუღებელ დისკრედიტაციას“, — ვკითხულობთ განცხადებაში, რომელშიც აშკარად მიანიშნებენ, რომ ამ „მიზანმიმართული თავდასხმის უკან“ „ნაციონალური მოძრაობა“ დგას. ამან გააღიზიანა ის ე.წ. ძველი გვარდია, რომელიც თავის დროზე „ქართული ოცნების“ ბრძოლის ავანგარდში იყო, დღეს კი მოსამართლეების წინააღმდეგ გამოდის...**

— ის, რომ „ქართული ოცნება“ ჰარაკირისკენ არის მიდრეკილი, აქამდეც არაერთხელ დავინახეთ, თუმცა მოსამართლეებთან დაკავშირებით მართლაც ყველაფერი მკაფიოდ გამოჩნდა. მათთვის ეს პოზიცია განსაკუთრებით წამგებიანია, მით უფრო მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილს სულ ახლახან, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ, „ძველი გვარდიისთვის“ თითქმის

**ის, რომ „ქართული ოცნება“ ჰარაკირისკენ არის მიდრეკილი, აქამდეც არაერთხელ დავინახეთ, თუმცა მოსამართლეებთან დაკავშირებით მართლაც ყველაფერი მკაფიოდ გამოჩნდა**

კვირიდან კვირამდე

## პარლამენტი საქმიანობას დედაქალაქში შეუდგა



5 თებერვალს პარლამენტის საგაზაფხულო სესია გაიხსნა. 2012 წლის შემდეგ პირველად პარლამენტის პლენარული სხდომა თბილისში გაიმართა, რითაც პარლამენტი ქუთაისიდან თბილისში საბოლოოდ გადმოვიდა. ახალი რეგლამენტის თანახმად, საგაზაფხულო სესიის პირველი პლენარული სხდომა პარლამენტის თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის მოხსენებით დაიწყო. მან დეპუტატებს პარლამენტის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიში და მომდევნო წლის სამოქმედო გეგმა წარუდგინა. საგაზაფხულო სესიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე პრეზიდენტის ყოველწლიური მოხსენების მოსმენა იქნება.

## ზურაბიშვილი ავღანეთში

პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში მიმდინარე საერთაშორისო მისიაში მონაწილე ქართველი მშვიდობისმყოფელები მოინახულა. მან ვიზიტისას ის ბაზები დაათვალიერა, სადაც საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო მოსამსახურეები არიან დისლოცირებული და ნატოს ეგიდით მიმდინარე მტკიცე მხარდაჭერის მისიას ასრულებენ. სალომე ზურაბიშვილმა თავდაცვის მინისტრ ლევან იზორიასა და თავდაცვის ძალების მეთაურ, გენერალ-მაიორ ვლადიმერ ჩაჩიბაიასთან ერთად ბაგრამის საავიაციო ბაზა დაათვალიერა და ქართველი მშვიდობისმყოფელების ამოცანებს გაეცნო, ჯარისკაცებთან სადილისას კი იქ შექმნილი მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მოისმინა. მან მშვიდობისმყოფელებს მსოფლიოს უსაფრთხოებაში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა და ბაგრამის სამხედრო საავიაციო ბაზაზე ავღანეთის საერთაშორისო მისიაში დაღუპული ქართველი სამხედრო მოსამსახურეების მემორიალი გვირგვინით შეამკო.

## „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს განცხადება

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ პოლიტსაბჭომ განცხადება გაავრცელა, რომელშიც ლაპარაკია სასამართლო სისტემის გაჯანსაღების კუთხით გატარებული რეფორმებისა და მიღწეული შედეგების შესახებ.

„ქართული ოცნება“ ყველა პოლიტიკურ ძალასა და საზოგადოებრივ გაერთიანებას მოუწოდებს, არ ჩაერთონ არაჯანსაღ პოლიტიკურ დაპირისპირებაში და ხელი შეუწყონ შედეგზე ორიენტირებულ დისკუსიას სასამართლო სისტემის გაჯანსაღების თაობაზე. მასში ნათქვამია, რომ სასამართლო სისტემას მიზანმიმართულად უტევენ. „არ დავუშვებთ სასამართლოს უსამართლო, უკანონო და აბსოლუტურად მიუღებელ დისკრედიტაციას,“ — ვკითხულობთ განცხადებაში.

## ბატიაშვილი პარლამენტში

„რეფორმა არ არის ერთ გვერდზე დაწერილი რეცეპტი. დღეს გვაქვს მრავალდაავადებიანი განათლების სისტემა, რომელსაც სჭირდება ბევრი კომპონენტის მიხედვით, სხვადასხვა დოზით, მიმართულებით სწორი გზის აღება. ჩემი ამოცანაა მივაღწიოთ ისეთ დოკუმენტს, რომელიც თავისუფალი იქნება პოლიტიკისგან და ორიენტირებული გრძელვადიან განვითარებაზე,“ — განაცხადა განათლების, მეცნიერებისა და სპორტის მინისტრმა მიხეილ ბატიაშვილმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე. მინისტრს პარლამენტში ორი დღის განმავლობაში უსმენდნენ. პროცესი დაძაბული პოლიტიკური დებატების ფონზე წარიმართა.

# გამოუცდელი ადამიანების რეკომენდაციებს აჰყვა“



ბოდიშის მოხდამ მოუწია. დღევანდელი განცხადებით „ქართული ოცნება“, ფაქტობრივად, სწორედ ამ ადამიანებს დაუპირისპირდა, არადა, წინ 2020 წლის არჩევნებია.

როცა ვინმეს ქცევის შეფასებას ვიწყებ, უპირველესად, ვიხილავ მის მოტივაციას, ვაანალიზებ, ვინ რას მოიგებს ამა თუ იმ ნაბიჯით. ვცდილობ, ამ პრინციპით შევაფასო „ქართული ოცნების“ ქმედებებიც, მაგრამ ჩემთვის მათი მოტივაცია გაუგებარია. არ ვიცი, რატომ იქცევა „ქართული ოცნება“ ასე...

ბრალდება, რომ მათ სურთ ე.წ. ხელის მოსამართლეები, ჩემთვის მაინცდამაინც დამაჯერებელი ვერ არის. სასამართლო სისტემაში ისეთი ვითარება იყო, სხვადასხვა ინსტანციაში მორჩილი მოსამართლეების პოვნას ამგვარი სიის წარმოდგენის გარეშეც მოახერხებდნენ. რა საჭირო იყო ასეთი ოდიოზური, დისკრედიტირებული ადამიანების უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებად წარდგენა, არ ვიცი.

რატომ არ ფიქრობს „ქართული ოცნება“, რომ მან შეიძლება ამ მოსამართლეების კეთილგანწყობა კი მოიპოვოს, მაგრამ ამ კეთილგანწყობის გამოყენების შანსი დაკარგოს, ანუ დაკარგოს უმთავრესი — ხალხის ნდობა და, შესაბამისად, დაკარგოს ძალაუფლებაც...

მრჩება შთაბეჭდილება, რომ ამ ხელისუფლებაში ხშირად არ იციან, რას სჩადიან. კანაფის კულტივაციის თემა გავიხსენოთ... განა ასეთი რთული იყო, ჯერ გაერკვიათ, როგორი განწყობაა ქვეყანაში, რას ფიქრობს ხალხი და ამგვარი ინიციატივა მერე გაეხმაურებინათ?!

ერთი ცხადია: ხელისუფლების პოლიტიკურად გამოუცდელი ჯგუფები, რომლებიც ხელისუფლებაში ბრძოლით კი არ მოვიდნენ, არამედ მათ ძალაუფლება ხონჩით მიართვეს, დღეს ვითარების მართვას ცდილობენ. რა გამოსდით, კი ვხედავთ... ამ განებივრებულმა ჯგუფებმა არ იციან პოლიტიკური ბრძოლის კანონები, ანუ ის, რომ ყველა ბრძოლას მომზადება, გათვლა და დაგეგმვა სჭირდება... დაახლოებით ასეთი პოზიცია აქვთ — „გვინდა და გავიტანთ“, რაც უკიდურესად არასწორია.

ივანიშვილის ძირითადი შეცდომა ის არის, რომ ამ პოლიტიკაში გამოუცდელი ადამიანების რეკომენდაციებს აჰყვა, რაც მისთვის შეიძლება წამგებიანი აღმოჩნდეს.

მოსამართლეები, რომლებიც ბოლო ხანს პოლიტიკოსებივით აქტიურობენ, თავს იმით იმართლებენ, რომ თურმე კანონი იყო ცუდი, რომ პროკურატურამ არასწორად წარადგინა ბრალი და ა.შ. მოსამართლეობისთვის მხოლოდ კანონი რომ იყოს საკმარისი, სულ არ იქნებოდა ადამიანი-მოსამართლე, დააპროგრამირებდნენ კომპიუტერს და ის იტყოდა, ვინ არის მართალი და ვინ — არა. მოსამართლე სწორედ იმიტომ არის საჭირო, რომ არა მხოლოდ კანონიერი, არამედ სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღოს. ისიც უნდა იცოდნენ, რომ კანონიერი და სამართლიანი ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს.

რაც შეეხება განცხადებას, რომ მოსამართლეები შეიცვალნენ და თუ უწინ ცუდ საქმეებს აკეთებდნენ, ახლა კარგს აკეთებენ... ამგვარი არგუმენტის მოხმობა ისეთი სამარცხვინოა, ამაზე ლაპარაკიც არ ღირს...

**— ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ გაუთავებლად გვესმოდა ლაპარაკი სასამართლო რეფორმის მიმდინარეობაზე, არადა, დღეს ამ სისტემაში ვითარება გაურკვეველია. რა დასკვნების საშუალებას იძლევა ეს პროცესი და ვინ არის პასუხისმგებელი ამ ყველაფერზე?**

— ამ სფეროს მაინცდამაინც კარგად არ ვიცნობ, ამიტომ გამიჭირდება შეფასება. ჩემი, როგორც მოქალაქის შთაბეჭდილებას გაგიზიარებთ... ვინაიდან სასამართლო რეფორმის მიმდინარეობაზე სულ კეთდებოდა განცხადებები, თუმცა ამის შემდეგ სისტემაში კრიზისი მივიღეთ, ბუნებრივია, მთელი ეს რეფორმა ეჭვქვეშ დგება. ისმის კითხვა: რას ემსახურებოდა და როგორ განხორციელდა — თუკი განხორციელდა — ცვლილებები. მარტივი ლოგიკით მივდივართ იქამდე, რომ

სასამართლო სისტემის რეფორმირების დროს რაღაც ისეთი ავადმყოფობა გამორჩათ, რამაც პათოლოგიური შედეგი მოიტანა. ამიტომ ამაზე პასუხისმგებელია მთელი ხელისუფლება და ყველა ის უწყება და ადამიანი, ვინც ამ პროცესში მონაწილეობდა, უპირველესად კი, ალბათ, იუსტიციის სამინისტრო და მინისტრი თეა წულუკიანი.

**— მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, „ქართული ოცნებიდან“ წასვლაზე პარტიის ბევრი წევრი ჯერ მხოლოდ ლაპარაკობს. ექსპერტები ამბობენ, რომ საპარლამენტო უმრავლესობის დაშლის საკითხი, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია და ყველაფერი მხოლოდ დროის საქმეა...**

— ნუკრი ქანთარიას ერთ-ერთი ინტერვიუ ვნახე, რომელშიც ის ამბობს, ფრთხილი მოქმედება გვმართებს, თორემ „ქართული ოცნების“ დაშლის საფრთხე არსებობსო. თვითონვე აღიარებენ ამას, თუმცა ამ საკითხს ასე არ გავამწვავებდი. საქმე ის არის, რომ რამდენიმე დეპუტატის წასვლა ჯერჯერობით პარტიასა და ივანიშვილს პრობლემას ვერ შეუქმნის. ის ფიქრობს, რომ უმრავლესობის შენარჩუნებას მაინც შეძლებს, მეტიც — სხვა ადამიანების შემოკრებაც არ გაუჭირდება, მაგრამ მას შეიძლება გამორჩა ერთი რამ — პოლიტიკური გუნდის შეკრება არ არის მთავარი პრობლემა, მთავარი პრობლემა 2020 წლისთვის ხალხის ნდობის მოპოვებაა და ამან თავი უკვე იჩინა საპრეზიდენტო არჩევნების დროს. იქ გუნდი მთელი შემადგენლობით იყო, მაგრამ პირველ ტურში, ფაქტობრივად, დამარცხდნენ. გუნდის ერთიანობაც ვერაფერს შველის, როცა ხალხი უნდობლად არის განწყობილი, მეტიც, ეს გუნდში იწვევს უფრო ძლიერ რყევებს.

თუ „ქართული ოცნება“ 2020 წლის არჩევნებში ვერ გაიმარჯვებს, ის ამის შემდეგ აუცილებლად დაიშლება მარტივ მამრავლებად.

აქ ერთ ნიუანსსაც შევნიშნავ: თუ ისევ ის რეალობა დარჩა 2020 წელს, რაც აქამდე გვქონდა და ამომრჩეველი იძულებული გახდა, არჩევანი კვლავაც „ქართულ ოცნებასა“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ შორის გააკეთოს, სახელისუფლებო ძალას კიდევ შეიძლება ჰქონდეს მცირე უპირატესობის მოპოვების შანსი, მაგრამ თუ „ქართული ოცნებიდან“ მართლაც წავიდა ეს ე.წ. აჯანყებულების ჯგუფი, ოპოზიციურ ფლანგზე მოახერხა განლაგება და ბოლოს და ბოლოს, ჩამოყალიბდა მესამე პოლიტიკური ცენტრი, რომლის პოზიცია საზოგადოების დიდი ნაწილის პოზიციას დაემთხვევა, მაშინ „ქართულ ოცნებას“ შანსი აღარ ექნება...

**— ბიძინა ივანიშვილი აქამდე ხშირად ამბობდა, რომ ის საზოგადოების დიდი ნდობით სარგებლობდა და ეს გარკვეულ დრომდე სიმართლეც იყო; დღეს მისი ავტორიტეტი მნიშვნელოვნად არის შელახული და ნდობაც — შემცირებული. თუ პროცესები ასე გაგრძელდა, ის შეძლებს მხოლოდ ფინანსური რესურსის ხარჯზე წარმატების მიღწევას?**

— ერთ ისტორიას გავიხსენებ... ეროვნულ მოძრაობას, რომლის ლიდერი ზვიად გამსახურდია იყო, ფინანსური თუ მედიარესურსი არ ჰქონდა, ჰქონდა მხოლოდ ხალხის ნდობა და რაც მოხდა, კი ვიცით... ნდობა ყველაზე მნიშვნელოვანი რამ არის. ბიძინა ივანიშვილისადმი საზოგადოების ნდობის გაქრობა იქნება დიდი პრობლემა არა მხოლოდ „ქართული ოცნების“, არამედ ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისთვისაც. ასეთ შემთხვევაში გაჩნდება ქაოსის დიდი საფრთხე. კი ვვარაუდობთ, რომ შეიძლება მესამე ცენტრი გაჩნდეს, მაგრამ თუ არ გაჩნდა, არავინ იცის, რა პროცესები დაიწყება. არ არის გამორიცხული, პოლიტიკურ ძალთა ნაწილი აგრესიის გზას დაადგეს, მას აგრესიითვე დაუპირისპირდეს მეორე და ა.შ.

დღეს ივანიშვილს ნდობის რესურსი მთლად ამოწურული არა აქვს, მეტიც — კიდევ აქვს დრო და შანსი, ეს ნდობა ნაწილობრივ მაინც დაიბრუნოს. მას უყვარს მოულოდნელი სვლები...

თუ ახლაც ასეთ მოულოდნელ ნაბიჯებს გადადგამს, დაპირებული ცვლილებების განხორციელების ნებას გამოიჩენს, სოციალური მიმართულებით გადადგამს რამდენიმე ეფექტიან ნაბიჯს მაინც — კიდევ მოახერხებს ავტორიტეტის გადარჩენას, თუმცა დღეს დიდი საფრთხის წინაშე დგას. თუ მისი რეიტინგი რაღაც ნიშნულის ქვემოთ დაეშვება, მისი აწევა ძალიან ძნელი იქნება.

**— ლიეჟში გამართულ შეხვედრაზეც მინდა გკითხოთ...**

— სააკაშვილი ყველა შანსს იყენებს. ის ძალიან სიცოცხლისუნარიანია. ერთ-ერთ შანსად შეიძლება მოვიაზროთ ის, რომ როგორც უკრაინაში მხარდამჭერების მცირე ჯგუფით საზღვარი გადალახა, თუმცა პოლიტიკურ შედეგს ვერ მიაღწია, აქაც ასეთი რამ გააკეთოს — მისთვის ხომ მედიაში მოხვედრაა მთავარი! საზღვარს რომ მოსდგომოდა ემიგრაციასთან ერთად, ეს მედიის მთავარი თემა იქნებოდა, მაგრამ ეს ასე ადვილი არ არის. არა მგონია, ემიგრაციის დიდი ნაწილი უჭერდეს მას მხარს, თუმცა იქ მყოფთა უმრავლესობამ კარგად არ იცის ქართული რეალობა. თუ ემიგრანტები სააკაშვილს გამოჰყვებიან, ისინი საქართველოში მცხოვრებ თანამემამულეებს დაუპირისპირდებიან. ემიგრაციასთან სიმართლის მიტანაა საჭირო. სააკაშვილს შეუძლია ის თქვას, რაც იმ მომენტში სჭირდება, მაგალითად: „ოლიგარქმა დაიპყრო საქართველო!“ „გადავარჩინოთ საქართველო!“ „დავდგეთ ერთად!“ და შეიძლება მისმა სიტყვებმა ემიგრანტთა გამოძახილიც პოვოს, მაგრამ რომც მიაღწიოს მიზანს და დააპიროს საქართველოში შემოსვლა, რომელი საზღვრიდან უნდა შემოვიდეს? რუსეთიდან თუ შემოვიდა, ცხადი იქნება, ვინ მართავს მას, თურქეთი კი ასეთი ავანტიურის უფლებას რუსეთის ნებართვის გარეშე მას არ მისცემს. რუსეთს ძალიან გაუჭირდება, ხმამაღლა განაცხადოს, გზა გავუხსენით სააკაშვილსო. აზერბაიჯანიდანაც ვერ შემოვა და საიდან უნდა შემოვიდეს? ამ შეკრებებით სააკაშვილი და მისი მომხრეები ცდილობენ, როგორმე პოლიტიკური პროცესების ზედაპირზე დარჩნენ.

*ნათია დოლიძე*

**„ნაციონალებს“ ბოლშევიკების ფორმულაც კი ამოძრავებთ: „რაც უარესი, მით უკეთესი“... მათ რევოლუცია სჭირდებოდათ, რევოლუციას კი ქვეყნის მოშლა სჭირდება...**

# შეიძლებოდა თუ არა რუსთავში მომხდარი შემზარავი მკვლელობის თავიდან აცილება

10 თებერვალს რუსთავში შემზარავი მკვლელობა მოხდა — 29 წლის ბიძამ 13 წლის ძმისშვილი დანით მოკლა. სისხლის სამართლის საქმე 108-ე მუხლით აღიძრა. დანაშაულში ეჭვმიტანილი უკვე დაკავებულია.

გოგიტა ირემაძე რუსთავის მე-15 საჯარო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე იყო. გავრცელებული ინფორმაციით, მამაკაცს ფსიქიკური პრობლემები ჰქონდა. როგორც ამბობენ, ის ნარკომომხმარებელიც იყო, რასაც ოჯახის ახლობლები უარყოფენ. მათი თქმით, ვალერი ირემაძეს ბოლო დროს ფსიქიკური პრობლემები ჰქონდა.

13 წლის ბიჭი ბაბუასა და ბიძასთან ერთად ცხოვრობდა.



„გოგიტა ჩემი ნათლული იყო. ბავშვის მშობლები გაშორებული არიან. დედა ცალკე ცხოვრობს, მამა პოლონეთშია სამუშაოდ წასული.

ვალერი ჩემმა მეგობრებმა ფსიქიატრიულში წაიყვანეს, მაგრამ იქ არ დაიტოვეს, ნარკოლოგიურში კი 3 000 ლარი მოსთხოვეს. ადგნენ და უკან წამოიყვანეს. ნარკოდამოკიდებული არ იყო. როგორც ირკვევა, ფსიქიკური აშლილობის ნიშნები ჰქონდა“, — ამბობს გოგიტა ირემაძის ნათლია ამირან ჯანჯღავა.

ნარკოლოგიური ცენტრის გენერალური დირექტორი ლაშა კილაძე კი ამბობს, რომ მკვლელობაში ბრალდებულს მწვავე ფსიქოზური მდგომარეობა არ აღენიშნებოდა და მან სტაციონარში მოთავსებაზე უარი განაცხადა:

„მამაკაცი, რომელიც ძმისშვილის მკვლელობაშია ბრალდებული, მკვლელობის წინადღეს ნარკოლოგიურ დაწესებულებაში გაურკვეველი ნივთიერების (სავარაუდოდ, მარიხუანას) ზემოქმედებით შემოიყვანეს. თანმხლები პირები ამბობდნენ, რომ მარიხუანას ზემოქმედების ქვეშ იყო და აგრესიული, არაადეკვატური ქმედებებით გამოირჩეოდა, თუმცა კლინიკაში მოყვანისას მას არ აღენიშნებოდა მწვავე ფსიქოზური მდგომარეობა, კითხვებზე ადეკვატურად პასუხობდა და უარი განაცხადა სტაციონარში მოთავსებაზე.

ვინაიდან კანონმდებლობით ნარკოლოგიური სერვისი არ ითვალისწინებს იძულებით მკურნალობას, ჩვენ მკურნალობისა და დიაგნოზის დადგენის საშუალება არ გვქონდა“.

ლაშა კილაძე უარყოფს ახლობლების გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს სტაციონარულ მკურნალობაში პაციენტს 3 000 ლარი მოსთხოვეს. ის ამბობს, რომ თანხაზე ლაპარაკი არ ყოფილა, რადგან მამაკაცმა კლინიკაში დარჩენა არ ისურვა.

კლინიკის გენერალური დირექტორის ინფორმაციით, ამ პირის მონაცემები ბაზაში არ არის და ის ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრში აღრიცხვაზე არ არის.

საქმე №

# ფარული კადრების ამტვირთავს საკუთარი ძმა ამხელს!!!

*პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების საქმეზე სამართალდამცავებმა 17 პირი დააკავეს. მათი ნაწილი დღეს ციხეშია, ნაწილი კი გირაოთი გაათავისუფლეს. 9 თებერვალს შს სამინისტრომ განაცხადა, რომ სოციალურ ქსელში Buba Lomtatidze-დ დარეგისტრირებული პირი, რომელმაც ფარული კადრები ატვირთა, სომხეთის ციხეში მკვლელობისთვის იხდის სასჯელს. ოფიციალური ინფორმაციით, მან საქართველოს საზღვარი მეუღლესთან ერთად 2016 წლის ნოემბერში გადაკვეთა. ქართველი და სომეხი სამართალდამცველების თანამშრომლობით მისი საკნის ჩხრეკისას ამოღებულია მობილური ტელეფონი. არსებული ინფორმაციით, შსს აგრძელებს თანამშრომლობას სომეხ კოლეგებთან დამატებითი მტკიცებულებების მოსაპოვებლად.*

## FACEBOOKფსევდონიმი: Buba Lomtatidze
## ნამდვილი გვარ-სახელი: დიმიტრი ანდრეევი



*ცოლ-ქმარი დიმიტრი და სოფია ანდრეევები სომხეთის ციხეში წინასწარ პატიმრობაში არიან. მათ ტაქსის მძღოლის განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ მკვლელობაში ედებათ ბრალი*

**„დანამდვილებით გეტყვით, რომ მის ფეისბუკგვერდზე გამოქვეყნებული ტექსტი ჩემი ძმის დაწერილი არ არის“**

3 თებერვალს სოციალურ ქსელში Buba Lomtatidze-მ გამოაქვეყნა სტატუსი, რომელშიც განაცხადა, რომ მან ატვირთა პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები და ამ საქმეზე დაკავებული პირების გათავისუფლება მოითხოვა. მან ასევე ახსენა ბიძინა ივანიშვილის ძმისშვილი ემზარ ივანიშვილი და დაწერა, რომ არ აპატიებს, რაც მან იკადრა...

ერთ-ერთმა ტელევიზიამ „ფეისბუკში“ Buba Lomtatidze-დ დარეგისტრირებულ პირთან ინტერვიუ აჩვენა, თუმცა სიუჟეტში, რესპონდენტის ნამდვილი გვარ-სახელი არ უხსენებიათ. ჩვენ ვცადეთ, მეტი გაგვეგო მასზე და ვინაობაც დავადგინეთ. გაირკვა, რომ პირი, რომელსაც გამოძიება ვიდეოს ატვირთვას ედავება, ურეკში მცხოვრები 32 წლის დიმიტრი ანდრეევია. დიმიტრი ანდრეევი ცოლთან — სოფია თურმანიძესთან ერთად სომხეთში სასჯელს ტაქსის მძღოლის მკვლელობისთვის იხდის. სავარაუდოდ, სწორედ ეს პირია ვიდეოს პირველად ამტვირთავი, თუმცა, როგორ აღმოჩნდა მის ხელში ფარული ვიდეომასალა, გამოძიებამ უნდა დაადგინოს.

სომხური პრესის ინფორმაციით, შარშან, 31 მაისს სომხეთში 26 წლის ტაქსის მძღოლის დასახიჩრებული ცხედარი იპოვეს. დანაშაული ოპერატიულად გაიხსნა და 2018 წლის 4 ივნისს სომხეთის სასამართლომ მიიღო ურეკში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების — 32 წლის დიმიტრი ანდრეევისა და მისი მეუღლის, 34 წლის სოფია თურმანიძის დაპატიმრების გადაწყვეტილება. ისინი ეჭვმიტანილი არიან ქალაქ გიუმრის მცხოვრები 26 წლის ტაქსის მძღოლის, ჟორა მარტიროსიანის განსაკუთრებული სისასტიკით მკვლელობაში. როგორც სომხური პრესა იუწყება, მათთან ერთად დანაშაულში მონაწილეობდა საქართველოს მესამე მოქალაქეც, 35 წლის შოთა მაღლაკელიძე, რომელმაც მიმალვა შეძლო. მას დღემდე ეძებენ.

მარტიროსიანის ცხედარი სევანის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე, ავტომობილში იპოვეს. სასიკვდილო დაზიანებები მსხვერპლს თავის არეში ჰქონდა. სომეხი სამართალდამცველების ინფორმაციით, 31 მაისს სამმა პირმა ტაქსი გააჩერა და მძღოლს სევანის ტბისკენ წაყვანა სთხოვა. როგორც ირკვევა, გზაში მათ სასმელი დალიეს და როცა სევანს მიუახლოვდნენ, მძღოლთან კონფლიქტი მოუხდა, რაც დაპირისპირებაში გადაიზარდა. მგზავრებმა ჟორა მარტიროსიანი ქვებით ჩაქოლეს. ცხედარი ისე იყო დასახიჩრებული, მისი ამოცნობა ახლობლებსაც გაუჭირდათ.

ირკვევა, რომ დიმიტრი ანდრეევი საქართველოში არაერთხელ ყოფილა ნასამართლევი. როგორ აღმოჩნდა მის ხელში ფარული ჩანაწერები, ჯერჯერობით უცნობია, თუმცა მისი ოჯახის წევრებიც დარწმუნებული არიან, რომ მის უკან ვიღაც დგას. ჩვენ ურეკში მივაგენით დიმიტრის ძმას, რომა ანდრეევს და ინტერვიუზე დავითანხმეთ. რომა დარწმუნებულია, რომ მისი ძმის უკან ვიღაცები დგანან და ის მხოლოდ გამხმოვანებელია.

### რომა ანდრეევი: „ჩემს ძმას ვიღაც იყენებს...“

რომა ანდრეევი: — ტელევიზიით ვნახე სიუჟეტი. ყველაზე გამაოგნებელი ის იყო, რომ ჩემი ძმის ვინაობა დამალეს. ის დიმიტრი ანდრეევია.

> ჩემზე მეტად მასზე არავის შესტკივა გული, მაგრამ დამნაშავეს ხელს ვერ დავაფარებ. ტელევიზიით რომ ლაპარაკობდა, გაოგნებული დავრჩი. როგორ შეიძლება, კაცმა ასეთი რამ მოიგონო? ის ფანტაზიორია, ტყუილების გუდა. ჯერ მთელ ოჯახს ვალები დაადო და გააუბედურა. ჩაძირა და ახლა ისევ ტყუილებით აგრძელებს ცხოვრებას.

ვის დაემსგავსა, არ ვიცი. დიმიტრი ჩემზე პატარაა. ერთად გავიზარდეთ ძალიან კარგ ოჯახში.

— **ჩვენი ინფორმაციით, დიმიტრი რამდენჯერმე ნასამართლევია. რისთვის იხდიდა სასჯელს?**

— 18 წლის იყო, პირველად ციხეში რომ მოხვდა ქურდობისთვის. მაშინ ოთხი წელი იჯდა. მერე გამოძალვისა და ქურდობისთვისაც დაიჭირეს. ახლა სომხეთში ცოლ-ქმარი მკვლელობისთვის იხდის სასჯელს. ოთხი წელია, რაც სოფია თურმანიძე ცოლად შეირთო. დიმიტრი ჩემი ღვიძლი ძმაა; კიდევ გვყავს და-ძმა დედას მეორე ქორწინებიდან. სამწუხაროა, რომ ამაზე მიწევს საუბარი, მაგრამ დიმიტრი არასერიოზული კაცია, საკუთარ კანში რომ ვერ ეტევიან, ისეთი. ბევრი პრობლემა შეუქმნა ოჯახს. 34 წლის ვარ და რაც თავი მახსოვს, მის გამო ოჯახს სულ პრობლემები ჰქონდა. დედას სახლი, რომელშიც გავიზარდეთ, ლომბარდში დააგირავებინა. ატყუებდა, ფულს ვიხდიოთ და ვალი 8 000 დოლარამდე რომ ავიდა, სახლი დავკარგეთ. მეორე სახლი, სადაც ახლა დედა ცხოვრობს, ორ ნაწილად იყო გაყოფილი და ის მეორე ნაწილიც დააკარგვინა. ჩემგან დაუკითხავად სწრაფი სესხები ჩემს სახელზე აიღო და 20 000 ლარზე მეტი დამადო ვალად. წარმოიდგინეთ, მანქანაც დამიყადაღეს — პოლიციამ გამაჩერა და მისი ვალების გამო ქუჩაში ჩამომართვეს. მის გამო ნაკვეთიც კი დავკარგე. ოჯახს რა უქნა და სხვას რას უზამს, წარმოგიდგენიათ?!

> **„უნდა გაირკვეს, ვინ დგას ამ ყველაფრის უკან და ვინ ალაპარაკებს“**

— **რატომ წავიდა ქვეყნიდან, ვინმე სდევნიდა?**

— არავინ... სახლიც ჰქონდა, კარგი მანქანაც ჰყავდა და შეეძლო, პატიოსნად ეცხოვრა, მაგრამ სულ ამბობდა, ამ სოფელში რა მინდა, უნდა წავიდეო. სოფიას ძმა ცხოვრობს საფრანგეთში და ერევნიდან იქ მიდიოდნენ. როგორიც თვითონ არის, ცოლიც ისეთი ჰყავს. დაკავებამდე პერიოდულად მიკავშირდებოდა, მერე არაფერი ვიცი...

— **მათთან ერთად იყო შოთა მაღლაკელიძე. მას იცნობთ?**

— შოთაც ურეკში ცხოვრობს. ის ჩემს ძმასთან მეგობრობდა და ახლა იძებნება. ერთად როგორ აღმოჩნდნენ, არ ვიცი...

...მისგან ყველაფერს ველოდი — ხომ გითხარით, ფანტაზიორია, მაგრამ რაც მოვისმინე, იმ სიბინძურეს — არა.

კაცი მოკლა სომხეთში და რა შუაში არიან ივანიშვილები? მაკანკალებდა, ამ სიბინძურეს რომ ვუსმენდი. ემზარ ივანიშვილი ჩემი მეზობელია. კარგის მეტი ამ ოჯახისგან არაფერი მახსოვს. ბაბუაჩემი მათთან მეგობრობდა. ბაბუა ლომთათიძეა (დიმიტრი ანდრეევი „ფეისბუკში“ სწორედ ამიტომაც არის დარეგისტრირებული ლომთათიძის გვარით. რაც შეეხება სახელს, როგორც მისი ძმა ამბობს, ბავშვობიდან ბუბას ეძახდნენ. — ავტ.), ივანიშვილები და ბაბუას ოჯახი ერთი კუთხიდან იყვნენ. დღემდე ვმეგობრობ ემზართან, ურეკში ჩვენი სახლები გვერდიგვერდ დგას, თითქმის ყოველდღე ვხედავ. როცა ოთხი წლის წინ ბაბუა გარდაგვეცვალა, ყველაზე მეტად ეს ოჯახი დაგვიდგა გვერდით. არანაირი კონფლიქტი ბუბას ემზართან არ ჰქონია, მაგრამ არც ძმაკაცები ყოფილან. წლებია, ჩემს ძმას ემზარი არ უნახავს. ურეკიდან იძულებით წავედიო, რომ ამბობს, ტყუილია! მას საზღვარგარეთ უნდა წასვლა... ავანტიურისტია ჩემი ძმა და ყველაფერს იგონებს. როგორ შეიძლება აღმოჩენილიყო მის ხელში ფარული ჩანაწერები, არ ვიცი. არასოდეს არჩევნებზეც კი არ წასულა, აპოლიტიკური იყო. დარწმუნებული ვარ, ვიღაც იყენებს, მის ზურგს უკან ვიღაც დგას. დანამდვილებით გეტყვით, რომ მის ფეისბუკგვერდზე გამოქვეყნებული ტექსტი ჩემი ძმის დაწერილი არ არის. ჩვენ რუსული განათლება გვაქვს, მართვის მოწმობაც კი რუსულად ავიღეთ. ლაპარაკი და წერა-კითხვა კი ვიცით ქართულად, მაგრამ ასე გრამატიკულად და დალაგებულად ჩემი ძმა ვერ დაწერდა, გამორიცხულია! ამაზე თავს დავდებ!..

არ ვიცი, რისთვის უნდოდა ეს სპექტაკლი, ან რატომ დამალა ნამდვილი ვინაობა... იქნებ ვინმე დაჰპირდა, ციხიდან გამოსვლაში დაგეხმარებიო... ნეტავ, რისთვის აკეთებს ამას? საიდან მოხვდა მის ხელში ეს ყველაფერი? ღამეები არ მძინავს ამაზე ფიქრით...

ამ ყველაფერს ის მარტო ვერ გააკეთებდა. ალბათ, რამეს შეჰპირდნენ და აქვს იმედი, რომ ციხიდან დაიხსნიან... კაცს სინდისი უნდა გქონდეს, რომ ჩადენილისთვის სასჯელი ღირსეულად მოიხადო. ამ საქმიდან დასაძვრენად არ შეიძლება, ყველაფერი იკადრო და სხვას რაღაცები დააბრალო. ყველა მისი სიტყვა ტყუილია. უნდა გაირკვეს, ვინ დგას ამ ყველაფრის უკან და ვინ ალაპარაკებს.

### „დარწმუნებული ვარ, თავის დროზე „დავერბოვკებული“ ყოფილი პატიმარი გამოიყენეს ამ ფირის გასავრცელებლად“

იურისტი და ყოფილი პროკურორი მირიან ნიკოლაძეც დარწმუნებულია, რომ დიმიტრი ანდრეევს ვიღაც იყენებს.

— ძნელია ვერსიებზე ლაპარაკი, მაგრამ არსებობს რამდენიმე გარემოება. თუნდაც ის, რომ წინა ხელისუფლებას პატიმრების დიდი ნაწილი „დავერბოვკებული“ ჰყავდა და ციხეში საშინელებებს უკეთებდნენ. ყველაფერს იღებდნენ და მერე ეუბნებოდნენ, ციხიდან რომ გახვალ, მაინც ჩვენთვის იმუშავებო... ეს ამბავი „რუსთავი 2“-ის დაწყებულია და ეს უფრო მიმძაფრებს ეჭვებს. მას შემდეგ, რაც 17 კაცი დაიჭირეს, ატყდა ისტერიკა, რადგან პირველწყაროზეც გადიოდნენ, დამკვეთზეც, ამიტომაც სხვა მიმართულება აიღეს.

> ვფიქრობ, ამ საქმეში „ნაციონალების“ ანუ დამკვეთების ხელი ურევია, იმ ხალხის, ვინც ცხრა წელი ქვეყანა მორალურად გაანადგურა.

ვერსია, რომ ამას დღევანდელი უშიშროების სამსახური აკეთებს, ეს ალოგიკურია. შანტაჟის, ამორალური ქმედებისა და ყველა სიბინძურის მომგონი „ნაციონალები“ იყვნენ. ეს მათი ხელწერაა — როცა კაცს ამ დღეში ჩააგდებ, მერე ის მართლაც ყველაფერზე მიდის...

— **„ნაციონალებმა“ მოახერხეს ამ ვიდეოს ციხეში შეგზავნა და ანდრეევს აატვირთინეს?**

— როდესაც პატიმარს ციხეში ტელეფონი და ინტერნეტი აქვს, იქ ყველაფერია შესაძლებელი. გადაუგორებ ფირს ან სულაც შეუტან — არც ეგ არის ძნელი...

ყველამ იცის, რომ მხოლოდ სასამართლოსა და პროკურატურაში არ იყო ეს კადრები — ეს თავის მოტყუებაა. დარწმუნებული ვარ, როცა ქვეყნიდან გაიქცნენ, ადეიშვილებმა, ახალაიებმა და ქარდავებმა ყველაფერი თან გაიყოლეს. არავინ იცის, კიდევ ვისი ვიდეო სად ამოვარდება.

კიდევ ერთი მიზეზი — „ნაციონალებს“ ხელს აძლევთ, რომ ბესელიას „ოცნებასთან“ ურთიერთობა დაეძაბა და ფიქრობენ, მოდი, ეგება ეს ადამიანი ისე გავამწაროთ და ისე გადავიყვანოთ ჭკუიდან, რომ ამ ხელისუფლებაზე ალაპარაკდესო. „ნაციონალების“ ხელწერა უფრო მგონია, ვიდრე — ბესელიასთან დაპირისპირებული „ოცნების“ დაჯგუფების. დარწმუნებული ვარ, თავის დროზე „დავერბოვკებული“ ყოფილი პატიმარი გამოიყენეს ამ ფირის გასავრცელებლად.

— **რატომ გამორიცხავთ, რომ ფირი ხელისუფლებასთან დაპირისპირებული რომელიმე სახელისუფლებო დაჯგუფებას გაევრცელებინა?**

— ვერსიის დონეზე, ესეც დასაშვებია, მით უმეტეს, როცა ზარდიაშვილი გყავს პარლამენტში. ის იყო მაგათი ხელისბიჭი და არაფერი გამიკვირდება. ბესელიასთან დაპირისპირებული მოსამართლეების მხრიდანაც შეიძლებოდა გავრცელებულიყო, თუმცა უფრო „ნაციონალების“ ხელწერას ჰგავს.

— **ანდრეევს თუ ბრალს წაუყენებენ, მისი ექსტრადირება შესაძლებელია?**

— ამ პროცედურაში ბევრი ნიუანსია. ეს დამოკიდებულია სასჯელის ზომაზე და ა.შ. მოკლედ, სომხეთი უნდა გადმოგცემს, უნდა — არა.

— **როგორც ვიცი, თუ იქ ჩადენილი დანაშაულისთვის უფრო დიდი სასჯელი ელოდება, დატოვებენ, არა?**

— ასეა. უპირატესობა ენიჭება დამკავებელ ქვეყანას და აქვს უფლება, არ გადმოგვცეს დამნაშავე, მით უმეტეს — თუ განსაკუთრებით მძიმე დანაშაული აქვს ჩადენილი.

ვინც ეს სიბინძურე დაგეგმა, ისიც გაითვალისწინა, რომ ამ ფირების ამტვირთავი საქართველოში არ უნდა იყოს, რათა ქართველმა სამართალდამცველებმა არ ათქმევინონ, ვინ დგას ამის უკან.

მე ვიცნობ იმ ადამიანებს, ვისაც ფარულად გადაუღეს. ისინი პოლიტიკასთან დაკავშირებული არიან და ინტიმური კადრებით აშანტაჟებდნენ. ახლა მთავარია, დადგინდეს პირველწყარო — ვინ მისცა ანდრეევს ეს კადრები და ვინ იყენებს მას.

*თეა ხურცილავა*

# არის თუ არა კრიმინოგენული ვითარება საგანგაშო?!

*შინაგან საქმეთა სამინისტრომ გასულ კვირას 2018 წლის დანაშაულის სტატისტიკა გამოაქვეყნა. ოფიციალური ინფორმაციით, შარშან 58 412 დანაშაულია რეგისტრირებული, აქედან 20 233 გაიხსნა. 2017 წელს 37 944 ფაქტზე დაიწყო გამოძიება, გახსნის მაჩვენებელი კი თანაბარია. გაუარესდა თუ არა კრიმინოგენული ვითარება, რა კეთდება დანაშაულის პრევენციისთვის, რა ცვლილებები იგეგმება, ამ და სხვა თემებზე შს მინისტრის მოადგილე* ***ნათია მეზვრიშვილი*** *გვესაუბრება.*



**შს მინისტრის მოადგილის პასუხი კითხვებზე: რა კატეგორიის კრიმინალმა მოიმატა, დგანან თუ არა ორგანიზებული ჯგუფები არასრულწლოვანთა დანაშაულის უკან, რას იკვლევს გენინსპექცია 4 წლის ბავშვის დაღუპვასთან დაკავშირებით და როგორ გააკონტროლებს პოლიცია ციხიდან გამოსულ პედოფილებს**

**— ქალბატონო ნათია, ამბობთ, რომ დანაშაულის გაზრდილი ციფრები სწორი აღრიცხვიანობის შედეგია, თუმცა ისიც აშკარაა, რომ გარკვეული კატეგორიის დანაშაულებში მატებაა. იქნებ განგვიმარტოთ, რა დანაშაულებმა იმატა?**

— ციფრებში ზრდა განპირობებულია აღრიცხვიანობის გაუმჯობესებით, თუმცა მხოლოდ ამის გამო არ გაზრდილა ეს ციფრები. თუ, მაგალითად, ზრდის 75% მოდის იმ დანაშაულებზე, რომლებზეც 2018 წელს აღრიცხვიანობა გავაუმჯობესეთ,

არის გარკვეული კატეგორიის დანაშაულები, სადაც ზრდა სხვა ფაქტორებით არის განპირობებული, მაგალითად, გამოძალვა, ქურდული სამყაროს წევრობა, ცივი იარაღის ტარება, კანონიერი ქურდობა, ხულიგნობა. აშკარად მატება გვაქვს საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში,

სადაც ჭარბობს ქურდობა, მატებაა მუქარაში, იძულებაში, ნივთის დაზიანება-განადგურებაში, თაღლითობაში. 2018 წლის სტატისტიკური მონაცემების შედარება 2017 წელთან არასწორია, რადგან მაშინ დანაშაულის აღრიცხვიანობა ასეთი მეთოდითა და ინტენსივობით არ ხდებოდა. სწორი იქნება 2019 წლის მარტში, აპრილში, როცა უკვე ბაზები გასწორდება, გასული წლის მონაცემებთან ამ ციფრების შედარება. ისიც ფაქტია, რომ ქვეყანაში რეალური კრიმინოგენული მდგომარეობის შეფასება მხოლოდ ციფრებით სწორი არ არის, მნიშვნელობა აქვს შინაარსს. რამდენიმე მაგალითს მოვიყვან: როცა ადამიანი აცხადებს, რომ მას დაემუქრნენ, მიუხედავად იმისა, ეს შეტყობინება ცალკე აღებული დანაშაულის შემცველი არ არის, გამოძიებას მუქარის მუხლით ვიწყებთ. როცა ამბობს, ნივთი დავკარგეო, ვიწყებთ ქურდობის მუხლით...

არის დანაშაულების კატეგორია, რომლის ზრდა განპირობებულია საზოგადოების ცნობიერების ამაღლებით. მოქალაქეებმა დაიწყეს პოლიციისთვის მომართვა. ამის საუკეთესო მაგალითია ოჯახში ძალადობა, რომელიც 122%-ით გაზრდილია. როცა ვლაპარაკობთ ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ზრდაზე, ეს ოჯახში ძალადობაზე მოდის. სიცოცხლის წინააღმდეგ დანაშაულებში ზრდა გამოიწვია თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით საქმეების აღძვრამ. ვთქვათ, ვხედავთ, რომ ბუნებრივი სიკვდილით არის მოხუცი გარდაცვლილი, თუმცა გამოძიებას მაინც ვიწყებთ. ახალი მუხლია ადევნება. აქ სუფთა ცნობიერების ამაღლების თემაა. ასევეა გარკვეული კატეგორიის სქესობრივი თავისუფლების და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიც. ანუ მოქალაქეებმა დაიწყეს ისეთი დანაშაულების გაცხადება, რომლებიც წლების წინ მოხდა. რაც შეეხება კლებას, კლებაა ყაჩაღობაში, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებაში. დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ მკვლელობებში. საყურადღებო მდგომარეობაა, მაგრამ არა საგანგაშო. ჩვენ არ ვამბობთ, რომ პრობლემები არ არის.

**— მძიმე დანაშაულის დიდი ნაწილი ხდება ცივი ან ცეცხლსასროლი იარაღით. ხომ შეიძლება ამ კუთხით გატარდეს პრევენციული ღონისძიებები და ამდენი იარაღი არ იყოს საზოგადოებაში?**

— ამ მიმართულებით ვმუშაობთ. რეალურად ყოველდღიურად ათობით ცივი იარაღის ამოღება გვიხდება, თუმცა არ გვინდა ამან საზოგადოებაში პანიკა გამოიწვიოს და ამიტომ არ ვასაჯაროებთ. პარალელურად ვმუშაობთ კანონმდებლობის დახვეწაზე, რაც ბრუნვას დაარეგულირებს.

**— საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების გაზრდას ადასტურებთ... რა კეთდება ამ კატეგორიის დანაშაულების პრევენციისთვის?**

— ჩვენი აზრით, ეს გამოიწვია უკიდურესად მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკიდან უკიდურესად ლიბერალურზე გადასვლამ. იყო პერიოდი, როცა სასამართლო წვრილმან ქურდობაზე პირს 3 წლით უშვებდა ციხეში, ბოლო წლებში კი ანალოგიურ დანაშაულზე სასამართლო ჯარიმად 500 ლარს უსჯის. ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადასვლა ლოგიკურად იწვევს იმას, რაც მივიღეთ. ამიტომ მნიშვნელოვანია სახელმწიფომ და მართლმსაჯულების ჯაჭვის ყველა რგოლმა გაატარონ ზომიერად მკაცრი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა...

მნიშვნელოვანია მართლმსაჯულების სისტემის ერთიანი ჯაჭვი (პოლიცია, პროკურატურა, სასამართლო, სასჯელაღსრულება) შეთანხმებულად მოქმედებდეს. მკაცრი პოლიტიკის გატარების ბერკეტი სამართლებრივად მხოლოდ შს სამინისტროს არა აქვს. ამიტომ ჩვენ ვამბობთ: მკაცრები ვიქნებით ჩვენი მანდატის ფარგლებში, მაგრამ სასურველი შედეგისთვის ყველას ერთობლივი მუშაობაა აუცილებელი. ბევრი მიმართულებით კანონები ჩვენ უკვე გავამკაცრეთ.

**— ალბათ, გულისხმობთ კანონიერი ქურდების წინააღმდეგ ბრძოლას. რამდენად ეფექტიანია ეს კანონი?**

— კანონის ამოქმედების შემდეგ, ფაქტობრივად, 5-ჯერ მეტი პირია გამოვლენილი და დაკავებული ქურდულ სამყაროსთან კავშირისთვის, კანონიერი ქურდობისა და მათთვის დავის გადასაწყვეტად მიმართვისთვის. ზოგჯერ მარტო კანონის გამკაცრება გამოსავალი არ არის, მაგრამ იქ, სადაც ვიცით, რომ უფრო მკაცრი კანონმდებლობა უკეთეს ნაყოფს გამოიღებს, ამას ვაკეთებთ. უახლოეს სხდომაზე იქნება ე.წ. ქუჩური გარჩევებისთვის ახალი მუხლის ამოქმედებაზე მსჯელობაც.

**— საკმაოდ ხშირია ქუჩური გარჩევებიც, სწორედ ამ დროს ხდება დაჭრები, მკვლელობები. რას შეცვლის ეს კანონი და როდის ამოქმედდება?**

— მაგალითად, წარმოვიდგინოთ, რომ ორი დაჯგუფება ქუჩაში შეიკრიბა და ძალადობის, ძალადობის მუქარის ან სხვა უკანონო მეთოდების გამოყენებით, მათ შორის პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის მუქარით, ცდილობს ერთმანეთში არსებული დაპირისპირების გადაჭრას. ამ ტიპის ქმედებებზე სისხლის სამართლის კოდექსში ცალკე მუხლი არ არსებობს. გვაქვს ხულიგნობა, იარაღის ტარება, მკვლელობის მცდელობა, მაგრამ სპეციალური მუხლი, ამის მარეგულირებელი, რაც ჩვენ შესაძლებლობას მოგვცემს, რაც შეიძლება დიდი სამიზნე ჯგუფი ავილოთ, რომელიც ამ ტიპის ქმედებებშია ჩართული, არ არსებობს. დაჯგუფებები, რომლებიც ქუჩაში დაიწყებენ მათ შორის არსებული დაპირისპირების გარჩევას და ამ გარჩევის დროს გამოიყენებენ უკანონო მეთოდებს, დაისჯებიან სისხლის სამართლის წესით, რაზეც სხვადასხვა ტიპის სანქციაა გათვალისწინებული. მათ შორის, თავისუფლების აღკვეთა 2 წლამდე ვადით.

**— პრობლემატურია არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაული — მაგალითად, ქურდობა, მაღაზიების გატეხა, ქონების დაზიანება...**

— ეს საკითხი საკმაოდ მტკივნეულია. ჩვენი არასრულწლოვანთა კოდექსი ძალიან კარგია. მე მას ვიცავდი და სულ დავიცავ, მაგრამ ამ კოდექსმა დროს გაუსწრო და რისი გაკეთებაც აუცილებელი იყო, პრევენციის, განათლების, ჯანდაცვის, სოციალური მიმართულებებით, არ გაკეთდა.

არასრულწლოვნების მიერ ჩადენილი დანაშაულის კუთხით მნიშვნელოვანი ზრდა გვაქვს როგორც 14-დან 18 წლამდე პირებში, ასევე 14 წლამდე მოზარდებში. ძირითადად, ქურდობენ.

**იყო პერიოდი, როცა სასამართლო წვრილმან ქურდობაზე პირს 3 წლით უშვებდა ციხეში, ბოლო წლებში კი ანალოგიურ დანაშაულზე სასამართლო ჯარიმად 500 ლარს უსჯის. ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადასვლა ლოგიკურად იწვევს იმას, რაც მივიღეთ**

საზოგადოების მოთხოვნა ხშირად მსმენია: კანონი გავამკაცროთ, ხომ არ დავწიოთ პასუხისმგებლობის ასაკი 14-დან 12 წლამდეო. მე არ ვფიქრობ, რომ ეს სწორი გზაა. ეს უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ძალისხმევას არ დააკლებს, იმუშავებს პრევენციაზე და მაინც ჩაიდენენ ისინი დანაშაულს. გამოსავალია სარეაბილიტაციო პროგრამები, პრევენციაზე, განათლებაზე მუშაობა. ხშირად გამიგონია, სამინისტრო ხედავს, არასრულწლოვნები დანაშაულს სჩადიან და არ აკავებენო. არ ვაკავებთ კი არა, ვერ ვაკავებთ. ჩვენ კანონის ფარგლებში ვმოქმედებთ.

**— ხშირად მსმენია, ამ არასრულწლოვნების უკან დგანან ორგანიზებული ჯგუფები და ისინი იყენებენ მოზარდებსო. მსგავსი ფაქტები თუ გამოგივლენიათ?**

— თუ ვინმე დგას 14 წლამდე არასრულწლოვნების დანაშაულის უკან, ისევ მათზე უფროსი არასრულწლოვნები, 17-18 წლის პირები, ან ისინი, ვინც სრულწლოვანებას მიაღწია და იციან, რომ პასუხისმგებლობა დაეკისრებათ. ამიტომ ჰყავთ ჯგუფში არასრულწლოვნები, რომლებსაც პასუხისმგებლობა არ ეკისრებათ.

ამ მიმართულებითაც საკანონმდებლო ცვლილებები მომზადებულია. უნდა გავამკაცროთ კანონი იმათ მიმართ, ვინც ამის უკან დგას.

**— ვხედავთ, სასამართლო დარბაზებიდან, არცთუ იშვიათად, როგორ ათავისუფლებენ უმძიმესი ბრალდებით დაპატიმრებულ პირებს და ხშირად ამის მიზეზად ექსპერტები უხარისხო გამოძიებას ასახელებენ.**

— ხარისხის გაუმჯობესება ჩვენი პრიორიტეტია. ყველაფერი კარგად ვერ იქნება 40 000-კაციან სისტემაში. ხარისხი წლების განმავლობაში იყო პრობლემა. გატარდა საპატრულო რეფორმა, ბევრი სხვა რამეც დაიხვეწა, მაგრამ კრიმინალური პოლიციის მიმართულებით არაფერი გაკეთებულა. კრიმინალური პოლიციის რეფორმა ჩვენი პრიორიტეტია. გამოძიება უფრო ხარისხიანი რომ იყოს, გამომძიებელს, ოპერატიულ მუშაკსა და მართლწესრიგის ოფიცერს შორის ფუნქციები უნდა გავმიჯნოთ. თბილისში ეს უკვე გავაკეთეთ: გამომძიებელი საქმეს იძიებს, ოპერატიული მუშაკი ოპერატიულ საქმეს აკეთებს, მართლწესრიგის ოფიცერი კი პრევენციაზე მუშაობს. კოდექსში ცვლილებები შედის, რეფორმა ასევე გულისხმობს გამომძიებლის პასუხისმგებლობისა და ფუნქციების მკვეთრ გამიჯვნას პროკურორის ფუნქციებისგან. დღეს ეს ყველაფერი აღრეულია, პასუხისმგებლობები გაუმიჯნავია და გამომძიებლებს კვალიფიკაციის ამაღლების მოტივაცია არა აქვთ. ახლა ზღვარს შუაში გავავლებთ და ვეტყვით, „ეს არის შენი პასუხისმგებლობა“. ამით გამომძიებლის პასუხისმგებლობის ხარისხი გაიზრდება. როდესაც სასამართლოში მტკიცებულებებს დაუშვებად ცნობენ ან გამამართლებელი განაჩენი დადგება იმიტომ, რომ გამოძიებისას შეცდომა იქნა დაშვებული, გამომძიებლის პასუხისმგებლობის საკითხი დადგება.

**— ოჯახური დანაშაულები ისევ პრობლემაა.**

— ამ კატეგორიის დანაშაულთან ბრძოლა არის მაგალითი იმისა, თუ მართლმსაჯულების ჯაჭვმა როგორ კარგად იმუშავა. შინაგან საქმეთა სამინისტრო, პროკურატურა, სასამართლო, სასჯელაღსრულება იმდენად თანხვედრაშია, რომ შედეგი გვაქვს. ყველა კარგად აცნობიერებს ამ დანაშაულის მასშტაბებს. ჩვენ რომ დავაკავებთ, მკაცრი პოლიტიკა აქვს პროკურატურასაც და სასამართლომაც ბოლო დროს დაიწყო დაპატიმრებები. დამნაშავეები ციხეში მიდიან. ამის მაგალითია ერთ-ერთი არასრულწლოვანი გოგონას იძულებითი გათხოვების ფაქტი. სასამართლომ დააპატიმრა მამამისი და პატიმრობა მიუსაჯა. იმ სოფელში, სადაც ეს ხდებოდა, ახლა იციან, რომ ეს ქმედება ისჯება. ჩვენ ეს ამბავი არ გავახმაურეთ მანამდე, სანამ შედეგი არ მივიღეთ.

**— სამწუხაროდ, რჩება შთაბეჭდილება, რომ არასრულწლოვნებზე გახშირდა სექსუალური ძალადობა...**

— ძალიან სენსიტიურია ბავშვებზე ძალადობის თემა. ბავშვებზე სექსუალური ძალადობის სტატისტიკაც არის და ეს უმძიმესია. ესეც ის თემაა, რაზეც ერთობლივი მუშაობაა აუცილებელი.

პედოფილიის ფაქტებზე კანონი გამკაცრდება. კანონი ამ დანაშაულის ჩამდენ პირებს მთელ რიგ უფლებებს ართმევს. პოლიციას ავალდებულებს მონიტორინგი დააწესოს პედოფილებზე მას შემდეგ, რაც ისინი დატოვებენ სასჯელაღსრულების დაწესებულებას.

**— ბოლო დროს ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული ტრაგიკული შემთხვევა 4 წლის ნინო ზალინაშვილის გარდაცვალებაა, რასაც მოჰყვა სოცმუშაკების სამსახურიდან გათავისუფლება. ხომ არ დადგება პოლიციელების პასუხისმგებლობის საკითხიც?**

— რაც შეეხება ოჯახურ დანაშაულებს, პოლიციას სოციალურ სამსახურთან აქვს კონტაქტი და თუ საჭიროა, გამოჰყავს ბავშვები ბიოლოგიური ოჯახებიდან.

ნინო ზალინაშვილის ფაქტი სამწუხაროა, მაგრამ ეს არ გაშუქდა დეტალურად — პოლიციამ დროულად მოახდინა რეაგირება წინა გამოძახებაზე, დედის მიმართ არა მხოლოდ შემაკავებელი ორდერი გამოიცა, ის სისხლის სამართლის წესითაც იყო დაკავებული, თუმცა საქმე სასამართლომდე არ მისულა, პროკურატურამ მას ბრალი არ წაუყენა

და დაპატიმრება არ მოუთხოვია. ალბათ, ჩათვალა, რომ არ იყო საკმარისი მტკიცებულებები. ესეც იმის ბრალია, რომ ვისაც უნდა მიეცა სწორი ჩვენება, მათ არ ითანამშრომლეს გამოძიებასთან.

ვიცით, რომ სოცმუშაკები სამსახურიდან დაითხოვეს. ჩვენი გენერალური ინსპექცია იკვლევს, პოლიციამ რამდენად კარგად შეასრულა თავისი ვალდებულებები. მოკვლევის შედეგს უახლოეს დღეებში საზოგადოებას გავაცნობთ. თუ რამე დარღვევა გამოიკვეთა, ამაზე რეაგირება მოხდება.

*თეა ხურცილავა*

# „საპროტესტო ტალღა თუ დაიწყო, არჩევნებამდე

*მოსამართლეების დანიშვნა-არდანიშვნის საკითხი გახდება თუ არა მმართველ პარტიაში განხეთქილების საბაბი?! ამ საკითხებზე ანალიტიკოს **ვახტანგ ძაბირაძეს** ვესაუბრეთ:*



— „ქართული ოცნება“ არ არის ერთიანი, მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობაშია. ახლა ცდილობენ გაარკვიონ, 2020 წლის არჩევნებში ვინ იქნება ის ჯგუფი, რომელიც ივანიშვილთან ერთად დააკომპლექტებს საპარლამენტო სიას. ამავე პროცესთან არის მიბმული სასამართლოსა და მოსამართლეების თემა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ იმ ჯგუფს, რომელმაც მოსამართლეების დანიშვნა გააპროტესტა, პარტიაში მიმდინარე პროცესები არ აინტერესებს.

„ქართული ოცნების“ განცხადება, თითქოს ვიღაც ხელს უწყობს სასამართლოს დისკრედიტაციას, არასწორია. მისი დისკრედიტაცია იუსტიციის საბჭოს გადაწყვეტილებამ განაპირობა, რომ ეს მოსამართლეები დაენიშნათ უვადოდ. ამან შეუწყო ხელი ვითარებას, რომელიც დღეს არის მმართველ პარტიაში. ვფიქრობ, ასეთი გამწვავების მიზეზი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებია. მოსამართლეთა საკითხი ჯერ კიდევ სად იყო, როცა დავით ჭიჭინაძესა და უმრავლესობის წევრებს შორის განხეთქილება მოხდა. პარტიაში დაპირისპირება დაწყებული იყო, უბრალოდ, ახლა დაემატა მოსამართლეების თემა, რომელიც სრულ თანხვედრაშია მოსახლეობის უმრავლესობის აზრთან.

**— ანუ ე.წ. მეამბოხეთა ჯგუფი ამით პოლიტიკურ ქულებს იწერს?**

— დღეს ისინი გაცილებით მომგებიან პოზიციაში არიან, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ უმრავლესობა მათ მხარეს გადაიხრება. უმრავლესობა შეეცდება, ეს თემა როგორმე გადააგოროს, თორემ დაპირისპირება მაინც დარჩება. ამასთან, „ოცნებისთვისაც“ გარკვეულწილად მომგებიანი იქნება, თუ მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის თემას დღის წესრიგიდან მოხსნის. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაკარგავს ქულებს, ხოლო იქიდან გამომდინარე, რომ მისი რეიტინგი ისედაც დაბალია, ეს ძალზე დააზარალებს.

**საქართველოში სასამართლოს დიდად არასდროს ენდობოდნენ. თუ საზოგადოება აქამდე იტანდა მას, კიდევ რამდენიმე წლით აიტანს და ქვეყანა არ დაინგრევა, მაგრამ კატასტროფა იქნება, თუ ნდობადაკარგულ სასამართლოს ამ სიაში შემავალი პირებით დააკომპლექტებენ.**

ივანიშვილი პოლიტიკაში დაბრუნდა პარტიაში წესრიგის დასამყარებლად, თუმცა ნაცვლად ამისა, გუნდში განხეთქილებაა.

**— მართვის სადავეები ხომ არ გაექცა?**

— ეს დამოკიდებულია იმაზე, რომელ გუნდს ამჯობინებს, რომელი გუნდის წევრებით დაკომპლექტდება მომავალი საპარლამენტო სია. თუმცა, როგორც კი ამ არჩევანს გააკეთებს, მეორე ნაწილი დაუპირისპირდება, ამის მართვის მექანიზმი კი არ გააჩნია. ამიტომ მისთვისაც მომგებიანია, ამ ეტაპზე გუნდი კი არ გახლიჩოს, როგორმე შეინარჩუნოს ერთიანობა. თუ მაქსიმუმ 2 თვეში რადიკალური ცვლილებები არ იქნება, „ოცნებას“ 2020 წლის არჩევნებშიც გაუჭირდება გამარჯვება. 2020 წლის არჩევნები არ იქნება ისეთი, როგორიც იყო 2016 წელს, და არც საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური...

**— სასამართლოს გამო შექმნილ ვითარებაზე პასუხისმგებლობა ვის ეკისრება?**

— „ოცნებას“ საკონსტიტუციო უმრავლესობა აქვს და შეუძლია ნებისმიერი გადაწყვეტილება მიიღოს. საქმე ის არის, მიიღებს კი ისეთს, რაც თანხვედრაში იქნება ხალხის აზრთან, თუ ამ ეტაპზევე დაუპირისპირდება საზოგადოებას? თუ ხალხის აზრი

## „ვაჩვენებ ფირს და მაინტერესებს, რას იტყვიან“

*ᲘᲐ ᲛᲔᲢᲠᲔᲕᲔᲚᲘ, ბუტა რობაქიძის დედა: — ყველა ის ადამიანი, რომლებიც წლების განმავლობაში უსამართლობას ებრძოდნენ, არ იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ ეს მოსამართლეები, რომლებიც წინა რეჟიმის დროს დანაშაულს სჩადიოდნენ, უვადოდ გამწესდნენ. ამ მოსამართლეების გამო ზოგი ოჯახი განადგურებულია, ნაწილი მკვდარი, ზოგი კი დაზარალებული. ისინი მოსამართლეებად არ უნდა მუშაობდნენ, ისევე როგორც ჩემი შვილის საქმის მოსამართლე, რომელმაც აბსოლუტურად სულ სხვა განაჩენი გამოუტანა დამნაშავეებს. გაუგებარია, რატომ ლობირებს ამ მოსამართლეებს „ოცნების“ ახალგაზრდა ნაწილი? მე თუ მკითხავთ, საბჭო გასაუქმებელია. მათ განცხადებებს რომ ვუსმენ, გაოგნებული და აღშფოთებული ვრჩები.*

*ᲗᲝᲠᲜᲘᲙᲔ ᲛᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, სულხან მოლაშვილის ძმა: — „ქართული ოცნების“ წევრებს და იმ პირებს, რომლებიც ამ მოსამართლეებს ლობირებენ, ვაჩვენებ ფირს, თუ როგორ მიმდინარეობდა ჩემი ძმის სასამართლო პროცესები და მაინტერესებს, რას იტყვიან. მურუსიძე სტრასბურგის სასამართლომ 5 საქმეში გაამტყუნა. ამის მერე ის ხალხი ჩვენ როგორი თვალით შემოგვხედავს? ევროპისკენ მივიწევთ და მაინტერესებს, რას ვეუბნებით მათ ამ საკითხზე?*

*ᲒᲝᲒᲐ ᲔᲜᲣᲥᲘᲫᲔ, სანდრო გირგვლიანის ბიძა: — სასამართლოში სრული განუკითხაობაა. ამაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ყველა იმ პირს, რომლებმაც სასამართლოში კლანი შექმნეს. ამ მოსამართლეებმა ბევრ საქმეზე არასწორი განაჩენი გამოიტანეს და ამით ოჯახები გაწირეს.*

*ძალიან სამწუხაროა, რომ ადეიშვილის ნარჩენებს „ქართული ოცნების“ წევრები ლობირებენ. თუმცა დიდი იმედი მაქვს, ხელისუფლება გონს მოეგება და ამ მოსამართლეებს უზენაეს სასამართლოში უვადოდ არ გაამწესებს.*

# ანა დოლიძე: „ქართულ ოცნებას“ ჩინჩალაძესთან მეგობრობა მოუღებს ბოლოს“

*„ბიძინა ივანიშვილი ძალიან ჭკვიანურად იქცევა, რომ საჯაროდ არ გამოდის მოსამართლეების დასაცავად. რატომ არ ამბობს, რომ მისი გადაწყვეტილებაა მურუსიძე-ჩინჩალაძის დანიშვნა და კობახიძეს ალაპარაკებს? იმიტომ, რომ იცის პოლიტიკურად ეს ძალიან ძვირი დაუჯდება“, — ამბობს „კვირის პალიტრასთან“ საუბრისას იუსტიციის საბჭოს არამოსამართლე წევრი **ანა დოლიძე**.*



— „ქართულ ოცნებას“ ჩინჩალაძესთან მეგობრობა მოუღებს ბოლოს. ეს გარდაუვალია. „ქართული ოცნება“ ისტორიულად აკეთებს მცდარ არჩევანს, სადაც ერთ მხარეს არიან მურუსიძე და ჩინჩალაძე, მეორე მხარეს კი მთელი ქართველი საზოგადოება.

არ ვიცი, რა უნდა გაკეთდეს, რომ ეს ხალხი ამ არჩევანის სიმწარეს მიხვდეს, მაგრამ თან იმას ვფიქრობ, რომ ვერც მიხვდებიან, რადგან კობახიძე და სხვები არიან ჩვეულებრივი ბიუროკრატები, დაქირავებული კომკავშირელები. არასოდეს უბრძოლიათ მორალური ფასეულობებისთვის, არაფერი გაუღიათ და, სავარაუდოდ, ვერც ხედავენ მოსალოდნელ მძიმე შედეგს.

**მურუსიძე-ჩინჩალაძეს გადაჰყვება „ქართული ოცნება“, ახლა თუ არა, 2020 წელს მაინც.**

**— კობახიძის განცხადებით, ეს მოსამართლეები ახლა კარგად იქცევიან.**

— ეტყობა, მურუსიძე კობახიძესთან მივიდა, მოინანია და ცოდვები გამოისყიდა. სხვა ახსნას ამას ვერ ვუძებნი. მეორე ახსნა არის სრული ამორალურობა. გასაგებია, რომ ქრისტიანულად ადამიანს ცოდვები უნდა მიეტევოს, მაგრამ ამისთვის მან რაღაც ხომ უნდა გააკეთოს? კობახიძესთან კაბინეტში თუ მოინანია, არ ვიცი.

**— სადამდე შეიძლება მივიდეს ეს პროცესი?**

— გირგვლიანის საქმეზე სააკაშვილს რომ მოეხერხებინა, პირდაპირ ემხილა და ჩამოეშორებინა ახალაია-სანოძე და თავის თავზე არ აეღო ეს ამბავი, ამით დასრულდებოდა ყველაფერი. ეს გადაწყვეტილება სააკაშვილს პოლიტიკური მდგომარეობის დაკარგვად დაუჯდა. „ქართული ოცნებაც“ გადაჰყვება ჩინჩალაძე-მურუსიძეს.

ამ მოსამართლეებს შემდეგი ხელისუფლება მაინც არ გააჩერებს სასამართლოში და ვის მიჰყვებიან?

**— როგორ ფიქრობთ, ეს საკითხი „ოცნებაში“ განხეთქილების ვაშლად იქცევა?**

— ახლა გამოვლენ უმრავლესობიდან თუ მერე, არა აქვს დიდი მნიშვნელობა. პროცესი დაწყებულია. ხალხმა ხმა ამოიღო და, როგორც ჩანს, არ უნდათ ღილაკზე თითის დაჭერა. დარწმუნებული ვარ, ხვალზეგ მათ კიდევ ბევრი დაემატება.

დღეს შეიძლება ივანიშვილის ხათრით ბევრმა პულტს ხელი დააჭიროს, მაგრამ ესეც დროებითი იქნება, საბოლოოდ „ოცნება“ მაინც დაიშლება.

**— ბიძინა ივანიშვილს რაში აძლევს ხელს ამ პირების მფარველობა?**

— ბიძინა ივანიშვილი ძალიან ჭკვიანურად იქცევა, რომ საჯაროდ არ გამოდის მოსამართლეების დასაცავად. რატომ არ ამბობს საჯაროდ, რომ მისი გადაწყვეტილებაა მურუსიძე-ჩინჩალაძის დანიშვნა და კობახიძეს ალაპარაკებს? იმიტომ, რომ იცის პოლიტიკურად ეს ძალიან ძვირი დაუჯდება. ვფიქრობ, უკანდასახევ შანსს იტოვებს. მარიხუანას ლეგალიზაცია ივანიშვილისთვის ძალიან მომგებიანი ბიზნესი იქნებოდა. ის ამის მომხრე იყო, მაგრამ რომ დაინახა დიდი საზოგადოებრივი წინააღმდეგობა, დაანება თავი. ახლაც ამიტომ არაფერს ამბობს და ალაპარაკებს კობახიძეს და კიდევ რამდენიმე ადამიანს, რომელთა რეპუტაცია ნულის ტოლია.

**2013 წელს ივანიშვილმა გადაწყვიტა, სასამართლოსთვის ხელი არ ეხლო და ყველა მართვის ბერკეტი მურუსიძე-ჩინჩალაძეს გადააბარა. ახლა ასეთ შეცდომას აღარ დაუშვებს, რადგან მაშინ ნახევრად ღმერთის როლში იყო, დღეს კი ასეთი მდგომარეობა აღარ აქვს.**

ასე რომ, ვფიქრობ, ამას დიდი საპროტესტო ტალღა მოჰყვება.

**— ანუ გაზაფხულზე დიდი საპროტესტო ტალღის აგორებას ელით?**

— მოვლენები ისე ვითარდება, „ოცნების“ ამ ჯგუფისთვის ეს ადვილად გადასაგორებელი არ იქნება, სანამ ვინმე

# გაგრძელდება“



არ გაითვალისწინა, მაშინ დაპირისპირება კიდევ 2 წელიწადს გაგრძელდება...

ივანიშვილის მხრიდან რადიკალური ნაბიჯებია საჭირო, თორემ დღევანდელ ვითარებას ერთი რომელიმე კონკრეტული ჩინოსნის გაწირვა კი არა, მთელი მინისტრთა კაბინეტი რომ შეცვალოს, არ უშველის. ეს ხალხი უვადოდ ინიშნება თუ საბჭო იშლება, უნდა გადაწყვიტოს პარლამენტმა. ეს გასცდა აღმასრულებელი ხელისუფლების დონეს.

საზოგადოებაში მიდის პროცესი, რომელიც ისე ვითარდება, რომ ხვალ-ზეგ შესაძლოა, მაქსიმალური უკმაყოფილების ტალღა აგორდეს.

**— ტალღას გაზაფხულისთვის ელოდებით?**

— დიახ, პროტესტს ველოდები, თუ „ოცნებამ“ რადიკალური ნაბიჯები არ გადადგა. საპროტესტო ტალღა თუ დაიწყო, არჩევნებამდე გაგრძელდება. წინა ხელისუფლების რეპრესიული მანქანა სწრაფად მუშაობდა და დიდი ზეწოლაც იყო, დღეს კი ხელისუფლებისა და საზოგადოების გაუცხოებაა დაწყებული, ოღონდ ნელ-ნელა ვეფლობით ჭაობში; ანუ პროცესის დინამიკაშია განსხვავება. სამაგიეროდ, ეს „ოცნებას“ მანევრირების საშუალებას აძლევს...

**„ეტყობა, მურუსიძე კობახიძესთან მივიდა, მოინანია და ცოდვები გამოისყიდა“**

გამოჩნდებოდა პარლამენტში, მე და ნაზი ჯანეზაშვილი დავუპირისპირდით შიშველი ხელებით.

**— რატომ მოჰყვა ამ საკითხს მაინცდამაინც ახლა ამხელა აჟიოტაჟი, ეს მოსამართლეები ხომ უკვე 7 წელია „ოცნების“ ხელისუფლებასთან სასათბურე პირობებში არიან?**

— მეც მაინტერესებს, სად იყვნენ ეს დეპუტატები მანამდე?

მე როგორც დღეს, ასევე შარშან სთებერვალში ხმა ამოვიღე და გავაპროტესტე.

ერთი-ორი მოსამართლის დანიშვნა და უზენაესი სასამართლოს ხელში ჩაგდება, ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან. ეს ნიშნავს მართლმსაჯულების მთლიანად მიტაცებას. ამიტომ იბრძვიან ასე თავგამოდებით.

**— ამ ყველაფერზე პოლიტიკური პასუხისმგებლობა არ უნდა აიღოს იუსტიციის მინისტრმა, რომელიც სასამართლოს რეფორმის ავტორია?**

— თეა წულუკიანი ერთ-ერთი მთავარი პირია ამ სიტუაციაში, შესაბამისად, პასუხისმგებელიც. იმიტომაც იმალება. ეს ხომ სასაცილოა, თუმცა, ეტყობა, არ იცის, რა თქვას.

# „წულუკიანი ცდილობს, გაექცეს პასუხისმგებლობას...“

*ბოლო დროს ხშირად ისმის კითხვა — ვინ არის პასუხისმგებელი იმაზე, რომ სასამართლო სისტემაში მდგომარეობამ ასეთი სავალალო მასშტაბი შეიძინა. ამ საკითხებზე „სამართლიანი არჩევნების“ აღმასრულებელ დირექტორ მიხეილ ბენიძეს ვესაუბრეთ.*

## „ახალი კონსტიტუციის ძალაში შესვლისთანავე საბჭოს კონკრეტულმა წევრებმა, რომლებიც კლანს წარმოადგენენ, სასამართლოს სრული უზურპაცია მოახდინეს. კლანის თავგასულობამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია, უნდა უზენაეს სასამართლოსაც დაეპატრონოს“



— სასამართლოსთან დაკავშირებით მივიღეთ ისეთი სავალალო სიტუაცია, რომელზეც ჯერ კიდევ 2012 წლიდან ვსაუბრობდით, რადგან უკვე ცნობილი იყო, რომ რეფორმა სათანადოდ ვერ მიდიოდა. საბჭოს დანიშვნა და მოსამართლეების შერჩევა თავიდანვე პრობლემური იყო და არასამთავრობო სექტორიც ამას ამბობდა. 2018 წლის მიწურულს დადგა კულმინაციური მომენტი — ახალი კონსტიტუციის ძალაში შესვლისთანავე საბჭოს კონკრეტულმა წევრებმა, რომლებიც სასამართლოს კლანს წარმოადგენენ, სასამართლოს სრული უზურპაცია მოახდინეს. კლანის თავგასულობამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია, უნდა უზენაეს სასამართლოსაც დაეპატრონოს.

**— ირაკლი კობახიძის განცხადებით, ეს ადამიანები ადრე თუ ცუდად იქცეოდნენ, ახლა კარგად იქცევიან.**

— კობახიძის განცხადება უტიფრობაა. კლანი საკუთარი ინტერესების გატარებას ცდილობს, მმართველი პარტია კი ლობირებს მას. ამასთან, ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლები უტიფრად აცხადებენ, რომ ვინც ამას აპროტესტებს, „ნაციონალურ მოძრაობასთან“ არის ასოცირებული.

თუ სასამართლო ხელისუფლება არ იქნა დემოკრატიული, რა რეფორმებიც უნდა გატარდეს, პოზიტიურ შედეგს ვერ მივიღებთ.

**— ამ ყველაფერზე ვის ეკისრება პასუხისმგებლობა?**

— „ქართულ ოცნებას“, როგორც მმართველ ხელისუფლებას, რადგან მან რეფორმის რამდენიმე ტალღით ვერ უზრუნველყო სასამართლო სისტემის გაჯანსაღება. პირველი ტალღა 2013 წელს დაიწყო და მაშინ არასამთავრობო ორგანიზაციების შეთავაზებული საკითხებით აეწყო. შემდეგი ტალღები დაგვიანდა ან მნიშვნელოვანი წინადადებები არ გაითვალისწინეს. ნაწილი სწორედ ამ კლანის ინტერესების გათვალისწინებით და მასთან შეთანხმებით ამოიღეს.

**— ამ რეფორმებს ხომ იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი ხელმძღვანელობდა?**

— მას ეკისრება ამაზე პასუხისმგებლობა.

**„ჯერ კიდევ შარშან ვამბობდით, რომ წულუკიანს უნდა დაეტოვებინა თანამდებობა, მაგრამ „ქართულმა ოცნებამ“ ის კბილებით დაიცვა“**

თუმცა ის არ არის განყენებული, ის მთლიანად „ქართულ ოცნებას“ წარმოადგენს. ჯერ კიდევ შარშან ვამბობდით, რომ წულუკიანს უნდა დაეტოვებინა თანამდებობა, მაგრამ „ქართულმა ოცნებამ“ ის კბილებით დაიცვა. თუ აქამდე „ოცნების“ წარმომადგენლები ამბობდნენ, სასამართლო დამოუკიდებელია და ხელის ერთი მოსმით ვერაფერს ვუზამთო, დღეს პრაქტიკულად ერთსა და იმავე ინტერესებს ატარებენ და ერთმანეთთან ძალიან მჭიდროდ არიან დაკავშირებული.

კობახიძე ამბობს, ის ხალხი, რომელიც ცუდ საქმეებს აკეთებდა, დღეს ძალიან კარგ საქმეებს აკეთებსო და ასე დაუფარავად უწყობს ხელს კლანს გაძლიერებაში.

**— რატომ დუმს თეა წულუკიანი?**

— სავარაუდოდ, იმიტომ, რომ რეფორმის მეოთხე ტალღა პარლამენტში გადავიდა. როგორც ჩანს, იუსტიციის მინისტრს არ ჰქონდა იმის აღქმა, რომ კიდევ დამატებითი ტალღები და რეფორმები იყო საჭირო.

იმის გათვალისწინებით, რომ ეს პროცესი თავის თავზე აიღო პარლამენტმა, იუსტიციის მინისტრმა პასიურობა არჩია. თავდაპირველად „ქართული ოცნების“ ზოგიერთმა წევრმა სცადა, ამ ყველაფერზე პასუხისმგებლობა საბჭოს დაჰკისრებოდა, რომლის წევრებიც სიაში ჩამოთვლილი მოსამართლეების დამტკიცებას ითხოვდნენ. მაგრამ ეს სია ვერ გავიდოდა, რადგან იუსტიციის საბჭოს არამოსამართლე წევრები ხმას არ მისცემდნენ.

**— რატომ იცავს „ოცნება“ თეა წულუკიანს, როგორც თქვენ ბრძანეთ, კბილებით?**

— სპეკულაციების სურვილი არა მაქვს. ალბათ, ესეც მიანიშნებს იმაზე, რომ „ოცნება“ ადეკვატურად ვერ აღიქვამს სიტუაციას.

**— წულუკიანი ერთ-ერთი ხელშეუხებელი მინისტრია უკვე 7 წელია...**

— დიახ, სწორედ ამიტომაც არის, რომ როდესაც სასამართლოს რეფორმირებაზეა ლაპარაკი, ცდილობს გაექცეს პასუხისმგებლობას. წულუკიანი 2012 წლიდან იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობს. საზოგადოება ელოდა, რომ სწორ ნაბიჯებს გადადგამდა სასამართლოსთან დაკავშირებით. ითქვა, რომ მან მართლმსაჯულების რეფორმას ვერ შეუწყო ხელი. ამ კონტექსტში პროკურატურაც იგულისხმება. ამ ხნის განმავლობაში რამდენიმე პროკურორი შეიცვალა და ყველა მათგანთან სერიოზული კითხვები იყო. არ ვიცი, რატომ არის წულუკიანი „მარადმწვანე“ მინისტრი. შიდა საქმეების გარკვევა არ არის მნიშვნელოვანი, მნიშვნელოვანია, ქვეყანაში მიმდინარეობდეს დემოკრატიული რეფორმები, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს ინსტიტუციების გაძლიერებას და ამაში საკვანძო საკითხი სასამართლო სისტემის გაჯანსაღებაა. წულუკიანთან დაკავშირებით სხვა პრობლემებიც გვაქვს, მათ შორის მისი დამოკიდებულება არასამთავრობო სექტორთან. თუმცა ამოსავალი არ არის ჩვენი დამოკიდებულება თეა წულუკიანისადმი. ჩვენი კრიტიკა მიმართულია ისევ და ისევ იმისკენ, რომ მან იუსტიციის სამინისტროში ადეკვატური რეფორმების გატარება ამ წლების განმავლობაში ვერ შეძლო.

# „ივანიშვილმა რაც მითხრა, საჯაროდ არ ვილაპარაკებ“

***დატოვებს თუ არა უმრავლესობის რიგებს ე.წ. ბესელიას გუნდი და რა ხდება „ქართულ ოცნებაში“, ამ საკითხზე გედევან ფოფხაძეს ვესაუბრეთ.***

— „ქართულ ოცნებაში“ ჩვეულებრივი დემოკრატიული პროცესები მიმდინარეობს — აზრთა სხვადასხვაობაა მოსამართლეების დანიშვნის თაობაზე.

**— ბიძინა ივანიშვილს რა პოზიცია აქვს?**

— ამაში ისიც მონაწილეობს.

**— ერთ-ერთი შეხვედრისას ივანიშვილმა მოგიწოდათ, დაგეტოვებინათ პარტია, თქვენ კი დრო ითხოვეთ. რა გადაწყვიტეთ?**

— არ მითქვამს, რომ პარტიის დატოვებას ვაპირებ. ჩემი ნათქვამის არასწორად ინტერპრეტირება ხდება და მერე განმარტება მიწევს, ამ დროს კი არსებით, ძალიან მნიშვნელოვან საკითხს ვაზარალებთ.

სწორედ ახლა მიდის მსჯელობა, ვინ იქნებიან უზენაეს სასამართლოში — ღირსეული მოსამართლეები თუ, ასე ვთქვათ, ცუდები. მთელი ამ პროცესის მიზანი ეს არის.

**— ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც პარტიის დატოვების შესაძლებლობას არ გამორიცხავთ. ადრე ეს საზოგადოებრივი მაუწყებლის საბჭოში ნინია კაკაბაძის არჩევას მოჰყვა.**



— ამის შემდეგ ბევრმა ფაქტორმა იმოქმედა. ივანიშვილი დაბრუნდა პოლიტიკაში და საჭიროდ ჩავთვალე დარჩენა.

**— მაგრამ ივანიშვილმა ახლა წასვლისკენ თავად მიგითითათ, უფრო მეტიც, არც გარიცხვის შესაძლებლობა გამორიცხა.**

— ბიძინა ივანიშვილმა რა მითხრა და რა საუბრები იყო საკონსულტაციო დონეზე, ეს ჩვენი კერძო მსჯელობებია, რაზეც საჯაროდ არ ვილაპარაკებ. ეს ნიუანსები არ არის მნიშვნელოვანი. არსებითია, ჩვენს პოზიციას რამდენად ეფექტიანად დავიცავთ.

**— სად ხედავთ ბრძოლის რესურსს: „ოცნებაში“ თუ უმრავლესობის გარეთ?**

— როგორც უკეთესი იქნება, იმაზე ვიფიქრებთ. მთავარია, უზენაეს სასამართლოში არ დავუშვათ ცუდი მოსამართლეების გამწესება.

**— გახდება თუ არა ეს თემა „ოცნების“ დაშლის საფუძველი?**

— არ ვიცი, ძნელია ამაზე საუბარი.

პარტიიდან ვინმეს წასვლა ან გარიცხვა აქტუალურად არ მიმაჩნია. ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია, ისეთი კრიტერიუმები დადგინდეს, რომლებიც ხელს შეუწყობს პარლამენტში წარდგენილი მოსამართლეთა სია იყოს კარგი და არა უარესი.

**— ბესელიამ და გოგიჩაიშვილმა თუ გადაწყვიტეს პარტიის დატოვება, მიჰყვებით?**

— ჩვენ თანამებრძოლები ვართ, რაღაცებზე ერთად ვმსჯელობთ და გადაწყვეტილებებს ვიღებთ. ჩვენი ამოცანა არ არის სადღაც წასვლა ან გასვლა. ეს მიზანი არ არის, საშუალებაა რაღაცისთვის. ჩვენ გვჭირდება ყველა რესურსი, რომ სასამართლოს საკითხზე სწორი გადაწყვეტილების მიღება უზრუნველვყოთ.

*რუბრიკა მოამზადა თიკო ოსმანოვამ*






















# „1-ლი მარტიდან შესაძლოა, დახლები დაცარიელდეს“



***პირველი მარტიდან მომხმარებელს მაღაზიის დახლები, შესაძლოა, თითქმის ცარიელი დახვდეს, ხოლო პროდუქცია, რომელსაც სავაჭრო ობიექტებში აღმოაჩენს — გაძვირებული. იმპორტიორები და დისტრიბუტორები ამის მიზეზად ახალ რეგულაციას ასახელებენ, რომელსაც ოფიციალურად ჰქვია „ტექნიკური რეგლამენტი მომხმარებლისთვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე“. ის პროდუქციის მწარმოებლებსა და მიმწოდებლებს ეტიკეტზე უფრო ვრცელი და რეალური ინფორმაციის განთავსებას ავალდებულებს.***

ივა ჭყონია, *დისტრიბუტორთა ასოციაციის ხელმძღვანელი:* „თუ რამე კონსენსუსამდე არ მივედით ხელისუფლებასთან, სავაჭრო ობიექტებში 1-ლი მარტიდან გამოცარიელებული დახლების წინაშე აღმოვჩნდებით. ჯერ კიდევ შარშან მივმართეთ ბიზნესომბუდსმენს თხოვნით, რეგულაციის ამოქმედება ექვსი თვით მაინც გადავადებულიყო. არის საკითხები, რომლებიც უფრო სიღრმისეულ შესწავლას ითხოვს. ქართულენოვანი ეტიკეტი პროდუქციის უმეტესობაზე დღესაც გვხვდება, მაგრამ ახალი რეგულაცია ამ ეტიკეტზე უფრო მეტი ინფორმაციის დატანას გვავალდებულებს. ეს 60-გვერდიანი რეგულაცია ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ რომელიღაც ქვეყნის კანონმდებლობიდან გადმოწერეს ქართულ რეალობასთან მისადაგების გარეშე. ადგილობრივი მწარმოებლების ნაწილი მომზადებული ხვდებოდა სიახლეს და ეტიკეტის კლიშეებიც შეუკვეთეს უცხოეთში, მაგრამ გასულ ოქტომბერში, ამოქმედებამდე რამდენიმე თვით ადრე, ცვლილებები შესულა მთავრობის 519-ე დადგენილებაში, ამიტომ კლიშეები, ფაქტობრივად, გამოუსადეგარი ხდება და ბიზნესის ასიათასობით ლარის ხარჯი წყალში გადაყრილი გამოდის.

ჩვენ ახალ რეგულაციას არ ვეწინააღმდეგებით, თუმცა არა — ბიზნესისთვის ზიანის მიყენების ხარჯზე. თუ მას წარმოება და მიწოდება გაუძვირდება, საბოლოოდ ეს მომხმარებელსაც დააზიანებს. ამ მიმართულებით მომუშავე სახელმწიფო მოხელე ვალდებულია, ყოველდღიური კომუნიკაცია ჰქონდეს ბიზნესთან, განსაკუთრებით — როცა ასეთი ცვლილება იგეგმება. ჩვენ მუდმივად ვითხოვდით კომუნიკაციას და ვთხოვდით გადავადებას, რადგან ჩვენთვის ბევრი რამ გაუგებარი იყო. მაგალითად,

დახლზე ვეღარ განათავსებ ფორთოხლის წვენს, რომელიც შეიცავს ფორთოხლის კონცენტრატს და მას შეფუთვაზე ფორთოხალი ახატია. დღეს რომ დახლზე ტარხუნის ლიმონათია და ეტიკეტზეც ტარხუნა ახატია, თუ დამზადებულია ამ პროდუქციის ექსტრაქტზე, ეტიკეტზე ტარხუნას ვეღარ დაახატავ. ევროპულ კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე ვსაუბრობთ და შეგხვედრიათ რომელიმე ევროპულ ქვეყანაში მსგავსი რამ? აი, ასეთმა ჩანაწერებმა შექმნა ბუნდოვანება და გარკვევას ვითხოვდით.

ჩვენთვის მიუღებელია ხელისუფლების დამოკიდებულება — ბიზნესი ხართ და უნდა გადაიხადოთო. ანდა გვეუბნებიან, რა ვალდებული ვართ აგიხსნათ, საკანონმდებლო მაცნეში წაიკითხეთო.

როცა ბიზნესს ცვლილებების შესახებ არ აცნობებ და მათ დასამტკიცებლად მთავრობას უგზავნი, ამას მავნებლობა ჰქვია.

ამიტომ ვამბობთ, რომ დისტრიბუტორების თითქმის 99% მოუმზადებელი დახვდება ამ ცვლილებას, ან დახლზე პროდუქცია არ უნდა გამოვიტანოთ, ან თუ მაღაზიებს არასრული ეტიკეტებით მივაწვდით, 2 მარტიდან სურსათის უვნებლობის სამსახური შეძლებს, დაგვაჯარიმოს. ყოველი ახალი დარღვევის აღმოჩენისას ჯარიმა 400 ლარია, განმეორებით შემთხვევებზე — 600 ლარი. ბიზნესისთვის რა მნიშვნელობა აქვს, რეკეტით წაართმევენ ფულს თუ ამას კანონით „გააპრავებენ“!

**„ბიზნესისთვის რა მნიშვნელობა აქვს, რეკეტით წაართმევენ ფულს თუ ამას კანონით „გააპრავებენ“**

შემოდის ვალდებულება, ყველა დაუფასოებელ პროდუქციას ჰქონდეს თერმული ეტიკეტი. ასაწონი პროდუქციის 100 გრამიც რომ აგიწონოთ გამყიდველმა, თერმული ეტიკეტი უნდა დაგიკრათ, რომლის ღირებულება 5-დან 50 თეთრამდე მერყეობს... თერმული ეტიკეტების გამოყენება, შესაძლოა, გამოსავალი იყოს, სანამ ახალი კლიშეები ჩამოვა, მაგრამ წარმოიდგინეთ, რამხელა ფინანსური და ადამიანური რესურსია საჭირო, რომ საწყობებში პროდუქციის მილიონობით ერთეულს თერმული ეტიკეტი დააკრა. ყველაფერი ბიზნესს აწვება, ის იძულებულია, გაზარდოს ფასები, ამით კი მომხმარებელი ზარალდება. 1-ლი მარტიდან, შესაძლოა, პროდუქციის მიუწოდებლობისთვის სუპერმარკეტებმა დაგვაჯარიმონ, ხოლო თუ ძველი ეტიკეტებით მივაწვდით — სურსათის უვნებლობის სამსახურმა.“

თენგიზ კალანდაძე, *სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობისა და სურსათის დეპარტამენტის ხელმძღვანელი:* „რეგულაცია მიღებულია ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე... ეს დადგენილება 2016 წელს მიიღეს და ბიზნესს მოსამზადებლად ორი წელიწადი და რვა თვე ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ბიზნესს როგორც სჩვევია, ბოლო წუთს დაიწყებენ ფიქრსა და სამზადისს. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რომ ამ რეგულაციების თაობაზე მათთვის ინფორმაცია დროულად მიგვეწოდებინა. გავმართეთ არაერთი შეხვედრა და განხილვა, დოკუმენტი ატვირთულია როგორც ჩვენი სამინისტროს, ისე — სურსათის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე. ბიზნესი არ უნდა დაზარალდეს და ამისთვის მათ დროც ჰქონდათ, მაგრამ ამ რეგულაციების მთავარი მიზანი მომხმარებლების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვაა.

ცვლილებები მხოლოდ ეტიკეტირების წესს არ ეხება. მაგალითად, ზოგჯერ გაიგონებთ, რომ პურის ესა თუ ის სახეობა „ომეგა 3“-ის წყაროა და სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის, სინამდვილეში კი ასე არ არის. ახალი წესით მწარმოებელი მომხმარებელს პროდუქციის შესახებ არარეალურ და გადაჭარბებულ წარმოდგენას ვეღარ შეუქმნის... სურსათში შემავალი ალერგენების შესახებ ინფორმაცია ეტიკეტზე სხვა ინგრედიენტების ჩამონათვალისგან უნდა გამოირჩეოდეს. მაგალითად, თუ მაქვს ალერგია ნუშსა ან სოიაზე, ეს ინფორმაცია ეტიკეტზე თვალში საცემი უნდა იყოს. ასევე ვერ მივიღებთ ბიზნესის პრეტენზიებს დამზადებულ კლიშეებსა და თერმულ ეტიკეტთან დაკავშირებულ დამატებით ხარჯებზე. თერმულ ეტიკეტს ახლაც გვიკრავენ ასაწონ პროდუქციაზე — რა ინფორმაციასაც შეიყვან შესაბამის მოწყობილობაში, ის იქნება დატანილი ეტიკეტზეც და მეტი ინფორმაციის განთავსება დამატებით ხარჯებთან დაკავშირებული ვერ იქნება. 519-ე დადგენილებაში შევიდა ერთი მარტივი ცვლილებაც — პროდუქციის ეტიკეტზე დამზადების თარიღიც უნდა იყოს მითითებული. თუ დააკვირდებით, ბევრი მწარმოებელი პროდუქციის დამზადებისა და ვარგისიანობის თარიღს არა ძირითად ეტიკეტზე, არამედ შეფუთვაზე სხვა ადგილას უთითებს. ბიზნესისთვის არ უნდა იყოს დამაბრკოლებელი გარემოება, რომ სურსათზე, სხვა ინფორმაციასთან ერთად, დამზადების თარიღიც მიუთითონ. ბიზნესი ცდილობს, შექმნას მოლოდინი, რომ 1-ლი მარტიდან დახლები, შესაძლოა, დაცარიელდეს. გარწმუნებთ, არც სახელმწიფო უწყებების განწყობაა იმგვარი, რომ ეტიკეტირების პირობების დარღვევის აღმოჩენისას 1-ლი მარტიდანვე დაიწყებენ სადამსჯელო მექანიზმების გამოყენებას. დაჯარიმება და სანქციების გამოყენება არ არის გამოსავალი. ჩვენ ვითანამშრომლებთ ბიზნესთან, რათა არც ის დაზარალდეს და მომხმარებელიც ინფორმირებული იყოს პროდუქციის შესახებ“.

***ემა ტუხაშვილი***

ტკივილი

# „გურანდა თავის ოთართან პაემანზე წავიდა“

*გურანდა გაბუნიას გარდაცვალებამ სახელგანთქმული მსახიობების უფროსი თაობა კვლავ დააობლა. ამ ქვეყნიდან კიდევ ერთი ნიჭიერი ხელოვანი წავიდა, რომელმაც აღიარებასთან ერთად ტკივილიც ბევრი განიცადა, ბოლო წლებში კი იმ ქვეყნად იმ ადამიანის გაცილებაც მოუხდა, ვის გარეშეც სიცოცხლეს სიცოცხლედ არ თვლიდა. მათ სიყვარულზე ლეგენდები დადიოდა.*

*გურანდა გაბუნიას გახსენება რეჟისორ ქეთი დოლიძეს ვთხოვეთ.*

**„ნიჭიერება ხშირად არის სიტყვაძუნწი და ოთარიც ასეთი იყო, სამაგიეროდ, გურანდა იყო ლაღი და მხიარული. ისეთი თხრობა იცოდა, შენც აგიყოლიებდა და გაგახალისებდა. ამ დროს ოთარის სახე უნდა გენახათ – რა სითბოთი უცქერდა“**



— ცხოვრებაში არის დანაკარგი, რომელსაც ვერაფერი შეავსებს. ასეთი იყო ჩემთვის გურანდა და მის გარეშე ძალიან გამიჭირდება. ახლა უფრო ვგრძნობთ, როგორ ვამაგრებთ ერთმანეთს ამ ძალიან მძიმე დროში, როცა ადამიანებს ერთმანეთისთვის ტალახის სროლა იოლად შეგვიძლია. მადლობა ღმერთს, ხშირად გავმხდარვარ გურანდას სიკეთის მოწმე. მის შესრულებულ როლებზე ბევრს არ ვილაპარაკებ — ისედაც ყველამ იცის, როგორი გამომსახველობა, პლასტიკა ჰქონდა, ის ხომ სუხიშვილების ანსამბლში ცეკვავდა. მხოლოდ იმას გავიხსენებ, რომ უცხოეთში გასტროლებისას მაყურებელს ატყვევებდა; უფრო ის მინდა ვთქვა, როგორი სიკეთის ნიჭი ჰქონდა და რის გაღება შეეძლო ხშირად უცხო ადამიანებისთვისაც მაშინაც კი, როცა თვითონ არაფერი ჰქონდა. არ დამავიწყდება, რას აკეთებდა, როცა სოხუმელი დევნილების შესახებ იგებდა — რაც შინ ჰქონდა, ლამის ყველაფერი გაჰქონდა მათ დასახმარებლად, უკან კი ბედნიერი ბრუნდებოდა, არადა, მე ხომ ვხედავდი, რომ რასაც მათთვის მიარბენინებდა, შეიძლებოდა თვითონაც არ ჰქონოდა — მაგალითად, პური, რომელიც მაშინ ყველას გვაკლდა.

— **გურანდა გაბუნია სოხუმიდან იყო...**

— მამამისი სოხუმის თეატრის რეჟისორი იყო, დედა — კინომსახიობი. როდესაც სოხუმში საომარი სიტუაცია იყო, გურანდა ჩვენთან ერთად მატარებლით წამოვიდა, რომ იქ რაღაც შეეცვალა. საუბედუროდ, ასე არ მოხდა და უკან გაგიჟებული ჩამოვიდა. ამბობდა, ამის შემდეგ ჩემი ცხოვრება ორად გაიყოო. თუმცა, მაშინ ოთარი ჰყავდა და ამით იყო ძლიერი.

— **მათ სიყვარულზე ლეგენდებს ჰყვებიან...**

— გურანდა 19 წლის იყო, როცა 27 წლის ოთარ მეღვინეთუხუცესი გაიცნო. ოთარი უკვე ცნობილი მსახიობი იყო, გურანდას კი არავინ იცნობდა, მაგრამ ეს ერთი ნახვით შეყვარება იყო, რასაც ორივე ყოველთვის ამბობდა. თუმცა თქმა რად უნდოდათ — ერთი შეხედვითაც მიხვდებოდით, როგორ სუნთქავდნენ ერთმანეთით. ოთართან ცხოვრება არ იყო იოლი — ნიჭიერება ხშირად არის სიტყვაძუნწი და ოთარიც ასეთი იყო, სამაგიეროდ, გურანდა იყო ლაღი და მხიარული. ისეთი თხრობა იცოდა, შენც აგიყოლიებდა და გაგახალისებდა. ამ დროს ოთარის სახე უნდა გენახათ — რა სითბოთი უცქერდა ბედნიერ გურანდას! მათ ერთად საოცარი წლები გაიარეს, გაჭირვებისაც და დალხინებისაც. ვისაც არ უნახავს, ალბათ, არც დაიჯერებს, რომ ისინი ნახევრად სარდაფში 15 წელი ცხოვრობდნენ. მხოლოდ მოგვიანებით მიიღეს ბინა დიღომში. სიცოცხლის ბოლოც ისეთივე მოკრძალებულ, პატარა ბინაში გაატარეს, როგორშიც იცხოვრეს.

ახლა გურანდას ნაცვლად მე მწყდება გული, რომ ოთარს გული ატკინეს და ისე გაუშვეს ამ ქვეყნიდან, თანაც — იმ ადამიანებმა, რომელთაც ყველაფერი მასზე მეტი ჰქონდათ, გარდა ნიჭისა.

— **გურანდა გაბუნიაც გამხდარა კრიტიკის ობიექტი პოლიტიკური შეხედულებების გამო...**

— ხანდახან ვამბობ, ქართველები ვიღაცამ დაგვწყევლა, ერთმანეთს ამდენ ტალახს რომ ვესვრით-მეთქი. სანამ ეს არ დამთავრდება, არაფერი გვეშველება. შეიძლება ადამიანი იმის გამო ლანძღო, რომ მას საკუთარი შეხედულება აქვს?! ჩვენში აქამდე მიცვალებულის პატივისცემა მაინც იცოდნენ, ახლა ესეც დაიკარგა. უკვე იმდენჯერ წავაწყდი არასასიამოვნო საუბარს გარდაცვლილი გურანდას მისამართით, ცუდად გავხდი...

გურანდა გაბუნიამ ბევრი რამ შექმნა და დატოვა... მადლობა რეჟისორებს, იმ საგანგებოდ შექმნილი როლებისთვის, რომ გურანდას ოთარის შემდეგ ეცოცხლა, თუმცა, ჩემი აზრით, როცა ოთარი წავიდა, გურანდასთვისაც მაშინ დამთავრდა ყველაფერი...

შესაძლოა, ეს შედარება არასწორია, მაგრამ ამ დღეებში სულ ის სიტყვები მახსენდება, ოთარმა რომ უთხრა მედეა ჯაფარიძეს დაკრძალვის დღეს: „მედიკო, შენ ყოველთვის ყველგან გაგვიანდებოდა. ეს ერთადერთი დღეა, როცა მოსვლა არ დაიგვიანე, რადგან რეზოსთან პაემანზე მოხვედი.“

გურანდაც თავის ოთართან პაემანზე წავიდა და მე მჯერა, რომ ისინი იმ ქვეყნად ერთად და ბედნიერები იქნებიან.

*ეთერ ერაძე*


მოულოდნელობითა და იდუმალებით აღსავსე ისტორიები

ახალი სერია – „ნამდვილი დეტექტივი“




წიგნი 12
დოროთი ლი სეიერსი
ვისი გვამია?



სპეციალური ფასი 5.50₾
ჟურნალთან ერთად 7₾

შემდეგი წიგნი ჟურნალ „გზასთან“ ერთად:
სერიიდან „ჩემი რჩეული მსოფლიო“
ჰერბერტ უელსი
„სამყაროთა ომი“
21-27 თებერვალი

14 – 20 თებერვალი ჟურნალ „გზასთან“ ერთად

იკითხეთ წიგნის მაღაზიებსა და პრესის გავრცელების წერტილებში ან დარეკეთ ნომრებზე: 0(32)2382673; 0(32)2382674 და www.elva.ge ადგილზე მოგართმევთ

ნამდვილი დეტექტივი

კოლორიტი

# გურული სიმღერის პატრიარქი

***გურიაში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ერთ ლამაზ სოფელ მაკვანეთში ხალხური სიმღერის ამაგდარი და უდიდესი ლოტბარების გამოზრდილი კაცი ცხოვრობს. ტრისტან სიხარულიძე კვლავ დიდი შემართებით უძღვება იმ მნიშვნელოვან საქმეს, რასაც გურული სიმღერის შენარჩუნება-განვითარება ჰქვია. მისი ერთხელ ნამღერი მეორეს არასოდეს ჰგავს, იმპროვიზაციის უნარით მშობლიური კუთხის სიმღერებს კიდევ უფრო ამრავალფეროვნებს. ანსამბლ „შვიდკაცას“ ხელმძღვანელსა და კრიმანჭულის უბადლო შემსრულებელს გურულებმა გურული სიმღერის პატრიარქიც კი შეარქვეს.***



**„გურული სიმღერის შემსრულებელმა კაცმა ტრაფარეტულად არ უნდა იცოდეს სიმღერა. მაგალითად, როცა „ჩვენ მშვიდობას“ ერთხელ ვიმღერებ, მეორე ნამღერი პირველს არ უნდა ჰგავდეს. „ხასანბეგურა“, რომელსაც ბევრი ხმა მღერის, შეიძლება ერთნაირად იმღერო, მაგრამ სადაც ტრიოს სიმღერაა, იქ უნდა „დაეტაკონ“ შემსრულებლები ერთმანეთს: ერთი რომ ზევით წავა, მეორე ქვევით უნდა დახვდეს და პირიქით...**

ტრისტან სიხარულიძე: — მოვხუცდი, ბიძია, 81 წლის და ნახევრის ვარ. ოზურგეთის სოფელ მაკვანეთში ვცხოვრობ, მე და ანზორ ერქომაიშვილს სიმღერის გარდა, ეს სოფელიც გვაკავშირებს. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ოზურგეთის ფილიალში ვმუშაობ კონსულტანტად, ანსამბლ „შვიდკაცას“ ვხელმძღვანელობ და კრიმანჭულს ვასწავლი. ისეთ ხალხთან მიწევდა მუშაობა და სიმღერა, როგორიც იყო მიხეილ შავიშვილი, „შვიდკაცას“ დამაარსებელი. მასზე ანზორ ერქომაიშვილმა თქვა, ბატონმა მიხეილმა მე-20 საუკუნე დახურა თავისი კრიმანჭულითო. მართლაც უბადლო შემსრულებელი იყო. ერთ დღეს მითხრა: ტრისტან, ახლა სცენაზე შენ უნდა თქვა კრიმანჭულიო. ასე გამაბედვინა ეს სიმღერა.

გურული სიმღერები მამამ, ილარიონ სიხარულიძემ მასწავლა, ტრიოს სასიმღერო რეპერტუარი ჰქონდა.

— **რომელი სიმღერები გასწავლათ?**

— „ჩვენ მშვიდობა“, „მასპინძელსა მხიარულსა“, „შავი შაშვი“, „ინდი-მინდი“... ყველაზე მეტად „ჩვენ მშვიდობა“ მიყვარს.

— **სიმღერა გურულებისთვის მძიმე შრომის თუ მწუხარების შემამსუბუქებელი იყო. თქვენთვის რა არის გურული სიმღერა?**

— სიცოცხლის გაგრძელებაა. გურული სიმღერის შემსრულებელმა კაცმა ტრაფარეტულად არ უნდა იცოდეს სიმღერა. მაგალითად, როცა „ჩვენ მშვიდობას“ ერთხელ ვიმღერებ, მეორე ნამღერი პირველს არ უნდა ჰგავდეს. ტრაფარეტული და ნოტებზე გადატანილი სიმღერა გურულს არ უხდება. სიმღერასაც უნდა განვითარება. მაგალითად, „ხასანბეგურა“, რომელსაც ბევრი ხმა მღერის, შეიძლება ერთნაირად იმღერო, მაგრამ სადაც ტრიოს სიმღერაა და სამი კაცი მღერის, იქ უნდა „დაეტაკონ“ შემსრულებლები ერთმანეთს: ერთი რომ ზევით წავა, მეორე ქვევით უნდა დახვდეს და პირიქით. ამას ყველა ვერ აკეთებს. ახლახან ბიძაშვილი გარდამეცვალა, გურული სიმღერების უბადლო შემსრულებელი, გური სიხარულიძე. ჩვენ ერთმანეთთან შეწყობილი ვიყავით, მე ვიცოდი, დაბლა როგორ უნდა ჩავსულიყავი, მან იცოდა, მაღლა როგორ ასულიყო და ასე. როცა ანზორ ერქომაიშვილი გვერდში გვყავდა, სამივეს სასწაულად გამოგვდიოდა სიმღერა. დისკიც გამოვუშვით.

მამამ შემაყვარა სიმღერა. ცოტა ზარმაცი ბავშვი ვიყავი და სულ მეუბნებოდა, ისწავლე, გამოგადგება აი სიმღერებიო, მარა რაღაც აგდებულად ვუყურებდი ამ საქმეს. ჩემი ბიძაშვილი გური (ძმათა შვილები ვიყავით) ჩემთან რომ მოვიდოდა, მამას ეტყოდა ხოლმე, ილარიონ ბიძია, ერთი, ეს სიმღერა გვასწავლეო. რომ დეიწყებდა, ერთ დღეში არ მთავრდებოდა და მამა მეტყოდა ხოლმე, წაი, ბიჯო, ამეიყვანე გური და დავამთავროთ დაწყებული საქმეო.

— **გურული სიმღერის პატრიარქიც შეურქმევიათ თქვენთვის...**

— ეგ ძალზე საპატიო წოდებაა... სიმღერის პატრიარქად მე ანზორ ერქომაიშვილს დაგისახელებდით. მეამაყება, რომ ნამღერი მაქვს ვლადიმერ და არტემ ერქომაიშვილებთან, ვლადიმერ ბერძენიშვილთან.

— **უცხოელებს ძალიან აინტერესებთ ქართული ფოლკლორი. თურმე მათაც უტარებთ გაკვეთილებს.**

— ყოველ წელიწადს, სულ ცოტა, 10-12 კაცი მაინც ჩამოდის სხვადასხვა ქვეყნიდან და სწავლობენ გურულ სიმღერას. ვერ წარმოიდგენთ, როგორი სისწრაფით ითვისებენ. პირველად, 1995 წელს, ფრანგები ჩამომიყვანეს. საფრანგეთში არის ქართული ანსამბლი „მარანი“ და იქ გურული სიმღერის მასწავლებლად მიმიწვიეს. მოხდა ისე, რომ ათი დღის მერე იქაურ ხელმძღვანელს უთხრეს, რასაც სწავლობთ, იუნესკოს დარბაზში გვიჩვენეთო. სიმღერის დრო რომ მოვიდა, ერთმა, ვისაც „ჩვენ მშვიდობა“ ვასწავლე, მითხრა, ამას ვერ ვიმღერებ, შემეშლება და თქვენ იმღერეთო. დავთანხმდი და სიმღერა რომ დავასრულეთ, მქუხარე აპლოდისმენტებით დარბაზი ლამის ჩამოიშალა. მომიახლოვდა ის ბიჭი და მეუბნება, ბატონო ტრისტან, ჩვენ როგორც გვასწავლეთ, ისე რატომ არ იმღერეთ, მე სხვანაირად ვიციო. მეც მოვუყევი კატის და ლომის იგავი, ხეზე აძრომა რომ არ ასწავლა ოსტატმა შეგირდს. ფრანგებმა ბევრი იცინეს.

ერთი ამერიკელი მეგობარი გვყავს, კარლ ლინიჩი, არაჩვეულებრივად მღერის ქართულ სიმღერებს. კრებს მოხალისეებს და შარშან 16 უცხოელი ჩამომიყვანა მაკვანეთში, ჩემთან ცხოვრობდნენ და 10 დღეში 10-12 სიმღერა ისწავლეს. ესაა, ამ ინგლისურს ვერაფერი მოვუხერხე, ვერ ვისწავლე.

— **ქართული სიმღერის სწავლაში ყველაზე ნიჭიერი რომელი ერის „შეგირდები“ აღმოჩნდნენ?**

— ფრანგები და იტალიელები. ერთმა მეგობარმა მითხრა, კაცო, შენ მაგათ რომ ქართულ სიმღერებს ასწავლი, მერე არ შემოგვიბრუნდნენ და არ თქვან, ეს სიმღერები ჩვენიაო. ვუთხარი, მე იმ ქართველის ნამღერი შევარცხვინე, განსხვავება რომ არ იქნება და უცხოელებს ამას რომ ათქმევინებს-მეთქი.

— **ამბობთ, გურული სიმღერა ჩემთვის სიცოცხლის გაგრძელებააო. როგორ გრძელდება ეს სიცოცხლე თქვენს შთამომავლობასა და იმ გარემოში, სადაც მოღვაწეობთ?**

— ჩემი ვაჟისგან არაჩვეულებრივი ბიჭები მყავს, ქალისგან — მსახიობი შვილიშვილი, ანა ქურთუბაძე, ტელესერიალ „შუა ქალაქში“ თამაშობდა. როცა შვილიშვილები ჩამოდიან, არ მასვენებენ, სიმღერების შესწავლა უნდათ. ოჯახში სიმღერის ტრადიცია გრძელდება. სამსახურშია და, 120 ბავშვს ფოლკლორის ცენტრში, უფასოდ ვასწავლით. ცენტრში შესანიშნავი სპეციალისტები გვყავს, რომლებიც ბავშვებს ხალხური სიმღერის გარდა, გალობას, ჩონგურის დაკვრას, ქორეოგრაფიასაც ასწავლიან.

— **მეუღლე თუ აამღერეთ?**

— მეუღლეც ავამღერე, მაგრამ სცენაზე ვერ გავაბედვინე სიმღერა.

*ნანა ფიცხელაური*

## „ეს კაცი სიმღერის სახელოსნოში აღიზარდა“

*გიორგი დონაძე, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორი:*

*— ტრისტან სიხარულიძე ძველი სკოლის წარმომადგენელია, დიდი ლოტბარების მოწაფე. საქართველოში ის გურული სიმღერის საუკეთესო მცოდნეა, პირველი და მეორე ხმის უბადლო შემსრულებელი. ბატონი ტრისტანი ერთადერთი კაცია, რომელიც ანზორ ერქომაიშვილთან ერთად აგრძელებს ტრადიციას. მღეროდა ვარლამ სიმონიშვილთან და არტემ ერქომაიშვილთან ერთად, მათ ათასობით საგალობელი იცოდნენ და ბატონ ტრისტანსაც ყველაფერი მათგან აქვს ნასწავლი. მამამისიც დიდი მომღერალი იყო და ვარლამ სიმონიშვილის გუნდში მღეროდა. ეს ადამიანი, ასე ვთქვათ, სიმღერის სახელოსნოში აღიზარდა, გურულ სიმღერაში საკუთარი სასიმღერო ელემენტები შეიტანა. მას ბოლო წლებში ბევრი ჩანაწერი აქვს გაკეთებული მის ბიძაშვილთან, უდიდეს მომღერალ და იმპროვიზატორ გური სიხარულიძესთან ერთად.*

*2015 წლიდან დავიწყეთ ზრუნვა იმაზე, რომ რეგიონებში გაგვეშალა ჩვენი საქმიანობა. მიუხედავად იმისა, რომ ფოლკლორის ცენტრი ძირითადად დაკავებულია ექსპედიციებით და რეგიონებში გვიწევს მუშაობა, გვინდოდა შეგვექმნა სკოლები, რომელთაც სალოტბარო სკოლები დავარქვით და ბავშვებს ვასწავლით ხალხურ სიმღერებს, საგალობლებსა და ქორეოგრაფიას. აქცენტი გაკეთებულია იმ კუთხის სიმღერებზე, სადაც ეს სკოლებია გახსნილი. აღვადგინეთ მომღერალ-მგალობლის ტრადიცია — დავიწყეთ ტრადიციული ქართული საგალობლების სწავლება, რომელიც ადრე სიმღერის განუყოფელი ნაწილი იყო. ამჟერად მუნიციპალიტეტებში 21 სალოტბარო სკოლა გვაქვს გახსნილი, სადაც 800-მდე ბავშვი უფასოდ ეუფლება სიმღერას. სალოტბარო სკოლის დამთავრების შემდეგ, ბავშვები იღებენ სერტიფიკატს და მათ საშუალება ეძლევათ ჩააბარონ გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უმაღლეს სასწავლებელში და შემდეგ დაუბრუნდნენ თავიანთ რეგიონს. 21 სალოტბარო სკოლაში 68 პედაგოგი გვყავს დასაქმებული და აქედან 70% ჩვენი კურსდამთავრებულია.*


14 თებერვლიდან ჟურნალში გზა

ელიფ შაფაქის - სიყვარულის 40 წესი




ბესტსელერი გაგრძელებებით

ელი 40 წლამდე მშვენიერი ცოლი და დედა იყო. შემდეგ კი მის ერთფეროვან ცხოვრებაში ქარიშხალივით შემოიჭრება ორი საოცარი და საოცნებო სამყარო: სიყვარული და... აღმოსავლეთი!

“ჩვეულებრივი ადამიანები, ხელოსნები, ვაჭრები და მეწვრილმანეები - ძალადობა აზრად რომ არასოდეს მოსვლიათ, ერთად რომ შეიყრებიან, ისე გამგელდებიან, თვალის დაუხამხამებლად მოგკლავენ...”

# ოტია იოსელიანი უმცროსი: „ბაბუს თვალზე მხოლოდ ერთხელ ვნახე ცრემლი...“


ოტია იოსელიანი-უმცროსი


ოტია იოსელიანი შვილიშვილთან ოტია უმცროსთან


ოტია იოსელიანი მეუღლესთან ერთად

**„ბავშვობიდან უყვარდათ ერთმანეთი. ბებო იყო ის ქალი, რომელთანაც ბაბუმ ცხოვრების დიდი ნაწილი გაატარა, ბებო იყო ოტიას წიგნების მთავარი რედაქტორი, თუ რამე არ მოსწონდა, პირდაპირ ეუბნებოდა, ასე არ ივარგებს და გაასწორეო“**

**„ბაბუა სამხატვრო აკადემიაში აბარებდა, მაგრამ ქართულში მიღებული ორიანის გამო ჩაიჭრა და სწორედ ამ ფაქტმა დააწყებინა წერა“**

*ჩვენი ცხელი მზის ბრალია, ალბათ, უსიყვარულოდ ვერა და ვერ ვძლებთ. თავაწყვეტილი ქარის ბრალია, რომ მივსდევთ ქალის გაფრენილ დალალს...*

*ოტია იოსელიანის შემოქმედებაში ქალს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, შესაბამისად, მის შვილიშვილთან საუბრის დროს ეს კითხვა, ვინ იყო ის ქალი, ვისზე ფიქრმაც ოტია იოსელიანს თავისი შემოქმედების დიდი ნაწილი დააწერინა, ერთ-ერთი პირველი იყო.*

*ოტია იოსელიანი-უმცროსი 27 წლისაა, ის არქიტექტორია, რამდენიმე წელია, რაც თბილისიდან წყალტუბოში დასახლდა, ბაბუის კარ-მიდამოს დაუბრუნდა. „ოტიას ეზო“ — ასე ჰქვია იმ ადგილს, სადაც მწერალმა თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი გაატარა. დღეს მის სახლ-კარს მისი შთამომავლები უვლიან. როგორი ბაბუა იყო ოტია და რა ახსენდება ყველაზე ხშირად მწერალი ბაბუის დარიგებიდან, **ოტია იოსელიანი** მოგითხრობთ:*


ოტია იოსელიანის სახლ-მუზეუმი წყალტუბოში

### ოტიას ცრემლი

— ოტიას თვალზე ცრემლი არც მის შვილებს უნახავთ და არც შვილიშვილებს, ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ბებია გარდაიცვალა — ქეთევან ფანცხავა. მაშინ პატარა ვიყავი და მომარიდეს, მაგრამ ოტიას სახე მაინც დავინახე, არასდროს დამავიწყდება, თურმე ესეც ტირის-მეთქი, გავიფიქრე.

მეშვიდე კლასში იყო ოტია, როცა ბებო მის კლასში სხვა სკოლიდან გადავიდა, ბავშვობიდან უყვარდათ ერთმანეთი. ბებო იყო ის ქალი, რომელთანაც ბაბუმ ცხოვრების დიდი ნაწილი გაატარა, მან არა მარტო შვილები გაუჩინა, არამედ ოტიას წიგნების მთავარი რედაქტორიც იყო, თუ რამე არ მოსწონდა, პირდაპირ ეუბნებოდა, ასე არ ივარგებს და გაასწორეო. ძალიან ხშირად თავიდან დაუწერია...

### „სითბოს გამოხატვა არ სჩვეოდა“

— ხატვაზე დავდიოდი. ბაბუს გარდაცვალების შემდეგ, როცა უკვე წყალტუბოში დავფუძნდი, ხატვის მასწავლებელმა დამირეკა, როცა ჩამოხვალ თბილისში, მესტუმრე, რაღაც მინდა გითხრაო. ვესტუმრე და ერთი ამბავი მომითხრო. ერთ დღეს, როცა გაკვეთილი მიმდინარეობდა, უცებ კარზე კაკუნი გაისმა. სამხატვრო სკოლაში ყველა კაკუნის გარეშე შედი-გამოდიოდა და ამიტომ უცნაურად მოსჩვენებია ხატვის მასწავლებელს. დაუძახია, შემოდითო, კაკუნი განმეორებულა, შემოდითო, ისევ დაუყვირია, მაგრამ მაინც არ გაჩერებულა სტუმარი. გაბრაზებულა მასწავლებელი, მაინცდამაინც



ფეხზე უნდა ამაყენოსო და თავად გამოუღია კარი, იქ კი ოტია მდგარა. კარგად დაჰკვირვებია, მერე იქაურობისთვის გადაუხედავს და უკითხავს, აქ ჩვენი ბიჭი სწავლობსო? მასწავლებელს უთქვამს, ჩემი უსაყვარლესი მოსწავლეაო. როგორ არის მაგის საქმე, გამოვა რამეო? ბაბუა ძალიან კარგად ხატავდა, სამხატვრო აკადემიაში აბარებდა, მაგრამ ქართულში მიღებული ორიანის გამო ჩაიჭრა და სწორედ ამ ფაქტმა დააწყებინა წერა. მისთვის მნიშვნელოვანი იყო, ვინ იქნებოდა ჩემი ხატვის მასწავლებელი. გამოიკითხა ჩემი ამბავი და წამოვიდა, ეს იყო სითბო, რომელიც ჩემ მიმართ გამოხატა, არადა, სითბოს გამოხატვა არ სჩვეოდა.

### „ცალ ხელში წიგნი და ჯვარი, მეორეში თოხი და ბარი!“

— 22 წლის ვიყავი, ბაბუ რომ გარდაიცვალა. სულ შენიშვნებს მაძლევდა, თუ ჟარგონს გაიგონებდა, მეუბნებოდა, დაგავიწყდა ქართულიო? ერთხელ მეგობრებთან ერთად ვესტუმრე, რომ გვაცილებდა, ჭიშკარს გამოცდენილები ვიყავით, დაგვიძახა აივნიდან, ცალ ხელში წიგნი და ჯვარი, მეორეში თოხი და ბარიო! ჩემი მეგობრები დღემდე იხსენებენ ოტია ბაბუს დარიგებას.

როცა ბაბუს აქებენ და მეუბნებიან, ოტია ისეთი კაცი იყო, ასეთი იყოო, მე ვეკითხები ხოლმე, რა გაქვთ წაკითხული-მეთქი და აღმოჩნდება, რომ არაფერი წაუკითხავთ. მხოლოდ სატელევიზიო ინტერვიუებიდან გამოაქვთ დასკვნა. მისი წიგნები უნდა წაიკითხონ და გაიცნობენ ოტიას, სწორედ მის შემოქმედებაში ჩანს, როგორი ფაქიზი და მგრძნობიარე ადამიანი იყო.

### ბოლო სიტყვები...

ოტიასთან სიცოცხლის ბოლო საათებში მამა იყო. ყველას რომ ეგონა, უგონოდ არისო, უცებ ჩაულაპარაკია, არ ყოფილა ისე, როგორც ტოლსტოი წერდაო... რამდენიმე საათში გარდაიცვალა კიდეც, სიცოცხლის ბოლო წუთებშიც კი თავის სიკვდილს ადარებდა ტოლსტოის გმირის სიკვდილს, რომელსაც ასევე სიმსივნე სჭირდა.

მის სახლში სხვადასხვა მოღვაწის უამრავი ფოტოა, მაგრამ ყველაზე მეტი ტოლსტოის, გალაკტიონისა და რუსთაველისაა, მსახიობებიდან კი სერგო ზაქარიაძის, რადგან სერგომ დააწყებინა პიესების წერა. სერგო ზაქარიაძეს რომ წაუკითხავს ოტიას მოთხრობები, უთქვამს, შენ პიესები უნდა დაწეროო. დაწერდა ბაბუ პიესას, შემდეგ სერგო ჩავიდოდა მასთან სტუმრად და აჩვენებდა იქვე, ექსპრომტად, როგორი იქნებოდა ესა თუ ის პერსონაჟი, იქვე თამაშობდა.

### „სიამოვნებით გამოვუშვებდით ლუდს, მაგრამ...“

ორი საქმე მაქვს: არქიტექტურა და ოტიას სახლ-მუზეუმი, მეურნეობა, რომელსაც ვერ შევეშვები. როდესაც ხალხი ოტიას სახლში მოდის, გარშემო გამხმარი ხეხილი ხომ არ იქნება?! ოტია თავად ამბობდა, რომ უპირველესად იყო მეურნე და გლეხი. ჩვენი ეზო სავენახედ არ ვარგა, რადგან ჩრდილოეთის ფერდობია, ვენახი სხვაგან გვაქვს, მაგრამ ეზოში ხეხილია, მარანი, ღვინოს ვაყენებთ, არაყს ვხდით. ახლა ლუდის მოხარშვაც დავიწყეთ. ჩარდახელი მევენახე, იაგო ბიტარიშვილი მეხმარება. მას ბებია ჰყავდა ოსი. ტრადიცია აღადგინა და ლუდის წარმოება დაიწყო. სამწუხაროდ, ჩვენი კანონმდებლობით თითქმის შეუძლებელია ლუდის წარმოება, ძალიან ძვირია აქციზი, დღგ-ს გადამხდელიც უნდა გახდე, ამიტომ ეს გლეხისთვის შეუძლებელია. სიამოვნებით გამოვუშვებდით ლუდს, კანონი რომ მაძლევდეს საშუალებას. ყველას მოვუწოდებ: დალიეთ ერთი ლიტრი და მიიღეთ სიამოვნება, ნუ დაიღლით ორგანიზმს, რადგან ცხოვრება მშვენიერია. არ არის აუცილებელი, გამაძღარი იყოს ადამიანი, შეიძლება ცოტა ჭამოს და ძალიან ნასიამოვნები დარჩეს.

*ნინო ნიჟარია*

მატიანე

# ბრიტანულ არქივებში შენახული

*იმ დროს, როდესაც რუსეთსა და ოსმალეთს შორის ყირიმის ომი მძვინვარებდა, საქართველოს რეგიონებში ოსმალეთის მოკავშირე ბრიტანელი ჟურნალისტები მოგზაურობდნენ და ევროპას ჩვენი ქვეყნის შესახებ ცნობებს აწვდიდნენ. მაგალითად, „დილის ლონდონის“ ერთ-ერთ გამოცემაში ჟურნალისტს (ფსევდონიმით კალედონიან მერკური) რეპორტაჟი პირდაპირ ხობიდან გაუგზავნია. ასეც მიუთითებიათ სტატიის ბოლოს: „დილის ლონდონის“ სპეციალური კორესპონდენტი ხობიდან. სტატიაში აღწერილია სამეგრელოს მკვიდრთა წეს-ჩვეულებები, ადათი და დამოკიდებულება როგორც მტრის, ასევე საზოგადოდ სტუმრის მიმართ. როდესაც ხობელებმა ჩვენი წარმოშობა გაიგეს, შინ მიგვიპატიჟეს, გემრიელი გოჭის ხორცით გაგვიმასპინძლდნენ — ამ ეშმაკური ჟესტით დარწმუნებულებმა, რომ ოსმალები არ ვიყავით, დიდი პატივი გვცეს და გამოგვიცხადეს, ძალიან კარგად ვიცით ბრიტანეთი, ინგლისი, თქვენი დედოფალი ვიქტორია და მას პატივს ვცემთო.*

*ბრიტანულ არქივებში დაცულ მასალებში მოთხრობილია იმ პერიოდის შესახებაც, როდესაც ოსმალები ზუგდიდში შესულან. მათთან ერთად მყოფი ბრიტანელი მოგზაურები და ჟურნალისტები აღფრთოვანებული წერენ დადიანების სასახლის შესახებ — აქ საოცარი სიმდიდრე და გემოვნება იგრძნობა, ყველაფერი უზადო და ნატიფია. ბევრი ლონდონელი დიდებულის ოჯახშიც ვერ ნახავთ ასეთ ნივთებს, ყველაფერი პარიზიდან ჩამოტანილს ჰგავს. მსოფლიოს წინაშე დანაშაული იქნება, თუ ვინმე ამ ყველაფერს უდიერად შეეხება და მით უფრო, განადგურებას ეცდება, ვინც უნდა გაიმარჯვოს ამ ომში, ოსმალეთმა თუ რუსეთმაო...*





**„ ჯერ საიმპერატორომ და შემდეგ ბოლშევიკურ-კომუნისტურმა რუსეთმა რკინის ფარდით არა მხოლოდ გაგვმიჯნა კულტურულად და ისტორიულად მონათესავე ევროპისგან, ჩვენი ისტორიის შესახებ ზუსტ ცნობებზე ხელმისაწვდომობაც გაგვიძნელა და საქართველოს ისტორია, რომელიც დიდხანს საბჭოთა კავშირის ისტორიაში იყო ათქვეფილი, ისე შეცვალა, როგორც მის იმპერატორულ ზრახვებს სჭირდებოდა. რუსეთს ხომ ყოველთვის ეშინოდა, რომ პატარა საქართველო უფრო დიდი იყო, ვიდრე დიდი რუსეთი...**

ეს და სხვა უმნიშვნელოვანესი მასალები შეაგროვა ხელოვნების სასახლის დირექტორმა გიორგი კალანდიამ ბრიტანეთის ეროვნულ მუზეუმში, სადაც რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული პროექტით იმყოფებოდა.

— ფონდის მიერ გრანტის გამოყოფის მიზანი იყო, საქართველოს შესახებ ისტორიული ცნობები შეგვეგროვებინა ევროპული არქივებიდან, სადაც თამამად შეიძლება ითქვას, ინახება ნეიტრალური მხარის — ბრიტანელი მოგზაურების და ჟურნალისტების შეკრებილი და მომზადებული მიუკერძოებელი ცნობები. ეს საშუალებას მოგვცემს, თავი დავაღწიოთ საბჭოთა ისტორიოგრაფიის ტყვეობას, როდესაც ჩვენი ქვეყნის მატიანე, ძირითადად, ჩვენივე მტრების მიერ შემონახული ცნობების მიხედვით იკინძებოდა და ხშირად მიკერძოებაში, მტრის ინტერესების დაცვაში, მეტიც — ქართველთა დაკნინების ცდაშიც გვაეჭვებს...

ყოველ დილით 7 საათზე ვდგებოდი და ჰაიდ პარკის მშვენიერი მინდვრებისა და ბაღების გავლით მივდიოდი სამყაროს ერთ-ერთ უდიდეს ბიბლიოთეკაში, სადაც პატარა ქვეყნის შვილი ამაყად ვეცნობოდი ჩემი ხალხის შემოქმედებითი ნიჭის არაერთ ნაყოფს. ამ ექსპედიციის შედეგად მივიღეთ 1000-ზე მეტი ციფრული გვერდი, ბევრი გამოუქვეყნებელი ისტორიული დოკუმენტი თუ ფოტო. თუმცა ჩვენს პროექტს კეთილის მსურველებსა და მხარდამჭერებთან ერთად მოქილიკენი თუ მაკონტროლებლებიც გამოუჩნდნენ. მალე პრეზენტაციას მოვაწყობთ და საკუთარი თვალით ნანახის შემდეგ, ალბათ, მტრულად განწყობილებიც შეიცვლიან პოზიციას. მე ჩემთვის არაფერს ვეძებ — ის, რაც თუნდაც ბოლო პერიოდში გაკეთდა, შეეძლო სხვასაც, სურვილი რომ ჰქონოდა. ჯობს ერთმანეთის დახმარების სურვილით განვიმსჭვალოთ, ვიდრე უსაფუძვლო ქიშპობით, რომელიც ყოველთვის ჩვენს მტერს აძლევდა ხელს. ეს ბრიტანეთის არქივებში დაცული ძველისძველი მასალებითაც ჩანს.

— **გქონიათ განცდა, რომ მასალა პაზლის დაკარგული ნაწილივით ავსებს ჩვენს ისტორიას, ან ის, რაც საეჭვო იყო, ნათელი გახდა?**

— დეტალებზე მოპოვებული მასალის სპეციალისტებთან ერთად დამუშავების შემდეგ ვილაპარაკებ. ბრიტანეთის ეროვნული ბიბლიოთეკის არქივებში დაცული რუკები და ცნობები ადასტურებს, რომ საქართველო უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო იყო ინგლისისა და მთელი ევროპისთვის. ვნახე რუკა საქართველოში წიაღისეულის, საბადოების შესახებ. ვუყურებდი და ვფიქრობდი — რა იქნებოდა, მუდმივად სპარსეთის, ოსმალეთის, მონღოლების, არაბებისა და რუსების საჯიჯგნი რომ არ ყოფილიყო ჩვენი მდიდარი და ჩამოთვლილთა მავნებლობით გაუბედურებული ქვეყანა? ამ დოკუმენტებში ჩანს, რომ ჯერ კიდევ მე-15 საუკუნიდან საქართველო ევროპის ნაწილად მიიჩნევა, თუმცა მოგვიანებით, მე-18 საუკუნეში, ევროპელები საქართველოს მსოფლიო რუკაზე აზიად მოიხსენიებენ.



ანანური

**„ ყველაფერი ჩაუხატავს ბრიტანელ მკვლევარ ტეფლერს, რომელსაც 1876 წელს უმოგზაურია საქართველოში. მასვე ეკუთვნის ოცამდე ესკიზი, რომლებზეც ასახულია საქართველოს სხვადასხვა მხარე, ქართველების ჩაცმულობა. თვალში საცემია ანანური. ესკიზზე ჩანს მოწესრიგებული და არქიტექტურულად დახვეწილი ინფრასტრუქტურა**

ალმაფრთოვანა ბრიტანელი მოგზაურების მიერ ჩვენი ტერიტორიების, ძეგლების, ხალხის, ქცევის, ჩაცმის, ადათების, წესების ზედმიწევნით ზუსტმა, მიუკერძოებელმა აღწერამ. მოგზაურები მოსახლეობას მაღალი კულტურის ხალხად აღიქვამდნენ.

ბევრი მასალა ინგლისურ ენაზეა, საჭიროა თარგმნა, გაანალიზება, რაც სულ სხვანაირად დაგვანახებს ყირიმის ომს და ამ ომში საქართველოს მდგომარეობას. აღმაშფოთა საქართველოზე რუსი გენერლის ჩივილმა. გენერალი ლეიტენანტი დენიკინი 1919 წლის 8 ნოემბერს ამიერკავკასიის



უფლისციხე

# ჩვენი ისტორია



„ბრიტანელმა მოგზაურებმა ქართველების ჩაცმის სტილი, ადათები, წესები, ზუსტად და მიუკერძოებლად აღწერეს. ისინი ჩვენ მაღალი კულტურის ხალხად აღგვიქვამდნენ“

„ამ დოკუმენტებში ჩანს, რომ ჯერ კიდევ მე-15 საუკუნიდან საქართველო ევროპის ნაწილად მიიჩნევა, თუმცა მოგვიანებით, მე-18 საუკუნეში, ევროპელები საქართველოს მსოფლიო რუკაზე აზიად მოიხსენიებენ“

სარდლობისგან მოითხოვს ქართული ჯარების ბზიფისკენ გადასროლას, საქართველოში რუსების უფლებებს არღვევენ და კავკასიაში ჩვენს უპირატესობას არ აღიარებენ. ამიტომ მოვითხოვ ქართველებმა დაუყოვნებლივ დაიხიონ ბზიფისკენო.

და ფაქტობრივად, რუსეთის მიმართ ტერორის ხელშეწყობაში ადანაშაულებს ქართველებს. ფაქტობრივად, იგივე სიტუაცია იყო, რაც დღეს...

არქივების გაცნობისას პირველად ვნახე რიონის დელტაზე ნაოსნობის ამსახველი ნახატები, ნავები, გემები. ყველაფერი ჩაუხატავს ბრიტანელ მკვლევარ ტეფლერს, რომელსაც 1876 წელს უმოგზაურია საქართველოში. მასვე ეკუთვნის ოცამდე ესკიზი, რომლებზეც ასახულია საქართველოს სხვადასხვა მხარე, ქართველების ჩაცმულობა. თვალში საცემია ანანური. ესკიზზე ჩანს მოწესრიგებული და არქიტექტურულად დახვეწილი ინფრასტრუქტურა.

— **კერძო პირების შესახებ დაცული მასალებიც ნახეთ?**

— დიახ. იმერეთის ერთ-ერთი დედოფლის წერილის ასლი წამოვიღე. დედოფალი რუსეთის იმპერატორს სთხოვს დახმარებას. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ის რუსების შექმნილი მდგომარეობის ტყვეა. არ ვიცი, რა ხდებოდა, მაგრამ ჩანს, რომ იმერეთის სამეფო კარზე იყო შიდა დაპირისპირება, რითაც რუსეთი ან ხელს ითბობდა, ან სულაც თვითონ იყო ამ დაპირისპირების მაპროვოცირებელი...

— **სამუშაო პროცესი მარტივი იყო?**

— ერთკვირიანი მოლაპარაკების შემდეგ ბრიტანეთის ბიბლიოთეკამ აზია-აფრიკის განყოფილების ოქროს ფონდიდან სამი უნიკალური ნიმუში გადმომცა დასამუშავებლად. ამისათვის ცალკე, დახურულ სივრცეში გამიყვანეს. ოთახში დაცვის საგანგებო ნორმებია დაწესებული. შესვლის შემდეგ კარი იკეტება, მაგიდასთან ჯდები, რომლის თავშიც მეთვალყურე ზის და მისი მკაცრი ზედამხედველობით იკვლევ საკითხს... გადმოცემული სამი ალბომიდან ერთ-ერთი, ძირითადად, მე-20 საუკუნის ეგვიპტის ცხოვრებას ასახავს. სწორედ აქ ვიპოვე უნიკალური ფოტო, რომელსაც აქვს ინგლისური წარწერა — „ქართველი მოცეკვავე გოგო“. ამ ქალბატონის გარეგნობას ქართველობის არაფერი შერჩენია. ალბათ, გადმოცემით იცოდა წარმოშობის შესახებ. არა მგონია, ჩვენებური საუბარი შესძლებოდა, მაგრამ ის რამხელა საქმეა, რომ წარმომავლობა ახსოვდა! თან ისე, რომ მისი ამბავი ინგლისელმა ოფიცერმა საკუთარ ალბომში შეიტანა. ჩემთვის ამ გასახარ ამბავს თანამედროვე ქართული ორიენტალისტიკის გამორჩეულ წევრს, ქართველ მამლუქთა ისტორიის დიდ მკვლევარს, პროფესორ გოჩა ჯაფარიძეს ვუძღვნი... ასევე მაქვს მასალები ეგვიპტეში მყოფი ქართველი ტყვე ქალის შესახებ. ცნობები ვინმე რობინზონს ჩაუწერია. მოპოვებული მასალების დამუშავების შემდეგ ბევრი სიურპრიზი გველოდება. მერწმუნეთ, არანაკლები მოუთმენლობა მჭირს, ვიდრე მაშინ, ბრიტანეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში რომ მივდიოდი და გული მიგრძნობდა, ჩვენ წინაშე ბევრი საიდუმლო გაცხადდებოდა. სამწუხაროა, რომ რუსეთმა — ჯერ საიმპერატორომ და შემდეგ ბოლშევიკურ-კომუნისტურმა — რკინის ფარდით არა მხოლოდ გაგვმიჯნა კულტურულად და ისტორიულად მონათესავე ევროპისგან, ჩვენი ისტორიის შესახებ ზუსტ ცნობებზე ხელმისაწვდომობაც გაგვიძნელა და საქართველოს ისტორია, რომელიც დიდხანს საბჭოთა კავშირის ისტორიაში იყო ათქვეფილი, ისე შეცვალა, როგორც მის იმპერატორულ ზრახვებს სჭირდებოდა. რუსეთს ხომ ყოველთვის ეშინოდა, რომ პატარა საქართველო უფრო დიდი იყო, ვიდრე დიდი რუსეთი. ამიტომაც მისი ჩექმა ყოველთვის უფრო მძიმედ აწვებოდა ჩვენს მიწას, რომ მისი შიშით ჩვენი ეროვნული სიდიადე არ გაგვხსენებოდა.



„ერთ-ერთი ალბომი ძირითადად, მე-20 საუკუნის ეგვიპტის ცხოვრებას ასახავს. სწორედ აქ ვიპოვე უნიკალური ფოტო, რომელსაც აქვს ინგლისური წარწერა – „ქართველი მოცეკვავე გოგო“. ამ ქალბატონის გარეგნობას ქართველობის არაფერი შერჩენია, მაგრამ რამხელა საქმეა, რომ წარმომავლობა ახსოვდა! თან ისე, რომ მისი ამბავი ინგლისელმა ოფიცერმა საკუთარ ალბომში შეიტანა“

*ეკა ლომიძე*



www.gemrielia.ge
გამოწერისთვის დაგვიკავშირდით ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74 ელ-ფოსტა: elva@elva.ge, www.elva.ge

პროფესია – მფრინავი

# ცის მაშველი „კრაზანები“

*როცა ცაში თეთრ-მწვანე „კრაზანა“ გამოჩნდება, ყველამ იცის, რომ საქართველოს შს სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის ავიაცია მნიშვნელოვან დავალებას ასრულებს. გარდა სასაზღვრო-პოლიციური საქმიანობისა, სპეციალური დანიშნულების ავიაცია მონაწილეობს სამაშველო ღონისძიებებში ზღვაზე, სასაზღვრო ზოლსა და სასაზღვრო ზონაში, განსაკუთრებულ შემთხვევებში კი — საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.*

*ბორჯომის ხანძრების დროს ქართველმა მფრინავებმა 217 საათი და 49 წუთი იფრინეს. ეს გამორჩეულად საპასუხისმგებლო დავალება იყო. როცა შენი ტყე იწვის, თავს ხანმოკლე შესვენების უფლებასაც ვერ აძლევ, — ამბობენ ბიჭები.*

*2018 წლის განმავლობაში სასაზღვრო ავიაციამ 25-მდე სამაშველო დავალება შეასრულა — ადამიანთა გადასარჩენად დაახლოებით 50 საათი ცაში გაატარა.*

*მფრინავები განსაკუთრებულად იხსენებენ 2017 წლის სამაშველო ოპერაციასაც, როცა 100-მდე ადამიანის გადარჩენა შეძლეს. ტურისტები ძლიერი წვიმის შედეგად შატილის ხეობაში ჩაიკეტნენ და რთული რელიეფური და კლიმატური პირობების გამო მათი უსაფრთხო ადგილზე გადაყვანა მხოლოდ შვეულმფრენით მოხერხდა.*

*შარშან ყაზბეგის მუნიციპალიტეტის დაბა სტეფანწმინდაში 38 წლის მამაკაცმა ელექტროხერხით ფეხი დაიშავა და ბევრი სისხლი დაკარგა. შემთხვევის ადგილზე მისულმა ექიმებმა თქვეს, რომ საჭირო იყო პაციენტის დაუყოვნებლივ ვერტმფრენით თბილისში წაყვანა, რადგან მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა. რეაგირება დროულად მოხდა — შს სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტისა და სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა დაშავებული მოქალაქე სტეფანწმინდიდან თბილისში სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენით ჩამოიყვანეს და, ბევრი სხვა ადამიანის მსგავსად, სიკვდილისგან იხსნეს.*



გიორგი ქორიძე

სოლომონ გორელაშვილი

გიორგი ქორიძე, *სასაზღვრო პოლიციის მაიორი, მფრინავი:* — ბაბუა, მამა და ბიძა მფრინავები იყვნენ. სოხუმში აეროპორტის გვერდით ვცხოვრობდი. ბაღშიც რომ მეკითხებოდნენ, ვინ გინდა გამოხვიდეო, ვპასუხობდი, მფრინავი-მეთქი. 6 წლის ვიყავი, როცა სოხუმიდან წამოვედით, მაგრამ ამ შეკითხვაზე პასუხი არც მერე შემიცვლია. 2003 წელს საავიაციო ინსტიტუტში ჩავაბარე, მერე აშშ-ში მართვის კურსი გავიარე. თავდაცვის სამინისტროში 10 წელი ვიმსახურე, შემდეგ კი სასაზღვრო ავიაციაში გადმოვედი. ბავშვობის ოცნება ავიხდინე — აკეთო ის, რაც გსიამოვნებს, უკვე წარმატებაა.

— **რა თვისებები უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ კარგი მფრინავი გახდეს?**

— უპირველესად — სიმამაცე, რადგან არასდროს იცი, ზუსტად სად, როდის და რის გაკეთება მოგიწევს. აუცილებელია, იყო გაწონასწორებული, შეგეძლოს სტრესულ სიტუაციაში მობილიზება.

— **სასაზღვრო პოლიცია ხშირად მონაწილეობს სამაშველო ოპერაციებში...**

— თავდაცვის სამინისტროში ხშირად ვმონაწილეობდი სამხედრო სწავლებებში. სცენარის მიხედვით, ნაღმზე აფეთქებული ადამიანის დახმარება და ბრძოლის ველიდან გამოყვანა გვევალებოდა. ეს გამოცდილება ახლა ძალიან მეხმარება. ყოველი შესრულებული დავალება განსხვავებულ ემოციას გიტოვებს. ყოფილა შემთხვევები, როცა დავალებიდან დაბრუნებულს, მხოლოდ მიწაზე გამიაზრებია მომხდარი და ავღელვებულვარ, მაგრამ ფრენისას ამაზე არ ფიქრობ.

## მაღალმთიან რეგიონებსა და ძნელად მისასვლელ ადგილებში მცხოვრები მოსახლეობის უპირველესი იმედი სასაზღვრო ავიაციაა. პოლიციის შვეულმფრენის იმედად მთაში არაერთი ოჯახი დაბრუნებულა

სოლომონ გორელაშვილი, *სასაზღვრო პოლიციის მაიორი, ბორტ-ტექნიკოსი:* — ბავშვობიდან ვოცნებობდი, მეფრინა. ამ ოცნების გამო ჩავაბარე ჯერ აკადემიაში, შემდეგ კი — საავიაციო ინსტიტუტში. ის ემოცია, რომელიც პირველი გაფრენის დროს დამეუფლა, არასოდეს დამავიწყდება, მაშინ 17 წლის ვიყავი. მერე შიში გაქრა. ახლა ყოველი გაფრენა დიდ სიამოვნებას მანიჭებს.

მაღალმთიან რეგიონებში ხშირად ვეხმარებით მოსახლეობას. გზა რომ იკეტება, სურსათი და პირადი ნივთები გადაგვაქვს. საოცარი შეგრძნებაა, როდესაც ხვდები, რომ ვიღაცის დახმარება შეძელი.

*თეა ხურცილავა*

მიიღე 52%-მდე ფასდაკლება
„პალიტრა L“-ის წიგნებზე
„პრინცესების უზარმაზარი პაზლი და წიგნი“
„მეკობრის უზარმაზარი პაზლი და წიგნი“



„პრინცესების უზარმაზარი პაზლი და წიგნი“
პოლი ძალიან ლამაზი გოგონა იყო, თუმცა ძუნწი, არავისთვის არაფერი ემეტებოდა.
ითამაშე პრინცესა პოლის სასახლეში, მიირთვი უგემრიელესი ტკბილეული და შეიძინე მეგობრები.
„მეკობრის უზარმაზარი პაზლი და წიგნი“
მეკობრე ჯეკს გემი დაეკარგა! დაეხმარე იპოვნოს თავისი მხიარული დოჯერი და იმოგზაურე მასთან ერთად ოკეანეში.

~~40 ₾~~
18.95 ₾

სუპერკუპონი



N4 N1 N3 N2

ამოჭერი, შეაგროვე, ააწყვე!

„კვირის პალიტრა“ თავის მკითხველს წიგნების დიდი ფასდაკლებით შეძენის ახალ საშუალებას სთავაზობს – ეს სუპერკუპონია. იგი შედგება 4 ნაჭრისგან (კუპონისგან), რომლებიც ქმნის წიგნის ყდის ერთიან სურათს. კუპონები შეგიძლიათ იპოვოთ გაზეთის ნომრებში, პირველ გვერდზე, ქვედა მარცხენა კუთხეში. თითოეულ კუპონს თავისი ნომერი აქვს. იმისთვის, რომ მიიღოთ სუპერფასდაკლება, საჭიროა შეაგროვოთ ოთხივე კუპონი (N1, N2, N3 და N4) და წარადგინოთ „ბიბლუსის“ ნებისმიერ მაღაზიაში.

ამ ნომერში თქვენ იპოვით სუპერკუპონის N1 კუპონს. იგი საჭიროა გამომცემლობა „პალიტრა L”-ის წიგნებზე - „პრინცესების უზარმაზარი პაზლი და წიგნი“ „მეკობრის უზარმაზარი პაზლი და წიგნი“ შესაძენად. ოთხივე კუპონის წარდგენის შემთხვევაში, 40 ლარის ნაცვლად, მხოლოდ 18.95 ლარს გადაიხდით. ამგვარად, ექვსტომეულს მიიღებთ 52%-მდე ფასდაკლებით. იყავით ყურადღებით და ამოჭერით კუპონები სპეციალურად მონიშნული პუნქტირის მიხედვით.



# მამულ-დედული

ჩანართი გამოდის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის კურთხევით

№7 (264) 11 – 17 თებერვალი, 2019 წელი



## ტოპიარი: ბუჩქში ნაკვეთი სამყარო

იხილეთ გვ. 17

### „ალბათ, ყვავილებსაც ვუყვარვარ“

*როგორც აღმოჩნდა, ცნობილი ენდოკრინოლოგი ლაშა უჩავა მცენარეებსაც „კურნავს“ — უვლის, ამრავლებს და მწვანე გარემოს შესაქმნელად ზრუნავს. უამრავ მცენარეს ახარებს შინ და სამსახურში.*



იხილეთ გვ.16,17

### „7-სახოვანი“ ჩვენებური „ხეკაკუნა“



იხილეთ გვ. 18

### ევროპამ მარტვილის ხურმას გემო გაუგო

*ხურმასა და მის ჩირზე ჩვენში რომ დიდი მოთხოვნაა, წლევანდელი სეზონიც კმარა, როცა იანვარში 1 კგ ხურმა ბაზარზე 5 ლარი ღირდა, ჩირი კი — სამჯერ მეტი. ბოლო წლებში ქართულ ხურმაზე მოთხოვნა უცხოეთშიც გაჩნდა.*



იხილეთ გვ. 16

## კითხვა-პასუხი

**ალუბლის ხე გამოყოფს წებოს. ეს ხომ დაავადებაა და რა უშველის?**



— ამ დაავადებას გომოზი ჰქვია. ალუბალსა და სხვა კურკოვანი ხეხილის ქერქზე ჟონავს გუმფისი ანუ ხის წებო და ზედვე ახმება. განკურნება ძნელი არ არის. ამისთვის თავდაპირველად ხე უნდა გაიწმინდოს. ბაღის დანით მოაშორეთ გუმფისის წარმოქმნის ადგილები, სანამ ჯანსაღი მერქანი არ გამოჩნდება.

შემდეგ საჭიროა „ჭრილობის“ დეზინფექცია 1%-იანი ბორდოს ხსნარით (ანუ შაბიამნისა და კირის ნარევით). მის დასამზადებლად 100 ლ წყალზე საჭიროა 1 კგ კრისტალური შაბიამანი და 700-800 გრამი ქვაკირი (კირი უნდა იყოს ნატეხები, უნდა დანამოთ წყლით. რომ დაიშლება, გააკეთეთ კირის „რძე“ და შაბიამნიან ჭურჭელში ჩაასხით უწყვეტ, წვრილ ნაკადად, თან შეუჩერებლად ურიეთ).

ეს პროცედურა აუცილებლად ყოველწლიურად უნდა გაიმეოროთ.

**გთხოვთ, მოგვითხროთ კარტოფილის დაავადებებსა და მკურნალობაზე. განსაკუთრებით იმ შემთხვევაზე, როცა ყვავილობამდე გადაიკრავს ჟანგისფერს, რომელიც ვრცელდება მთელ პლანტაციაზე, შემდეგ კი ძალიან სწრაფად, ყვავილობის გარეშე ჩახმება.**



— კარტოფილის იმ უამრავ დაავადებას შორის, რაც დღეისთვის ცნობილია, ყურადღებას იმსახურებს 20-მდე ყველაზე გავრცელებული და განსაკუთრებით საშიში დაავადება.

ერთი უმნიშვნელო ნიშნით, რასაც თქვენ გვიმხელთ, ძნელია დაავადების სახეობის დადგენა. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, თქვენს პლანტაციას უნდა ჰქონდეს ე.წ. ფიტოფტოროზი, ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადება. მის თავიდან ასაცილებლად საჭიროა:

1. სათესლე ტუბერები გაღივდეს სინათლეზე და ამის შემდეგ გადაირჩეს. 20-25 დღის შემდეგ ტუბერებზე ფიტოფტოროზის ნიშნები — მუქი ფერის ლაქები გამოჩნდება.

2. გასაღივებლად ან დასათესად გადარჩეული ტუბერების შეწამვლა ხსნარით — 2 გ შაბიამანი და 10 გ კალიუმის პერმანგანატი გახსენით 10 ლ წყალში და შეასხურეთ 100 კგ კარტოფილს.

**რატომ მოიწყინეს ოთახის მცენარეებმა?**

— ოთახის მცენარეთა მოწყენას ბევრი მიზეზი აქვს: ნიადაგის გამოფიტვა, არარეგულარული რწყვა, რომელიმე მინერალური ნივთიერების ნაკლებობა, გადაჭარბებული რწყვა, ჰაერის გამოშრობა, ტემპერატურა და სხვ.

ეცადეთ, მცენარეები განალაგოთ მათთვის შესაფერის ადგილას განათების, ტემპერატურისა და ტენიანობის მიხედვით. მცენარეთა დიდ ნაწილს არ უყვარს მზის პირდაპირი სხივები. ზოგს კი, მაგალითად, კაქტუსებს, მზის გარეშე უჭირთ. ოთახში ჰაერის გამოშრობის შემთხვევაშიც შეიძლება მოიწყინონ მცენარეებმა, ამიტომ საჭიროა ჰაერში წყლის გაფრქვევა. თუ მცენარეს საიდანმე ცივი ჰაერი უქრის, მოიწყენს.

*კითხვებს უპასუხებს სწავლული აგრონომი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ფიტოთერაპევტი ნიკოლოზ იოსებიძე*



## „მთავარია, ჩვენ





### ყვავილების რეანიმაცია ცნობილი ენდოკრინოლოგისგან – ლაშა ექიმი მცენარეებსაც „კურნავს“

*(დასაწყისი გვ. 15)*

— მცენარეებს ვუვლი, როგორც მოყვარული მებაღე და მეყვავილე. სახლში მცენარეები სულ იყო და მათზე ზრუნავდნენ. შემდეგ ამგვარი დამოკიდებულება მეც გადმომეცა.

ჩემი სფერო — ენდოკრინოლოგია, ჯანმრთელობის გარდა, ესთეტიკურობასაც მოიცავს, ნივთიერებათა ცვლის გაჯანსაღება ალამაზებს ადამიანს. ესთეტიკურობა ყველაფერში კარგია და რა თქმა უნდა, ლამაზი მცენარეებიც გამორჩეულად სასიამოვნოა. მათგან ბევრი ენერგია მოდის. გარდა იმისა, რომ სიმწვანე ჟანგბადის წყაროა, გარემოსაც ალამაზებს. ამიტომ, როცა

## ევროპამ მარტვილის ხურმას გემო გაუგო

*(დასაწყისი გვ. 15)*

***საბედნიეროდ, ხურმისა და მისი ჩირის საშრობი მაცივრები რამდენიმე რაიონში აშენდა, მათ შორის — მარტვილში. კაპიტონ კაკულიამაც ხურმის საწარმოებლად კოოპერატივი შექმნა და ხურმის საშრობი პროექტით „აწარმოე საქართველოში“ ააგო.***

— ხურმის აღიარება არც ქართულ ბაზარზე მიკვირს და მით უფრო, არც — უცხოურ ბაზარზე, რადგანაც ხურმის სასარგებლო თვისებებისა და მომგებიანობის მოწმე ბავშვობიდან ვარ. ჩვენს უფროს თაობებს საბჭოთა ბაზრის გარდა ბაზარი არ ჰქონდათ, მაგრამ ჩვენი ხურმა აქაც კარგად იყიდებოდა. ზოგი გლეხის ოჯახში 10-15 ტონა ხურმა მოდიოდა.

**მარტვილის ხურმის ბაღები არასოდეს გაჩეხილა — მრავალტონიანი მაცივრების ნაცვლად, ხალხი ხურმას ბუნებრივად აშრობდა და ასე ცდილობდა ბაზარზე გატანას. ზღვითაც გაჰქონდათ უკრაინასა და რუსეთში. ეს ბაზრები გლეხობამ დღემდე შეინარჩუნა. ბოლო წლებში ეს ბაზარი უფრო გააქტიურდა და ევროპის ბაზარიც გამოჩნდა.**

ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ჩასულმა ჩვენებურებმა ჯერ თითო-ოროლა კილოგრამი ხურმის ჩირი გაიტანეს ევროპულ მაღაზიებში და რაკი ბაზარს მოეწონა, სამაცივრე მეურნეობების აგებაც დაიწყეს. მეც შევქმენი კოოპერატივი და სამაცივრე მეურნეობაც ავაწყვე. ჩვენი ხურმის ხეები ხშირად მაღალიც იზრდება. ბუნებრივია, მათ მიწიდან ვერ შეწამლავ. ფაროსანა იმდენად ვერ აზიანებს ხურმის ნაყოფს — მისი ყვავილობისა თუ მსხმოიარობის დროს ამ მავნებელს სხვა საკვებიც აქვს, მაგრამ საქმე ის არის, რომ მას ობის სოკო გადააქვს, რომელიც ნაყოფს ხეზე აღარ აჩერებს და დამწიფებამდე ცვივა. ვისაც დაბალი ბაღები ჰქონდა და შეწამვლა მოახერხა, ხურმის მოსავალი მიიღო.



სამაცივრე მეურნეობებმა ხურმის ჩირი მაინც დავამზადეთ. როცა დავინახე, რომ ჩემს ბაღში ძალიან ცოტა ხურმას მოვიწევდი და უშემოსავლოდ დავრჩებოდი, იოლი გზა გამოვნახე ფეხზე დასადგომად — ხურმა აღმოსავლეთ საქართველოს, კახეთის სხვადასხვა სოფელში ვიყიდე — 1 კგ 70 თეთრად, მაცივრით ჩამოვიტანე და ჩირი დავამზადე. სხვებიც ასე მოიქცნენ.

**— ამით თქვენც იხეირეთ და კახელი მეურნეებიც ახეირეთ...**

— მართალია. თუ ქართველი კაცი ქართველ კაცს ახეირებს, ამას რა აჯობებს! წლეულს 7 ტონა ხურმა მაინც შევინახე და მოგებაც დამრჩა — ხურმის ყიდვა 70 თეთრი დამიჯდა, ჩირი კი კილოგრამი 14-15 ლარად ჩაიბარეს. ჩვენი ჩირი იქ იყიდება, სადაც ტურისტების დიდი ნაკადი მოძრაობს. მათ მოსწონთ ხურმის ჩირი, ასე რომ, წაგებული ნამდვილად არა ვარ.

**— არც ხურმის ბაღს უპირებთ გადაჭრას...**

— აბა, რას ამბობთ? პრობლემები ყოველთვის არის. ხურმის შედარებით დაბალი ბაღების გაშენებაც შეიძლება, რომელსაც შეწამვლა უხერხდება.

ისეთი მიწა გვაქვს, მხოლოდ ხურმა და თხილი კი არა, ბევრი რამ მოგვცემს შემოსავალს. მაგალითად, ჩაიც გავაშენე და მომავალში მის რეალიზაციასაც ვაპირებ.

*ეთერ ერაძე*

# ერთმანეთს გავუგოთ“



„მცენარეები მაქვს სამუშაო ოთახში, ფოიეში, კლინიკასთან პატარა ბაღშიც, სიმწვანე და სილამაზე პაციენტებსაც მოსწონთ“



საცხოვრებლად მარტო გადავედი, არც დავფიქრებულვარ, სახლი მომერთო თუ არა ყვავილებით... მას შემდეგ მცენარეებს ვაგროვებ. საზღვარგარეთ თუ მიწევს ყოფნა, იქიდანაც მომაქვს ბოლქვები, ნერგი.

ნერგი წყლით სავსე ბოთლითაც ჩამომიტანია. მეგობრები დამცინიან, — ნახევარი ჩემოდანი ბოთლებში ჩაწყობილი ნერგებიაო, მაგრამ მომაქვს იმ მცენარეთა ჯიშები, რომელიც საქართველოში არ მოიპოვება.

— **ძალიან დაკავებული ხართ და ამის მიუხედავად, მცენარეებისთვის მაინც იცლით...**

— მათთვის დროს მაინც ვპოულობ. ალბათ, ყვავილებსაც ვუყვარვარ. ჩემს გრაფიკს ერგებიან. როცა რაღაც დროით მათი დატოვების შემდეგ შინ ვბრუნდები, ყველა მცენარეს ვესალმები, ვეფერები, მოვიკითხავ. არასდროს მოწყენილი არ მხვდებიან, ალბათ, მელოდებიან... ყვავილებიც ხომ ცოცხალი არსებები არიან და გრძნობენ ჩემს განწყობას. ასე ვცვლით მე და მცენარეები ერთმანეთში ენერგიას.

— **როგორც ექიმი, მცენარეთა თერაპიასა და სამკურნალო თვისებებზე რას გვეტყვით?**

— გარდა იმისა, რომ დადებით ენერგიასა და ჟანგბადს გამოყოფენ, მათი სილამაზეც მოქმედებს ჩვენს გუნება-განწყობაზე, ფსიქოლოგიურ სტატუსზე, შესაბამისად, ჯანმრთელობაზე. ზამთარში ყვავილობს ორქიდეა, რომელიც ძალიან ლამაზი მცენარეა. როცა ვუყურებ, ვხალისდები, ამიტომაც არის მათთან ურთიერთობა მნიშვნელოვანი. მეგობრებიდან ბევრს უთქვამს, — ჩემთან ყვავილი არ ხარობს, ვერ ვუვლი და ა.შ. მაგრამ ესეც ალბათ ჩვენს ხასიათზეა დამოკიდებული, რამდენად გვიყვარს და შეგვიძლია მათთან ურთიერთობა.

— **როგორ მცენარეებს არჩევთ — მოყვავილეებს, არამოყვავილეებს, მასიურებს?**

— მნიშვნელოვანია, როდესაც შევხედავ, ერთმანეთს გავუგოთ. ლამაზიც უნდა იყოს. მათგან ზოგს გარეთ ყოფნა უყვარს, ზოგს მზიანი ოთახი. ამიტომ ყველა ნიუანსს ვითვალისწინებ. თუ ვიცი, რომ ოთახში ან აივანზე ვერ გაძლებს, არ ვყიდულობ.

მირჩევნია, შინ არ მოვიტანო, ვიდრე მქონდეს და ვუყურო, როგორ წვალობს, შესაბამისად, ის ნეგატიურ განწყობასაც ქმნის.

ამიტომ იმის მიხედვით ვირჩევ, რომელი მოუხდება სახლს და სახლი — რომელს...

— **შარშან ქალაქის მერიის გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობდით, რომელიც თბილისის გამწვანებას ეხებოდა. თუმცა ვერ გაიმარჯვეთ.**

— ეს იყო „სიცოცხლით სავსე ქალაქის“ პროექტი, რომელსაც მე „ჟანგბადით სავსე ქალაქი“ დავარქვი. პროექტი გულისხმობდა ყველა აივანსა და სახურავზე მოწყობილიყო მწვანე საფარი, რომ ჟანგბადით უფრო გაჯერებულიყო ქალაქი.

**„ალბათ, ყვავილებსაც ვუყვარვარ – ჩემს გრაფიკს ერგებიან. როცა შინ ვბრუნდები, ყველა მცენარეს ვესალმები, ვეფერები, მოვიკითხავ. მოწყენილი არასდროს მხვდებიან, ალბათ, მელოდებიან...“**

ევროპის ნებისმიერი ქალაქი მწვანე საფრითაა სავსე, ზრუნავენ ეკოლოგიაზე, ჰაერსა და ჯანმრთელობაზე. მწვანე საფარი უნდა იყოს ბევრი, თუ გვინდა, სიცოცხლით სავსე ქალაქი გვქონდეს. ჩემი პროექტი სწორედ ამას ნიშნავდა, რომ კორპუსების მოსახლეობა დაეინტერესებინათ საკუთარი აივნების, სახურავების, ეზოების გამწვანებით. ვიმედოვნებ, მოვა დრო, მსგავსი რამ თბილისში მაინც გაკეთდება.

— **მცენარეები სამსახურშიც გაქვთ...**

— სამსახურში უფრო დიდ დროს ვატარებ, ვიდრე შინ, ამიტომ იქაც ვზრუნავ მათზე, რათა შევქმნა გარემო, სადაც თავს კომფორტულად ვიგრძნობ. მცენარეები მაქვს სამუშაო ოთახში, ფოიეში, კლინიკასთან პატარა ბაღშიც, სიმწვანე და სილამაზე პაციენტებსაც მოსწონთ. შესაძლოა, მცენარეს რაღაც ნაწილი მოატეხონ, რაზეც გული მწყდება, თან ვიმედოვნებ, რომ ისინიც გაახარებენ...

— **გამორჩეულად რომელი ყვავილი გიყვართ?**

— ჟასმინი, რომელიც მთელ აივანზე კედელსაა მოდებული და გაზაფხულზე, როცა ყვავის, არაჩვეულებრივ სურნელს ატრიალებს. ორქიდეებიც ძალიან მიყვარს. ყოფილა შემთხვევა, კლინიკაში პაციენტებს სხვადასხვა ექიმისთვის მიურთმევიათ, მაგრამ რატომღაც ყველა ოთახში ფუჭდებოდა და ჩემთან შემოჰქონდათ სარეანიმაციოდ. მიხარია, როდესაც ჩემი რეანიმირებული ორქიდეები დღემდე ყვავილობენ სხვადასხვა ექიმის კაბინეტებში, თავიანთ პატრონებთან. ნუ მოვიკლებთ ამ სიამოვნებას — ვიყოთ ახლოს ბუნებასა და მწვანე გარემოსთან.

**ლალი ფაცია**

# ტოპიარი — ბუჩქნარის სკულპტურა

ბუჩქებისა და ხეების ფიგურული კრეჭა უძველესი საბაღო-საპარკო ხელოვნებაა. ევროპაში ტოპიარი რენესანსის ეპოქაში გაჩნდა, როცა ბაღებსა და პარკებში დაიწყეს ბუჩქებისა და ხეების პირამიდების, კუბების, სფეროების, შემდგომ კი — ცხოველების, ადამიანებისა თუ არქიტექტურული ნაგებობების ფორმით კრეჭა...

თავის დროზე ტოპიარი გაჩნდა ვერსალში, საიდანაც ჰოლანდიაში გავრცელდა, ხოლო 1660 წლიდან ინგლისში შეაღწია (ინგლისური სიტყვა Topiary ბერძნული წარმოშობისაა და ადგილს ნიშნავს, ლათინური Topiaria კი — საბაღე ხელოვნებას), სადაც ძალიან პოპულარული გახდა.

დღეს ევროპასა თუ ამერიკის კონტინენტზე ტოპიარის ფესტივალები იმართება, სადაც შესანიშნავი ნიმუშების ნახვა შეიძლება.

საბაღე სკულპტურების შესაქმნელად სპეციალისტები იყენებენ უჟანგავი რბილი მავთულის კარკასებს, სხვადასხვა დეტალისთვის კი (თვალები, ნისკარტი და სხვ.) არც თანამედროვე მასალის გამოყენებაზე ამბობენ უარს.









ევროპასა თუ ამერიკის კონტინენტზე ტოპიარის ფესტივალები იმართება, სადაც შესანიშნავი ნიმუშების ნახვა შეიძლება

მამულ-დედული

# „7-სახოვანი" ჩვენებური „ხეკაკუნა"

***კოდალა — ამ სიტყვის გაგონებისას ადამიანების უმრავლესობას ბავშვობა ახსენდება. კოდალას შესახებ ბაღის ასაკიდან გვიყვებიან, ის უამრავი ლექსისა და ზღაპრის მთავარი გმირია, მაგრამ ამ უჩვეულო არსებაზე ბევრი რამ მაინც არ ვიცით. რით არის გამორჩეული კოდალა და რა ადგილი უჭირავს ფრინველთა სამყაროში? — ამ შეკითხვას ილიას უნივერსიტეტის მკვლევარი-ორნითოლოგი ზურაბ ჯავახიშვილი უპასუხებს.***



შავი კოდალა, ანუ „ხეკოდა"



ჭრელი კოდალა, ანუ „ხეკაკუნა" არსებობს დიდი, საშუალო და მცირე

— კოდალა ტყის ფრინველია. მისი სხვადასხვა სახეობა სხვადასხვა ტიპის ტყეებში ბინადრობს. საქართველოში გვხვდება შვიდი სახეობის კოდალა: დიდი ჭრელი კოდალა, საშუალო ჭრელი კოდალა და მცირე ჭრელი კოდალა, ასევე — თეთრზურგა, სირიული, მწვანე და შავი კოდალა. ამ სახეობებს ქართველმა ორნითოლოგებმა თავიანთი სახელი შეარქვეს, მაგალითად, შავ კოდალას „ხეკოდა" ჰქვია, ხოლო ჭრელ კოდალას — „ხეკაკუნა". ამ ფრინველს საქართველოში ორნითოლოგი ივანე ჩხიკვიშვილი სწავლობდა, რომელსაც კოდალებზე არაერთი ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული.

**— ამ შვიდ სახეობას შორის რომელია ყველაზე გავრცელებული და პირიქით — რომელი სახეობაა ყველაზე იშვიათი?**

— ყველაზე გავრცელებული დიდი ჭრელი კოდალაა, რომელიც შეიძლება ყველგან ვნახოთ, სადაც ტყე, პარკი ან ბაღია. მაგალითად, ვაკის პარკში თუ დააკვირდებით, ამ შვიდი სახეობიდან ხუთს მაინც იპოვით და ყველაზე მეტი სწორედ დიდი ჭრელი კოდალა იქნება. ყველაზე მცირერიცხოვანი თეთრზურგა კოდალაა. მისი საარსებო გარემო სპეციფიკურია, საცხოვრებლად უღრან წიფლნარებს ირჩევს, ამგვარ გარემოში ცხოვრებას არის შეგუებული. ჩვენს უნივერსიტეტში უკვე შემუშავდა პროექტი, რომლითაც თეთრზურგა კოდალას გავრცელების არეალი, ამ პოპულაციის რაოდენობა და მდგომარეობა უნდა შევისწავლოთ. ეს აუცილებელია, რადგან ეს სახეობა საქართველოში იშვიათია. პროექტს წლეულს, გაზაფხულზე დაიწყებს ჩვენი ჯგუფი. ეს დრო იმიტომ შევარჩიეთ, რომ გაზაფხული კოდალას გამრავლების პერიოდია და ამ დროს მათი პოვნა ყველაზე იოლია.



მწვანე კოდალა

კოდალას დიდ საფრთხეს უქმნის ტყეების განადგურება. თეთრზურგა კოდალაც იმიტომ არის ცოტა, რომ წიფელი შეშადაც გამოდგება, მისი მასალაც კარგია და წიფლნარები იჩეხება. ძალიან საინტერესო სახეობაა სირიული კოდალა, რომელიც ძირითადად თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთში ბინადრობს. მისი საცხოვრებელი გარემო სავანის ტიპის, ნათელი ტყეებია.

**— როგორი საკვები მოსწონს კოდალას?**

— კოდალა მწერებითა და მათი ლარვებით იკვებება, რომლებსაც ხის ქერქში პოულობს და თავისი გრძელი ნისკარტით იღებს. ჩვენში გავრცელებული მწვანე კოდალა ჭიანჭველებსაც სიამოვნებით ჭამს, ამიტომ ის ხშირად შეიძლება ნახოთ ჭიანჭველების ბუდესთან — მას თავისი გრძელი ენით გამოაქვს ნადავლი და გემრიელად მიირთმევს. კოდალა ჯანსაღი ტყის ერთ-ერთ საუკეთესო ინდიკატორად არის მიჩნეული. ამის გამო ხშირად ტყის მკურნალსა და ექიმს ეძახიან. კოდალებს საღი ტყე სჭირდებათ, რათა კარგად გამრავლდნენ. გაჩეხილი ტყე კოდალას საცხოვრებლად არ გამოდგება, თუნდაც იქ ბევრი დაზიანებული ხე იყოს და კოდალას საკვებიც ბევრი მოიპოვებოდეს.

**— ბუდეს როგორ აგებს?**

— ხეს ჩიჩქნის, ფუღუროს აკეთებს და ბუდეს სწორედ იქ იკეთებს. ზოგჯერ კოდალას მომზადებულ ფუღუროს სხვა ფრინველები და ძუძუმწოვრები იყენებენ თავიანთ ბუდეებად. კოდალა გადამფრენი ფრინველი არ არის და სადაც ცხოვრობს, ზამთარ-ზაფხულ იქვე რჩება, მაგრამ არის გამონაკლისი შემთხვევები, როცა მკაცრი ზამთარია და კოდალები მთიდან ბარში ჩამოდიან. ზოგი სახეობის კოდალა თითქოს „საკუჭნაოს" ამზადებს: ხეებში ხვრელებს აკეთებს და საკვებს იქ ინახავს. ასე იქცევა, მაგალითად, კალიფორნიის მკვიდრი მწვანე კოდალა, რომელიც რკოს აგროვებს და ხეებში გაკეთებულ ხვრელებში აწყობს. ჩვენებურ კოდალებს ამგვარი რამ არ ახასიათებთ.

**— რას გვეტყოდით სამთითა კოდალაზე?**

**კოდალას ბარტყები ფუღუროში ცხოვრობენ, სანამ ფრენას ისწავლიან. ერთხანს მშობლებსაც დასდევენ, მაგრამ დამოუკიდებელ ცხოვრებას მალე იწყებენ. ახალგაზრდა კოდალები საკუთარ ტერიტორიას პოულობენ და ბუდეს იშენებენ. კოდალები ჯგუფ-ჯგუფად არ ცხოვრობენ, ისინი უფრო წყვილებად გვხვდებიან**



სირიული კოდალა



თეთრზურგა კოდალა

— როგორც წესი, კოდალების უმრავლესობას ოთხი თითი აქვს, ორი წინ არის მიმართული, ორიც — უკან, თუმცა, არსებობს გამორჩეული სახეობაც, რომელსაც სამი თითი აქვს. კოდალას ეს სახეობა საქართველოში არ ბინადრობს. კოდალას ბარტყები ფუღუროში ცხოვრობენ, სანამ ფრენას ისწავლიან. ერთხანს მშობლებსაც დასდევენ, მაგრამ დამოუკიდებელ ცხოვრებას მალე იწყებენ. ახალგაზრდა კოდალები საკუთარ ტერიტორიას პოულობენ და ბუდეს იშენებენ. კოდალები ჯგუფ-ჯგუფად არ ცხოვრობენ, ისინი უფრო წყვილებად გვხვდებიან.

**— ტყეში კოდალას ყველაზე დიდი კონკურენტი ვინ არის?**

— ალბათ, ციყვი. ის და კოდალა ერთმანეთის კონკურენტები არიან — ორივე ხეზე ცხოვრობს და საკვებიც ერთნაირი აქვთ, ამიტომ მათ შორის ჩხუბი და დაპირისპირება ჩვეულებრივი ამბავია. სხვების ჩამოთვლაც შეიძლება, თუმცა ყველაზე დიდი მტერი ადამიანია, რომელიც მის საარსებო გარემოსა და ჰაბიტატს ანადგურებს. ტყეების გაჩეხა და ხეების მოჭრა ამ ფრინველისთვის გადაულახავი პრობლემაა, მაგრამ ამას გარდა, ტყეებში პერიოდულად ატარებენ ე.წ. სანიტარიულ ჭრებს. მიიჩნევენ, რომ ეს კარგია ტყისთვის, მაგრამ ძალიან ცუდად მოქმედებს ბიომრავალფეროვნებაზე.

**— ამის გამო, ალბათ, ზოგი სახეობის კოდალა გადაშენების საფრთხის წინაშეც დგას...**

— დიახ. ამერიკაში იყო ასეთი სახეობა — თეთრნისკარტა კოდალა, რომელიც უკვე გადაშენებულია. ორნითოლოგები ფიქრობენ, რომ თეთრნისკარტა კოდალა შეიძლება სადმე, მიუვალ ადგილას კიდევ ცხოვრობდეს, მაგრამ ჯერჯერობით ვერ პოულობენ. საფრთხის წინაშე დგას ასევე იაპონური კოდალა, რომელიც იაპონიის კუნძულებზე ბინადრობს და შეიძლება გადაშენდეს. ამის მთავარი მიზეზი ტყეების გაჩეხა და მათი საარსებო გარემოს განადგურებაა. ეს დიდი პრობლემაა არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის.

***ხათუნა ჩიგოგიძე***

**საქართველოში გვხვდება შვიდი სახეობის კოდალა: დიდი ჭრელი კოდალა, საშუალო ჭრელი კოდალა და მცირე ჭრელი კოდალა, ასევე – თეთრზურგა, სირიული, მწვანე და შავი კოდალა. ამ სახეობებს ქართველმა ორნითოლოგებმა თავიანთი სახელი შეარქვეს, მაგალითად, შავ კოდალას „ხეკოდა" ჰქვია, ხოლო ჭრელს – „ხეკაკუნა"**

ძვირფასო მკითხველო! თქვენი თანადგომის იმედი გვაქვს. მოგვწერეთ თქვენთვის საინტერესო კითხვები, რაზეც პროფესიონალები გაგცემენ პასუხს. დაგვირეკეთ და გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრებები თუ რჩევები.

ჩვენთან დაკავშირება შეგიძლიათ:
„პალიტრამედიის" ცხელ ხაზზე: (995 32) 219-60-13; (995 32) 219-60-53; ელფოსტით: mamul-deduli@palitra.ge; tel.: 557 002737; 593 358819

მამულ-დედულის
სარედაქციო კოლეგია
კონსულტანტები:
სწავლული აგრონომი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ფიტოთერაპევტი **ნიკოლოზ იოსებიძე**
სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე **მარიამ გელაშვილი**

# რატომ უნდა შევიძინოთ ბრიტანული წარმოების ხარისხიანი ბიოდანამატები სახალხო აფთიაქში თებერვალში?

*პროდუქტის ხარისხი რომ მნიშვნელოვანია, ეს სიახლე არავისთვის არის. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ეს მაშინ, როცა საქმე ჩვენს ჯანმრთელობასა და მედიკამენტებს ეხება. საქართველოში ფარმაცევტულ ბაზარზე დიდი არჩევანია და მომხმარებელიც დაბნეულია. ამ სტატიაში შევეცდებით სიცხადე შევიტანოთ ზოგიერთ თქვენთვის საინტერესო საკითხში. ბრიტანული კომპანიების: „ვიტაბიოტიქსისა“ და „ჰელს ეიდის“ წარმოებული ბიოდანამატებისა და ვიტამინური პრეპარატების ხარისხზე გვესაუბრება სახალხო აფთიაქის ფარმაცევტი ნანა ხურციძე:*



**„ბუნებრივი ნედლეულისგან მიღებულ ვიტამინებს ორგანიზმი უკეთ ითვისებს. მნიშვნელოვანია, რომ ეს ნედლეული მოპოვებული იყოს ეკოლოგიურად სუფთა გარემოში“**

**„ბრიტანული ხარისხი ნიშნავს, რომ ჩვენ ვიღებთ საუკეთესო ნედლეულიდან მიღებულ საკვებ ნივთიერებებს იმ კომბინაციითა და იმ რაოდენობით, რაც ჩვენს ორგანიზმს სჭირდება ამ დროს და ამ კონკრეტულ ვითარებაში“**

## რა აქციას სთავაზობთ მომხმარებელს თებერვალში და კონკრეტულად რომელ პრეპარატებზე?

*თებერვალი სახალხო აფთიაქში ბრიტანული თვეა. „ჰელს ეიდისა“ და „ვიტაბიოტიქსის“ სრულ ასორტიმენტზე გვაქვს 20-30%-იანი ფასდაკლება, ასევე საჩუქრები, ბავშვებისთვის ნახატების კონკურსი. 17:00-დან 18:00 საათამდე ჩვენს აფთიაქებში, ისევე როგორც ბრიტანეთში, ჩაის სმის დროა და მომხმარებელს ჩაით გავუმასპინძლდებით. ჩვენს ფარმაცევტებთან ერთად მათ შესაძლებლობა ექნებათ მიირთვან ჩაი და თან შეარჩიონ ბრიტანული ნატურალური, ხარისხიანი საშუალებები, რაც ორგანიზმს უფრო ჯანმრთელს და ცხოვრებას უფრო ხალიასიანს გახდის!*

**— რით განსხვავდება „ვიტაბიოტიქსისა“ და „ჰელსეიდის“ პროდუქცია სხვა ანალოგიური მწარმოებლების პროდუქციისგან?**

— ამის გაგება ადვილია: აიღეთ ნებისმიერი ვიტამინების კოლოფში ჩადებული ანოტაცია. წაიკითხეთ და ნახავთ, რომ ინიშნება 12 წლიდან, რომ არის ყველაფრისთვის: მოზარდობიდან ღრმა მოხუცებულობამდე, დამხმარე ნივთიერებებში კი ამოიკითხავთ, რომ შეიძლება შეიცავდეს საღებავს, საფუარს, ხელოვნურ დამატკბობელს, სხვადასხვა ქიმიურ დანამატს. ახლა ავიღოთ „ვიტაბიოტიქსის“ ნებისმიერი კოლოფი — ყველა კომპონენტი მიღებულია ბუნებრივი წყაროდან: E ვიტამინი — მარცვლეულის თესლიდან, C ვიტამინი — ველური ალუბლიდან, კოლაგენი — ზღვის მცენარეებიდან... არ შეიცავს არანაირ ქიმიურ დანამატს.

გარდა ამისა, ყველა ვიტამინი განკუთვნილია კონკრეტული ჯგუფისთვის — ასაკის, სქესის და ცხოვრების რეჟიმის მიხედვით: ქალები 50 წლამდე და 50 წლის შემდეგ, ქალები დაორსულებამდე, ორსულობისა და ძუძუთი კვების დროს, ქალები მენოპაუზის პერიოდში, ქალები თმის ცვენის, სახის კანის თუ ფრჩხილების პრობლემით, ქალები დატვირთული ფიზიკურად და დატვირთული გონებრივად — ყველა ჯგუფისათვის ფორმულა განსხვავებულია. ასეა მამაკაცებში, ბავშვებსა და მოზარდებში.

რაც მთავარია, ყველამ ვიცით, რას ნიშნავს ბრენდი და პატენტი.

**„ვიტაბიოტიქსი“ არის ბრენდი, რადგან ის შექმნა მსოფლიოში ცნობილმა ფარმაკოლოგმა არნოლდ ბეკეტმა, ყველა ფორმულა ევროპის საუკეთესო სამედიცინო ინსტიტუტებში გამოიცადა და მხოლოდ ამის შემდეგ გაჩნდა დასავლეთ ევროპის, ამერიკისა და უკვე საქართველოს აფთიაქის თაროებზე.**

**— რა არის აუცილებელი იმისათვის, რომ ბიოლოგიური დანამატები და ვიტამინური პრეპარატები ხარისხიანი იყოს?**

— ამ კითხვაზე პრაქტიკულად უკვე გაგეცით პასუხი — ბუნებრივი ნედლეულისგან მიღებულ ვიტამინებს ორგანიზმი უკეთ ითვისებს. მნიშვნელოვანია, რომ ეს ნედლეული მოპოვებული იყოს ეკოლოგიურად სუფთა გარემოში,

**„ჰელსეიდი“ მცენარეებს ისეთ ნიადაგზე მოიპოვებს, რომელიც სასუქს არ შეიცავს და ბოლოს, მეცნიერულ მტკიცებულებებზე დაფუძნებული ფორმულები, რომლებიც ფაქიზად ეხმარება ჩვენს ორგანიზმს გაჯანსაღებასა და გამოჯანმრთელებაში.**

**— რა პრობლემების წინაშე შეიძლება დავდგეთ უხარისხო ბიოდანამატების მიღებისას?**

— ერთ მაგალითს მოგიყვანთ: არსებობს პრეპარატი, რომელიც დამზადებულია ლოკოკინას ნიჟარისგან, მაგრამ საკითხავია, როგორ გარემოშია მოპოვებული.

ვიცით, რომ მსოფლიო წყლები დაბინძურებულია მძიმე ლითონების ნარჩენებით, ამიტომ ეს პრეპარატი შეიძლება მავნებელიც აღმოჩნდეს ადამიანის ორგანიზმისათვის.

კიდევ ერთი მაგალითია თევზის ქონი. უხარისხო ბიოდანამატებში არ არის მითითებული, რამდენ და რა სახის „ომეგა-3“-ს შეიცავს ის. არადა, ეს ყველაზე მნიშვნელოვანია.

**— რატომ უნდა ავირჩიოთ ბრიტანული ხარისხი?**

— რატომ უნდა ავირჩიოთ? იმიტომ, რომ დიდი ბრიტანეთისა და დასავლეთ ევროპის მოსახლეობის დიდი ნაწილი უკვე 30 წელია, ყოველდღიურად იღებს ამ ვიტამინებს იმ დეფიციტის შესავსებად, რაც საკვებში არ არის. მეტყვით, საქართველო ხილის, ბოსტნეულის, მზის ქვეყანაა და ვიტამინები ბაზარსა და სუპერმარკეტებშიაო, მაგრამ ასე არ არის. ნიადაგი გამოფიტულია — მასში არ არის საკმარისი რაოდენობით მინერალები, სასუქი ამცირებს პროდუქტის საკვებ ღირებულებას, გაყინულ თევზში „ომეგა-3“ არ არის...

ბრიტანული ხარისხი ნიშნავს, რომ ჩვენ ვიღებთ საუკეთესო ნედლეულისგან მიღებულ საკვებ ნივთიერებებს იმ კომბინაციითა და იმ რაოდენობით, რაც ჩვენს ორგანიზმს სჭირდება ამ დროს და ამ კონკრეტულ ვითარებაში.

**მინდა იცოდეთ, რომ „ვიტაბიოტიქსს“ მიღებული აქვს დედოფლის ჯილდო ვიტამინების ინოვაციური ფორმულების შექმნისთვის.**

**— შეგიძლიათ რამდენიმე პრეპარატის მაგალითზე გვიამბოთ, როგორ მზადდება მათი ესა თუ ის კომპონენტი, რომელთა ეფექტიანობა ორგანიზმისთვის ძალიან მნიშვნელოვანია?**

— ავიღოთ კრილის ზეთი. კრილი არის წვრილი კიბოსნაირი, რომელსაც „ვიტაბიოტიქსი“ მოიპოვებს ეკოლოგიურად სუფთა ყინულოვან წყლებში, შემდეგ ის მუშავდება ულტრათანამედროვე ტექნიკით, რათა ზეთის სასარგებლო თვისებები შენარჩუნდეს. ვიტამინების ყველა ფორმულა სპეციალურ შემოწმებას გადის ბრიტანეთის სამეცნიერო დაწესებულებებში.

**— რა მნიშვნელობა აქვს ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებულ პრეპარატებს ჩვენი ჯანმრთელობისათვის?**

— ჩვენ ყოველდღიურად გვჭირდება ვიტამინების, მინერალების, ამინომჟავების, ცხიმოვანი მჟავების გარკვეული რაოდენობა. მათ საკვები, წყალი და ჰაერი შეიცავს. ეს არის დღიურად 2-3 ულუფა ბოსტნეული, რძის პროდუქტი, თევზი და ხორცი. ვახერხებთ ასეთ კვებას? რომც ვახერხებდეთ, ამ საკვებში არ არის ის, რაც შეგვივსებს ვიტამინებზე დღიურ მოთხოვნილებას.

ეს დეფიციტი როგორ ვლინდება? დაღლილობით, უხასიათობით, ადვილად ავადობით, დეპრესიით, თმის ცვენით, კანის სიმშრალით. გარდა ამისა, ბევრი ფიზიოლოგიური პროცესის მართვა შეიძლება უკეთ ბიოდანამატების დახმარებით. ჩვენი გამოცდილებით ქალებს მენოპაუზას უადვილებს „მენოპეისი“, დეპრესიას — „5 ჰტფ“, ბევრი ჩვენი მომხმარებელი დეპრესიას ქიმიური ანტიდეპრესანტების გარეშე მოერია, უძილობას კი „ტრანქვილით“; „კარდიოეისი“ გულის კუნთს კვებავს, წნევას აწესრიგებს და გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისგან გვიცავს; „ანტიქოლესტერინი“ ჭარბ ცხიმს გამოდევნის და შესაბამისად, ქოლესტერინს ამცირებს; საქართველოში ბევრი თინეიჯერის პრობლემა გადაჭრა „ველთინმა“, არის ცალკე გოგონების და ცალკე ბიჭებისთვის; მათ, ვისაც სახსრები აწუხებდა და ტკივილგამაყუჩებელი წამლების ყველა რესურსი ამოწურული ჰქონდათ, „სერაპეპტაზა“ დაეხმარა, აბრეშუმის ჭიისგან მიღებული ბუნებრივი ანთებსაწინააღმდეგო და ტკივილდამაყუჩებელი საშუალება.

R



ის, რაც ჩვენია...

# „ოსების თქმით, სვეტიცხოველი ოსებს

*საქართველოს მიწა-წყლის დატაცების თემა არახალი და გულის მომკვლელია, თუმცა ამაში მძიმე წარსულთან ერთად, ქართულ ხასიათსაც მიუძღვის ბრალი: მოვლენების მიმართ ჩვენმა ზერელე დამოკიდებულებამ და წაყრუებამ ბევრი რამ დაგვაკარგვინა. ზუსტად ასევე ჩვეულებრივ პროვოკაციად ჩაითვალა ბოლო დროს ოსი სეპარატისტებისგან გახმაურებული „აღმოსავლეთ ოსეთის“ თემა, რომელშიც ოსი სეპარატისტები ყაზბეგის მუნიციპალიტეტსა და თრუსოს ხეობას მოიაზრებენ. სინამდვილეში კი არც ასე მარტივად არის საქმე: ტერმინი „სამხრეთ ოსეთიც“ ასევე „პროვოკაციულად“ გაჟღერდა XIX საუკუნეში, რასაც უკვე XX საუკუნეში საქართველოს ისტორიულ მიწა-წყალზე ე.წ. სამხრეთ ოსეთის წარმოქმნა მოჰყვა. „აღმოსავლეთ ოსეთის“ თემაზე ხშირად ლაპარაკობს ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრი დიმიტრი მედოევი. რამდენიმე ხნის წინ მან ერთ-ერთ გერმანულ გაზეთთან მიცემულ ინტერვიუშიც განაცხადა, რომ „ოსეთის რესპუბლიკა არასოდეს აღიარებს აღმოსავლეთ ოსეთის მიწებს საქართველოს ტერიტორიად და, ადრე თუ გვიან, ეს მიწები ოსეთს დაუბრუნდება. სამხრეთ ოსეთის დიპლომატები ყოველთვის ამახვილებდნენ ყურადღებას ყაზბეგის რაიონზე, მათ შორის, ჟენევის მოლაპარაკებებზე“. ოსი სეპარატისტები გაყალბებული ისტორიის გავრცელებაში დიდ ფულს ხარჯავენ, ჩვენ კი ამ თემაზე ქართული სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნაც ვერ მოგვიხერხებია. გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი როლანდ თოფჩიშვილი ერთადერთი მეცნიერია, რომელიც საქართველოში ოსთა განსახლების საარქივო მასალებზე რამდენიმე ათეული წელი მუშაობდა და არაერთი სამეცნიერო ნაშრომი შექმნა. თუმცა არც მათი ინგლისურად თარგმნა მოხერხდა.*



> **ჩვენი მოძულე ოსებიდან ბევრს ქართული სისხლი აქვს. რაც შეეხება თრუსოს, უძველეს ქართულ ტერიტორიას, რომლის სახელიც ასევე სუფთა ქართულია (თრუსო ცელის სალესი ქვაა), ოსებს აქ ქართველების ნასახლარები დახვდათ. აქაური ქართველები უკვე კახეთში იყვნენ ჩასახლებული. ოსებს თრუსოში XIX საუკუნეში ცხრა სოფელი ჰქონდათ, მოგვიანებით – თორმეტი**

— 70-იანი წლების მიწურულს არქივში შემთხვევით წავაწყდი XVIII საუკუნიდან, ფაქტობრივად, დაპყრობის წლებიდან, წარმოებულ რუსეთის იმპერიის აღწერებს, სადაც დეტალურად იყო საქართველოს და მათ შორის, ოსი მოსახლეობა აღწერილი. ცხადია, იმპერიის ინტერესებიდან გამომდინარე, პედანტურად იწერდნენ არა მხოლოდ არსებულ მოსახლეობას, არამედ გადმოცემებს, თუ ვინ რამდენი თაობის წინ იყო დასახლებული ამა თუ იმ ადგილზე. ასე რომ, ამ აღწერებში მხოლოდ რამდენიმე ათეული ოჯახია, რომელთაგან ზოგიერთი მოსახლეობის მხოლოდ რამდენიმე წელს ასახელებდა, ზოგიერთი კი 2-3 თაობას. ამით ყველაფერი მთავრდებოდა.

ჩრდილოეთ კავკასიიდან ოსების შემოჭრა ისტორიულ საქართველოში, კერძოდ, დვალეთში, XVI საუკუნიდან იწყება. დვალეთი მათ სისხლით აილეს, შემდეგ გამრავლებულები უკვე XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან გადადიან ლიახვის ხეობასა და თრუსოში (თერგის ხეობის ზედა ნაწილში). თუმცა თრუსოში გადასვლა მათ საკუთრივ თრუსოს მოსაზღვრე ხეობიდანაც შეეძლოთ. მას შემდეგ, რაც ოსები დვალეთში გაბატონდნენ და მერე ისე გამრავლდნენ, რომ მიწები აღარ ჰყოფნიდათ, დანარჩენ საქართველოში მიპარვით დასახლება აღარ გასჭირვებიათ. ამ მხრივ შემიძლია სოფელ ღუდაში ვინმე ოსი რუბაევის დასახლების მაგალითიც მოვიყვანო. ღუდა გუდაურთან მდებარე სოფელია, სადაც ბუთხუზები და სისველაურები ცხოვრობდნენ, რომლებიც აიყარნენ და სოფელ მლეთაში გადასახლდნენ. ერთხელაც მათ მლეთიდან ღუდაში ავარდნილი ბოლი დაინახეს და ამბის გასაგებად წავიდნენ. იქ დვალეთიდან დანაშაულისთვის გამოქცეული ვინმე რუბაევი დახვდათ, რომელიც მათ შეეხვეწა, ამანათად მიმიღეთო. ამანათად მიღების ტრადიცია მთაში უცხოს დროებით მიღებას გულისხმობდა, დააკვირდებოდნენ და თუ მოეწონებოდათ, დაიტოვებდნენ. სამწუხაროდ, რუბაევს არავინ დაჰკვირვებია და მანაც დვალეთიდან სხვა ოსები ჩამოიყვანა.

— **ამას, ცხადია, საქართველოს დასუსტებული სახელმწიფოებრიობაც უწყობდა ხელს.**

— ასეა. აღმოსავლეთ საქართველო იმდენად იყო გავერანებული, რომ ზოგიერთი ოსური ოჯახი საგანგებოდ ჩამოჰყავდათ მუშახელად.

ქართულ-ოსური ისტორია ძალიან მძიმეა. სამწუხაროდ, დღეს დვალეთის თემა მივივიწყეთ, არადა, ეს ტერიტორია, რომელიც დაახლოებით ლეჩხუმის ტოლია, 1858 წელს უომრად წაგვართვა რუსეთმა სწორედ იმის გამო, რომ იქ უკვე ოსები სახლობდნენ. იმ დრომდე დვალეთი, რომელსაც რაჭასთან სულ საათ-ნახევრის გზა აკავშირებს, გორის მაზრაში ირიცხებოდა და




*რუსეთის იმპერიაში 1901 წელს გამოცემული რუკა. მასზე მითითებულია, რომ საზღვრები მოყვანილია 1801-1813 წლების მდგომარეობით. დვალეთი, რომელიც 1859 წელს თერგის ოლქს მიუერთეს, რუკაზე საქართველოს (რომლითაც მაშინ ქართლ-კახეთს აღნიშნავდნენ) ფარგლებშია აღნიშნული*

რუსები „ნარას უჩასტკად“ მოიხსენიებდნენ.

ისტორიულად ცნობილია, რომ ოსები შუა აზიაში მოსახლე ირანულენოვანი მომთაბარე ტომი იყო, რომელიც მონღოლების შემოსევამ აიძულა, ჩრდილო კავკასიაში გადმოსახლებულიყო, იქიდან კი თვალი დვალეთს დაადგეს. ამას დვალების აყრა და დანარჩენ საქართველოში გადმოსახლება მოჰყვა. დვალების გვარები ური-თ მთავრდება, გიგაურები თუ ხადურები სწორედ დვალები არიან.

— **დვალებმა უბრძოლველად დათმეს მიწა-წყალი?**

— რადგან დასუსტებული საქართველო დვალეთს ვერ იცავდა, დვალები თავს თავად იცავდნენ უმძიმესი ომებით, რომელთა მოგონება ხალხურ სიტყვიერებას შემორჩა. მაგალითად, რაჭულ სოფელ გლოლაში ჩაწერილია ამ ომების ამსახველი ხალხური ლექსი, რომლის 15-მდე ვარიანტი არსებობს. ამ ლექსშია ნაამბობი, რა თავგანწირულად ებრძვიან დვალები ოსებს. სხვათა შორის, გლოლაში დვალეთიდან ლტოლვილი ქართველების შთამომავლები სახლობენ. ამას ისიც მოწმობს, რომ გლოლის დიალექტი განსხვავდება სხვა რაჭული სოფლების დიალექტისგან. აი, ეს ლექსიც: „მაღლა მთას მოდგა თეთრი ფრინველი, უცხო ფრთოსანი/, ჟღელეს ჩამოდგა დიდი ლაშქარი/ ოსი და დვალი/, ომი შეიქმნა ცისკრისა ჟამსა, გამთენიასა/ ხმალი ორპირი სისხლში სცურავდა/, შუბის ნალეწი ზეცას სცვიოდა, მესამე დღესა ჩამოდიოდა/, სისხლისა ღვარსა კაცი მიჰქონდა. ჯაფარ წაიქცა, ჯაფარ წაიქცა, სვეტი ოქროსი/, აგერ მოდიან მოციქულები/, ჯაფარ მოყვანთა/, თავის გოდრითა, ტანი ლასტითა, წვრილი წელები ხელკალათითა“. ასეთი იყო დვალების ბრძოლა, რომელსაც ვერ გაუძლეს და დვალეთი დატოვეს. მათი მცირე ნაწილი, რომელიც მიწა-წყალს ვერ შეელია, ოსებზე დაქორწინდა.

მე გვარების ისტორია ზედმიწევნით მაქვს შესწავლილი და დანამდვილებით ვიცი, რომ ჩვენი მოძულე ოსებიდან ბევრს ქართული სისხლი აქვს. რაც შეეხება თრუსოს, უძველეს ქართულ ტერიტორიას, რომლის სახელიც ასევე სუფთა ქართულია (თრუსო ცელის სალესი ქვაა), ოსებს აქ ქართველების ნასახლარები დახვდათ. აქაური ქართველები უკვე კახეთში იყვნენ ჩასახლებული. ასე რომ, ოსებს თრუსოში XIX საუკუნეში ცხრა სოფელი ჰქონდათ, მოგვიანებით — თორმეტი.

— **ტრადიციული სქემაა, ჩვენ ვტოვებთ, სხვები სახლდებიან.**

— ერთ ამბავს გავიხსენებ:

როდესაც 1899 წელს კნუტ ჰამსუნმა ვლადიკავკაზიდან თბილისში იმოგზაურა და სოფელ კობაში გაჩერდა, მისი ოთხცხენიანი ეტლის ერთი ცხენი მოკვდა. ამ დროს მოხდა ის, რასაც მწერალი გაოცებული აღწერს: თუ როგორ როკავდნენ ოსები მკვდარი ცხენის გარშემო, რომელიც მერე გაატყავეს და შეჭამეს.

# აუგიათ და მას „ოსთცხოველს“ უწოდებენ

**ოსი სეპარატისტები გაყალბებული ისტორიის გავრცელებაში დიდ ფულს ხარჯავენ, ჩვენ კი ამ თემაზე ქართული სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნაც ვერ მოგვიხერხებია**



*ზაქაგორის სამხრეთი უბანი*

დღეს თრუსო სრულიად ცარიელია. აქაური ოსები 1957 წელს ინგუშეთში გადასასახლებლად აიყარნენ. 1944 წელს ინგუშები სამშობლოს ღალატის ბრალდებით აყარეს საკუთარი მიწიდან, მათ ნაცვლად კი იქ სხვადასხვა ხალხი ჩაასახლეს. 1957 წელს ინგუშებს კვლავ დართეს სამშობლოში დაბრუნების ნება. ამჯერად უკვე იქ ჩასახლებული ათიათასობით მოსახლე აყარეს. დაცოტავებულმა ინგუშებმა საკუთარი სამშობლო ველარ შეავსეს და ეს როლი ოსებმა შეასრულეს.

**— ცხადია, ოსების ხანმოკლე ცხოვრება თრუსოში დიდ კვალს ვერ დატოვებდა. რას ეყრდნობიან ოსი სეპარატისტები, როდესაც ამ ტერიტორიებს ოსურად ასაღებენ?**

— ამ ტერიტორიაზე ნასახლარები და კოშკები მხოლოდ ქართველების აშენებულია და ამას არქიტექტურაც მოწმობს, მაგრამ ოს სეპარატისტებს ეს ხელს არ უშლით, რადგან რუსეთი უმაგრებთ ზურგს. ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში ოსებმა თრუსოდან მოიპარეს და ვლადიკავკაზის მუზეუმში გადაიტანეს წარწერებიანი საფლავის ქვა, რომელსაც, ცხადია, ჩვენ არ გვაჩვენებენ. სამაგიეროდ, ამბობენ, რომ ქვაზე სირიულ-ნესტორიანული წარწერაა, რომელიც ოსურ ამბავს მოგვითხრობს. არადა, ფოტოზეც კი ეტყობა, რომ ქვაზე ქართული ანბანია. იქ მართლაც სირიული წარწერა რომ იყოს, დღემდე გაშიფრავდნენ.

ცნება „აღმოსავლეთი ოსეთი“ ჯერ კიდევ სამი წლის წინ გააჟღერა ე.წ. სამხრეთის ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა კოკოითიმ ვლადიკავკაზის ოსების შეკრებაზე და, ცხადია, რუსეთის ხელდასხმით. ამ ტერიტორიაში ნაგულისხმებია მლეთის, ღუდის ტერიტორია და არაგვის ხეობის მარჯვენა მხარე. რაც შეეხება გორსა და მცხეთას, ოსებმა სამი წლის წინ კვლავ საჯაროდ გამოთქვეს პრეტენზია.

**ცხინვალში გამოდის გაზეთი „რესპუბლიკა“, რომლის წაკითხვა შეგზარავს. მაგალითად, სვეტიცხოველი ოსების აგებულად არის გამოცხადებული და „ოსთცხოველს“ უწოდებენ, რამდენიმე წლის წინ 100 ქართული „ხელიხელ საგოგმანები“ გვარი გამოაცხადეს ოსურად, მათ შორის გუდიაშვილები, მაისურაძეები, ლომიძეები და ა.შ. ცხადია, იმიტომ, რომ საომარ სიტუაციებში ოსმა ახალგაზრდებმა თავგანწირულად იბრძოლონ მათ საკუთრებად გამოცხადებული ჩვენი მიწა-წყლის მისატაცებლად.**



*თრუსოდან გატანილი საფლავის ქვა, რომელზეც ვითომცდა სირიულ-ნესტორიანული ანბანით ალანური წარწერაა შესრულებული. სინამდვილეში წარწერა მხედრულია, მაგრამ გაშიფრული არ არის. არტეფაქტი საბჭოთა პერიოდში გაიტანეს და როგორც ამბობენ, ვლადიკავკაზის მუზეუმის ფონდშია დაცული*



*ნასოფლარი მნა ჩრდილოეთიდან*

ამ ყველაფერთან გამკლავება ძნელია. თუმცა არსებობს ორი საშუალება, რომლებიც ჩვენს თავდაცვას განამტკიცებს: პირველი — თრუსო საიმედოდ უნდა იყოს დაცული და მეორე (რასაც ოსები უკვე დიდი ხანია აკეთებენ) — უნდა ვთარგმნოთ და მსოფლიოს მივაწოდოთ დასაბუთებული სამეცნიერო ინფორმაცია ოსთა რეალური განსახლების შესახებ. კარგი იდეოლოგია ბევრ რამეს წყვეტს.

*ეთერ ერაძე*


## 12 დიდი მხატვრის შედევრი შენს კოლექციაში ხმის მიცემა დაიწყო!

დააფიქსირე შენი რჩეული !
მონიშნე შენთვის სასურველი მაქსიმუმ 10 მხატვარი.
დაამშვენე შენი სახლი ვან გოგის, კლიმტის, რემბრანდტის, მონესა და სხვა უდიდესი მხატვრების შედევრებით!

- ☐ ტინტორეტო
- ☐ რენუარი
- ☐ რაფაელი
- ☐ ბოსხი
- ☐ პისარო
- ☐ გოია
- ☐ კარავაჯო
- ☐ დიურერი
- ☐ დალი
- ☐ დეგა
- ☐ ტიციანი
- ☐ ლოტრეკი
- ☐ ვერონეზე
- ☐ კლოდ მონე
- ☐ რემბრანდტი
- ☐ მანე
- ☐ აივაზოვსკი
- ☐ პოლ გოგენი
- ☐ რუბენსი
- ☐ ბოტიჩელი
- ☐ პიკასო
- ☐ გუსტავ კლიმტი
- ☐ველასკესი
- ☐ ელ გრეკო
- ☐ კრანახი
- ☐ მოდილიანი
- ☐ პოლ სეზანი
- ☐ დელაკრუა

### პროექტის შესახებ

ხმის მიცემა ასევე შესაძლებელია ჩვენი ქოლცენტრის მეშვეობით ნომერზე: 2 19 60 13
მალე! ,,კვირის პალიტრის'' მკითხველს ექნება შესაძლებლობა სპეციალურ ფასად შეიძინოს ყველაზე მოთხოვნადი ნახატები.
კუპონი გამოაგზავნეთ მისამართზე: ქ.თბილისი იოსებიძის# 49, გამომცემლობა პალიტრა L.
დაიბეჭდება ყველაზე მეტი ხმის მქონე 12 მხატვრის რჩეული ტილოები.

www.palitral.ge/mkhatvrebi

# 18 თებერვლიდან
## „კვირის პალიტრასთან“ ერთად
## დიდი მხატვრების მორიგი გამარჯვებული!



ლეონარდო
და ვინჩი

2019 წლის
თებერვლის
ხალხის რჩეული
მხატვარი



**ზომა:** 46x25 სმ
**მასალა:** ტილო
**ჩარჩო:** ნატურალური ხე

სპეციალური
ფასი 21.5 ₾
გაზეთთან
ერთად 23 ₾



**ზომა:** 41x31 სმ
**მასალა:** ტილო
**ჩარჩო:** ნატურალური ხე

სპეციალური
ფასი 21.5 ₾
გაზეთთან
ერთად 23 ₾



**ზომა:** 26x21 სმ
**მასალა:** ტილო
**ჩარჩო:** ნატურალური ხე

სპეციალური
ფასი 13.5 ₾
გაზეთთან
ერთად 15 ₾

18 თებერვლიდან, გაზეთ „კვირის პალიტრასთან“ ერთად, სპეციალურ ფასად შეიძინე რჩეული ტილოები: „საიდუმლო სერობა“, „მონა ლიზა“, „ქალი ყარყუმით“.
შეაგროვე უნიკალური ნახატები (თვეში ერთხელ). ტილოები დაბეჭდილია წყლის უსაფრთხო საღებავებით.
**ხმის მიცემა გრძელდება!**
იჩქარე, ჩაერთე პროექტში, მიეცი ხმა, რათა შენი რჩეული მხატვარი მოხვდეს 12 საუკეთესოს შორის.

www.palitral.ge/mkhatvrebi

# „ᲙᲐᲠᲒᲘ ᲒᲝᲒᲝ“ ᲞᲝᲠᲢᲚᲔᲜᲓᲨᲘ

*შემთხვევით გავიგე, რომ პორტლენდში ყოფილა ქართული რესტორანი „კარგი გოგო“, რომელიც ამერიკელებს გაუხსნიათ, და მაშინვე გადავწყვიტე წასვლა. ჩემდა გასაოცრად, ქართულ გარემოში აღმოვჩნდი: ქართული კერძები, ქართული ღვინო, მინერალური წყლები... მე და ჩემმა მეგობარმა ხინკალი, კუბდარი და ფხალეული შევუკვეთეთ, ქართული ღვინოც დავაგემოვნეთ. ყველა კერძი ისეთი გემრიელი იყო, რომ ქართველის დამზადებულს ჰგავდა, — მიყვება ქართველი მეცნიერი ოთარ იოსელიანი და პორტლენდიდან რესტორნის ფოტოს მიგზავნის. როგორც ბატონი ოთარი მეუბნება, საქართველოს თაყვანისმცემელი ამერიკელი წყვილი ქართული კერძებითა და ღვინით ყველა გურმანს მასპინძლობს. ქართული კერძები საქართველოდან წაღებული ინგრედიენტებით მზადდება. როგორ შეიქმნა „კარგი გოგო“, მისი მფლობელი, ᲨᲝᲜ ᲤᲠᲔᲓᲔᲠᲘᲙᲘ მოგვითხრობს.*

**„თითქმის ყველა ინგრედიენტი საქართველოდან ჩამოგვაქვს: ქინძი, ზაფრანა, უცხო სუნელი და ა.შ. ასე რომ, ჩვენი კერძები ავთენტურია“**









**„სასიამოვნოა, როცა ქართველები მოდიან, ბევრი ამბობს, რომ ჩვენი კერძები მათ ბავშვობას და დედის გაკეთებულ კერძებს ახსენებს. ეს ჩვენთვის ძალიან სასიამოვნოა, მათზე უკეთესი შემფასებელი ჩვენ არა გვყავს...“**

**თავდაპირველად გავხსენით პატარა ჯიხური სახელწოდებით – „კარგი გოგო“. ვყიდდით ხაჭაპურს, ხინკალს და კიდევ სხვა ქართულ კერძებს. მალე კლიენტურა გაგვიმრავლდა და ბიზნესის გაფართოება დავაპირეთ...**

— მე და ჩემი მეუღლე 2010-2012 წლებში ახალციხეში ვცხოვრობდით, როგორც „მშვიდობის კორპუსის“ მოხალისეები. ვსწავლობდით ქართულ ენას, ვეცნობოდით კულტურას და ბევრ ქართველსაც დავუმეგობრდით. ორი წლის შემდეგ ჩვენი პროგრამა დასრულდა და ამერიკაში დავბრუნდით. საქართველოსთან განშორება ბევრი მიზეზის გამო არ გვინდოდა, ერთ-ერთი ქართული სამზარეულო იყო. ამიტომ მე და ჩემმა მეუღლემ გადავწყვიტეთ პორტლენდში, ორეგონის შტატში, გაგვეხსნა პატარა ჯიხური სახელწოდებით „კარგი გოგო“. ვყიდდით ხაჭაპურს, ხინკალს და სხვა ქართულ კერძებს. მალე კლიენტურა გაგვიმრავლდა და 2015 წელს ბიზნესის გაფართოება დავაპირეთ. მანამდე კი საქართველოში ჩამოვედით და გაზაფხულ-ზაფხული თბილისში გავატარეთ.

პორტლენდში რომ დავბრუნდით, ბიზნესის გაფართოებაზე აღარ გვიფიქრია და ჩვენს ძველ სამსახურებს დავუბრუნდით, მაგრამ მოგვიანებით გავაცნობიერეთ, როგორ გვენატრებოდა ქართული კერძები თუ ღვინო და საბოლოოდ გადავწყვიტეთ, გაგვეხსნა პატარა ქართული რესტორანი. ასე დაიბადა 2018 წლის ზაფხულში „კარგი გოგო“.

თავიდან ხაჭაპურის რამდენიმე სახეობითა და ხინკლით დავიწყეთ, შემდეგ დავამატეთ ბადრიჯანი, სალათა, ჯონჯოლი, მხალი... გვაქვს განსაკუთრებული კერძებიც, მაგალითად, ჩაქაფული, მწვადი, ხარჩო, ასევე ვიპ-კერძი — აჩმა. თითქმის ყველა ინგრედიენტი საქართველოდან ჩამოგვაქვს: ქინძი, ზაფრანა, უცხო სუნელი და ა.შ. ასე რომ, ჩვენი დამზადებული კერძები ავთენტურია.




ბევრს ვმუშაობთ, რომ კარგად დავამზადოთ ქართული კერძები, მომსახურე პერსონალიც ნიჭიერია, ახალ-ახალი ქართული კერძების დამზადებას სწავლობენ.

## „გვინდა ქართული კულტურა ამერიკელებს გავაცნოთ“

— ჩვენი სტუმრების უმრავლესობა ამერიკელია, დანარჩენი 10 პროცენტი ქართველი და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან.

სასიამოვნოა, როცა ქართველები მოდიან, ბევრი მათგანი ამბობს, რომ ჩვენი კერძები მათ ბავშვობას ახსენებს, დედის გაკეთებულ კერძებს, და ეს ჩვენთვის ყველაზე სასიამოვნო კომპლიმენტია. მათზე უკეთესი შემფასებელი ჩვენ არა გვყავს.

ამერიკელებს ყველაზე მეტად ხინკალი მოსწონთ. გვაქვს ღორის, ძროხის ხორცის, სოკოს, კარტოფილისა და ყველის ხინკალი. კერძებიდან ყველაზე რთულად მოსამზადებელი ბადრიჯანია, რადგან ძალიან თხლად უნდა დაიჭრას და მომზადების ყველა წესიც ზედმიწევნით უნდა იქნეს დაცული.

ძალიან გვიყვარს საქართველო. გასულ წელს ორჯერ ვიყავით, წელსაც აუცილებლად ჩამოვალთ და ამერიკელების 15-კაციან ჯგუფსაც ჩამოვიყვანთ. მათ ვაჩვენებთ კახეთს, სტეფანწმინდას, მცხეთას, ახალციხესა და ვარძიას.

უფრო მეტ ამერიკელს უნდა გავაცნო ქართული სამზარეულო და ღვინო. გვინდა ვუამბოთ ქართული ღვინის დაყენების უძველეს ტრადიციაზე — საქართველო ხომ მევენახეობა-მეღვინეობის უძველესი ქვეყანაა.

***ნინო წიფურია***



# დალი ჩიტალაძე: „ჯანი ვერსაჩე ჯორჯიანას მეძახდა“

*მეგონა, სწორი რჩევების გამო მოიხსენიებდნენ მოდის ექსპერტად, თუმცა, საქმე უფრო სერიოზულად ყოფილა. მისი დახმარებით არაერთი ცნობილი პირი წარმდგარა ლონისძიებაზე დახვეწილი სამოსით. მათ შორის არიან: შერონ სტოუნი, ჯენიფერ ლოპესი, უიტნი ჰიუსტონი და სხვები. დალი ჩიტალაძე გვიამბობს, როგორ შეაბიჯა მოდის სამყაროში.*

**„პოლიტიკოსებიდან ყველაზე გემოვნებით კახა კალაძე იცვამს, ქალებში – ნინო ბურჯანაძე. ამ მხრივ განვითარდა ეკა ბესელიაც – ყოველთვის ელეგანტურად აცვია“**

— ერთია სხვადასხვა ტიპის სამოსის შექმნა და მეორე — მათგან ანსამბლის შექმნა. სწორედ ამის ნიჭი მაქვს მე. საქართველოში ცხოვრება ევროპულ სტანდარტებს უახლოვდება, ქალიც და მამაკაციც ძალიან დაკავებული არიან. იმაზე ფიქრის დრო არ რჩებათ, რა ჩაიცვან სიტუაციის შესაბამისად.

შეიძლება საქმის უზადო მცოდნე იყო, მაგრამ პირველ შთაბეჭდილებას გარეგნობა ქმნის. სწორედ ამის მიხედვით ვურჩევ ტანსაცმელს ჩემს კლიენტებს.





**„ერთ დღეს შევედი ვერსაჩეს მაღაზიაში და ვუთხარი, სამსახურს ვეძებ-მეთქი. გამოცდილება გაქვსო? არა, მაგრამ მიყვარს მოდა და ხალხთან ურთიერთობა-მეთქი. გაეცინათ, დატოვეთ თქვენი ნომერიო. რადგან არავინ დამირეკა, კვირის თავზე ისევ მივედი. ამჯერად მაღაზიის მფლობელი დამხვდა და როგორც ჩანს, კარგ თვალზე შემომხედა: მეცვა ლამაზად, მოდურად, დახვეწილად, თან ღიმილით შევედი. ერთი კვირა მომცეს გამოსაცდელად, ვნახოთ, როგორ გაართმევ თავსო. თუმცა მეორე დღესვე მითხრეს, მიღებული ხარო. დროთა განმავლობაში დავუახლოვდი ვერსაჩეებს: ჯანის, მის ძმას, შეყვარებულს... ოჯახურ ვახშამზე მიწვევდნენ. დონატელა ვერსაჩე იყო მხოლოდ პირქუში...“**

**„უიტნი ჰიუსტონმა რომ გამიცნო, მას შემდეგ თავის სტილისტს გზავნიდა. ვურჩევდი სამოსის რამდენიმე ვერსიას და რომელიმეს აუცილებლად დაიტოვებდა ხოლმე. ჯენიფერ ლოპესს რამდენიმე ანსამბლი ავუწყვე. შერონ სტოუნს ყველაფერი უფასოდ უნდოდა. ადამიანს, რომელსაც ფული თავზე საყრელად აქვს, რატომ უნდა უნდოდეს ყველაფრის ჩუქება?!**

**— თქვენ უცხოელი ვარსკვლავების ჩაცმულობაზეც ზრუნავდით...**

— დიახ, როცა ჯანი ვერსაჩესთან ვმუშაობდი. მასთან ხშირად მოდიოდნენ ცნობილები, ჩემს რჩევებსაც ითვალისწინებდნენ.

**— ვერსაჩესთან როგორ მოხვდით?**

— 1994 წელს ემიგრაციაში წავედი და ნიუ-იორკში დავსახლდი. ბედმა გამიღიმა და რამდენიმე თვის შემდეგ ვერსაჩეს მაღაზიაში დავიწყე მუშაობა. მუსიკის გარდა, ბავშვობიდან ყველაზე მეტად მოდის სამყარო მომწონდა და ამიტომაც გადავწყვიტე მუშაობა ამ სფეროში. ერთ დღეს შევედი მის მაღაზიაში და ვუთხარი, სამსახურს ვეძებ-მეთქი. გამოცდილება გაქვსო? არა, მაგრამ მიყვარს მოდა და ხალხთან ურთიერთობა-მეთქი. გაეცინათ, დატოვეთ თქვენი ნომერიო. რადგან არავინ დამირეკა, კვირის თავზე ისევ მივედი. ამჯერად მაღაზიის მფლობელი დამხვდა და როგორც ჩანს, კარგ თვალზე შემომხედა: მეცვა ლამაზად, მოდურად, დახვეწილად, თან ღიმილით შევედი. 1 კვირა მომცეს გამოსაცდელად, ვნახოთ, როგორ გაართმევ თავსო. თუმცა მეორე დღესვე მითხრეს, მიღებული ხარო. დროთა განმავლობაში დავუახლოვდი ვერსაჩეებს: ჯანის, მის ძმას, შეყვარებულს.... ჯანი ჯორჯიანას მეძახდა. ოჯახურ ვახშამზე მიწვევდნენ. დონატელა ვერსაჩე იყო მხოლოდ პირქუში.

ერთხელ მაღაზიაში უიტნი ჰიუსტონი გვეწვია. რომ გამიცნო, მას შემდეგ თავის სტილისტს გზავნიდა. მე ვურჩევდი სამოსის რამდენიმე ვერსიას და რომელიმეს აუცილებლად დაიტოვებდა ხოლმე. როდესაც ჯენიფერ ლოპესი გვეწვია, უკვე ვიპ-მენეჯერი ვიყავი. ვარსკვლავებისთვის ცალკე სართული იყო გამოყოფილი. ჯენიფერს რამდენიმე ანსამბლი ავუწყვე და ძალიან ბედნიერი წავიდა. შერონ სტოუნს ყველაფერი უფასოდ უნდოდა. ადამიანს, რომელსაც ფული თავზე საყრელად აქვს, რატომ უნდა უნდოდეს ყველაფრის ჩუქება?! კომპანია ვიპ-კლიენტებს საჩუქრებს ისედაც უკეთებდა. „ოსკარის“ ცერემონიალზე რომელიმე ვარსკვლავს ჩუქნიდნენ სამოსს.

**— ალბათ, ბევრი სამახსოვრო ფოტო გაქვთ.**

— თქვენ გავიწყდებათ, რომ 90-იანები იყო. ფოტოს გადაღება მაშინ ფული ღირდა და წინასწარ შეთანხმებით ხდებოდა.

**— ქართველ პოლიტიკოსთაგან ვინ იცვამს ყველაზე გემოვნებით?**

— კახა კალაძე, ქალებში — ნინო ბურჯანაძე. ამ მხრივ განვითარდა ეკა ბესელიაც — ყოველთვის ელეგანტურად აცვია.

**— ყოველდღიურ ჩაცმულობაში ყველაზე ხშირად რა შეცდომას ვუშვებთ?**

— ქუჩას ფერადოვნება უხდება, ამიტომ ცოტა გაფერადდით, სულ შავებში ნუ დადიხართ. გამოკვეთეთ სხეულის ლამაზი ადგილები. არ არის აუცილებელი ბრენდი გეცვას, მთავარია, გეცვას გემოვნებით და ყოველთვის გამორჩეული იქნები.

*ეკა სალაღაია*




# იჩაგრებიან თუ არა ჯარში ჯარისკაცები

***ს**ავალდებულო სამხედრო სამსახურში — როგორც თავდაცვის ძალებში, ისე სხვა ძალოვან სამინისტროებში, ყოველწლიურად ექვსი ათასამდე ახალგაზრდას იწვევენ.*

ეს არცთუ დიდი რიცხვია, მაგრამ მიუხედავად ამისა, დროდადრო ვრცელდება ინფორმაცია, რომ ქართულ არმიასა თუ სხვა პარამილიტარულ დანაყოფებში, სადაც ახალგაზრდები სავალდებულო სამხედრო სამსახურს იხდიან, ხშირია ჯარისკაცებს შორის ჩხუბი და ერთმანეთის დაჩაგვრა.

ბოლო ინციდენტი გასულ კვირას მოხდა. თავდაცვის სამინისტრომ გაავრცელა ოფიციალური ინფორმაცია, რომლის თანახმად, თავდაცვის ძალების წვრთნისა და სამხედრო განათლების სასწავლო ცენტრ „კრწანისში“ ახალწვეულებს შორის სავარაუდო დაპირისპირებასთან დაკავშირებით სამხედრო პოლიციამ გამოძიება დაიწყო, თუმცა დაზარალებულ ახალწვეულს სამედიცინო შემოწმებისას დაზიანება არ აღმოაჩნდა.

როგორც ამბობენ, კვამლი უცეცხლოდ არ არსებობს. ქართულ არმიაში ადრე მომხდარი რამდენიმე ინციდენტი (კოჯორში საქმე დაჭრამდეც კი მივიდა) მიუთითებს, რომ სამხედრო მოსამსახურეებს შორის არასაწესდებო ურთიერთობა გრძელდება.

საბედნიეროდ, ისე ტრაგიკულად აღარ არის საქმე, როცა ყაზარმა ყაზარმაზე იწევდა და ხელჩართულ ჩხუბში ასობით ჯარისკაცი იყო ჩართული (ასეთიც ახსოვს ქართული არმიის ისტორიას), მაგრამ თავდაცვის ძალებისა თუ შსს-ს დანაყოფების ჯარისკაცებს შორის შიდა დაპირისპირება აბსოლუტურად მიუღებელია.

რა იწვევს ჯარისკაცებს შორის დაპირისპირებას?

მიზეზი შეიძლება სამი იყოს: „დედოვშჩინა“, კუთხურობა და ე.წ. ძველბიჭობა.

„დედოვშჩინა“ ანუ შედარებით მეტხანს ნამსახურები ჯარისკაცის მიერ ახალწვეულის ჩაგვრა მართლაც არსებობს (გაწვევა წელიწადში ორჯერ ხდება), მაგრამ იმის გამო, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახური მხოლოდ ერთწლიანია, ისე აშკარა არ არის, როგორც ორწლიანი სამსახურის დროს.



*სავალდებულო და საკონტრაქტო სამხედრო სამსახურში არასაწესდებო ურთიერთობების დასაწყისშივე აღმოფხვრა სარდლობის უმთავრესი საზრუნავი უნდა იყოს*

ჩვენდა სამარცხვინოდ, უფრო სახიფათოა კუთხურობის გამო დაპირისპირება, როცა საქართველოს ერთი რეგიონიდან გაწვეულ ჯარისკაცთა ჯგუფი ცდილობს, ღამით ყაზარმაში სხვა კუთხის ჯარისკაცი დაჩაგროს.

კუთხურობის გამოვლინებაა ისიც, როცა ჩაგრავენ საქართველოში მცხოვრებ სხვა ეროვნების ჯარისკაცს — ბოლო დროს რამდენიმე ასეთი ფაქტიც მოხდა.

მესამე და ასევე მიუღებელია ყაზარმაში ე.წ. ძველბიჭობის ინსტიტუტის დამკვიდრების მცდელობა, როცა რამდენიმე ჯარისკაცი ცდილობს, მთელი დანაყოფი თავისი გავლენის ქვეშ მოაქციოს და ისინი ქუჩის კანონებით მართოს.

რით გამოიხატება ეს ჩაგვრა?

დღეს ჯარისკაცებს, საბედნიეროდ, აღარ უწევთ ტუალეტების დალაგება (ამას დაქირავებული დამლაგებლები აკეთებენ), თორემ ადვილი წარმოსადგენია, რა ცემატყეპა იქნებოდა ყაზარმებში ღამით.

მიუხედავად ამისა, კუთხურობისა და ძველბიჭობის პრინციპით მოქმედი ჯარისკაცთა ჯგუფები ცდილობენ, თავიანთი გავლენის ქვეშ მოაქციონ შედარებით სუსტი ნებისყოფის ჯარისკაცები, რომლებსაც თავდაცვა უჭირთ და ჯგუფურ ზეწოლას ვერ უძლებენ.

რა თქმა უნდა, ეს არ მოხდება, თუ დანაყოფის სერჟანტი და ოფიცერი თავიანთ საქმეს კარგად აკეთებენ, დაქვემდებარებულ ჯარისკაცებს პიროვნულად შეისწავლიან და იციან, როგორ მიუდგნენ მათ.

არასაწესდებო ურთიერთობა მხოლოდ სავალდებულო სამხედრო სამსახურის ჯარისკაცებს შორის არ არის. იყო რამდენიმე სამწუხარო შემთხვევა, როცა ყაზარმაში კონტრაქტით მომსახურე სამხედროსაც ჩაგრავდნენ კუთხურობისა თუ ძველბიჭობის პრინციპით.

მკითხველმა არ უნდა იფიქროს, რომ არასაწესდებო ურთიერთობა მხოლოდ ქართულ არმიაშია, პირიქით, სომხეთისა და აზერბაიჯანის არმიების ფონზე (რუსულ არმიაზე რომ აღარაფერი ვთქვათ) ჩვენ არა გვიშავს. საშინელი „დედოვშჩინა“ მძვინვარებს ოკუპირებულ ცხინვალსა და აფხაზეთში დისლოცირებული რუსული საოკუპაციო სამხედრო ბაზების ყაზარმებში.

ყაზარმულ გარჩევებს ვერც ამერიკული არმია გადაურჩა და ვერც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი ბევრი ქვეყნის შეიარაღებული ძალები.

ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ ფიზიკურად აქტიურ მამაკაცების ჯგუფს დღე და ღამე უწევთ ურთიერთობა, რომლის დროსაც ვლინდებიან ლიდერებიც და დაჩაგრულებიც.

ასე ხდება სამოქალაქო ცხოვრებაშიც, მაგრამ თუ მოქალაქეს რამე არ მოეწონა, ის შეიძლება გაერიდოს მისთვის მიუღებელ სიტუაციას, ჯარისკაცს კი ასე ადვილად არ შეუძლია ყაზარმიდან წასვლა — ის დეზერტირად ჩაითვლება, ამასთან, მეთაურობისთვის დაჩაგვრის ფაქტების მოხსენება და ჩივილი ცუდ ტონად ითვლება (არა მარტო ქართული მენტალიტეტის გამო. ამერიკულ არმიაშიც კი მათ ჩამშვებებად აღიქვამენ) და ამის შემდეგ ეს ჯარისკაცი აუცილებლად სხვა ნაწილში უნდა გადაიყვანონ, თორემ ცხოვრება ჯოჯოხეთად ექცევა...

მაგრამ ის, რაც საბჭოთა არმიაში ხდებოდა, ქართულ ჯარში არ უნდა ხდებოდეს. სავალდებულო სამხედრო სამსახურის გაუქმება და მხოლოდ კონტრაქტით მოსამსახურეების დატოვება პრობლემას ვერ უშველის. მთავარია, დანაყოფის სერჟანტმა, ოფიცერმა, მეთაურმა და სამხედრო პოლიციამ ეფექტიანად იმუშაონ და სამხედრო მოსამსახურეებს შორის არასაწესდებო ურთიერთობა ჩანასახშივე მოსპონ.

***ირაკლი ალადაშვილი***

# ხერხემლისა და ზურგის ტკივილი

***ს**აუბრობს საქართველო-ისრაელის ერთობლივი კლინიკა „გიდმედის“ ტკივილის მართვის ცენტრის დამფუძნებელი და გენერალური მენეჯერი, მედიცინის დოქტორი, ვერტებროლოგი* **შალვა გაბაძე:**

— ხერხემალი ორგანიზმის დედაბოძია და თავისი აგებულებით: მალებით, მალთაშორისი დისკებით, მყესებითა და კუნთებით წარმოადგენს ბრწყინვალე „არქიტექტურულ შედევრს“. თუმცა ასაკის მატებასთან ერთად მალთაშორისი დისკები კარგავენ ელასტიკურობას, ზოგიერთ შემთხვევაში მძიმე ფიზიკური დატვირთვის ან ტრავმის შედეგად ირღვევა მათი ფიბროზული რგოლის მთლიანობა, რასაც თან მოჰყვება დისკოს ჟელესებრი შიგთავსის გარეთ გამოსვლა თიაქრის ჩამოყალიბებით, გამოვარდნილი დისკის, ანუ თიაქრის მალთაშორის ფესვებზე ზეწოლა იწვევს ძლიერ ტკივილს. ტკივილის სხვა მიზეზები კისრის, ზურგისა და გავა-წელის მიდამოში შეიძლება იყოს ჩონჩხის განვითარების ანომალია, ფორმა, წონა, ინფექციური და სხვა დაავადებები.



ტკივილის ზუსტ მიზეზსა და მკურნალობის ტაქტიკას ადგენს ექიმი-სპეციალისტი, თუმცა პირველ ეტაპზე პაციენტი თავად ცდილობს მოახდინოს ტკივილის კუპირება და იყენებს სხვადასხვა ადგილობრივ საშუალებას, კრემებს, გელებსა და მალამოებს. ზურგის ტკივილის პროფილაქტიკაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩონჩხის სწორი, ნორმალური განვითარების ხელშეწყობას, ფიზიკურ აქტივობას, ვარჯიშს, ცურვას, ხოლო პირველადი დახმარების სახით შესაძლებელია მტკივნეულ არეზე დატანილ იქნეს ადგილობრივი ტკივილგამაყუჩებელი ანთებსაწინაალმდეგო საშუალება, რომელთა არჩევანი სააფთიაქო ქსელებში დღეს ძალიან დიდია. ასეთი პრეპარატებიდან დავასახელებ, მაგალითად, ახალ სამკურნალო პრეპარატ „მატარენ პლუსის“ კრემს, რომელიც გარკვეულწილად ხასიათდება რიგი უპირატესობებით. მასში აქტიური ანთებსაწინააღმდეგო, ტკივილგამაყუჩებელი მოქმედების ნივთიერება (მელოქსიკამი) სხვა პრეპარატებთან შედარებით უფრო მაღალი კონცენტრაციით — 3%-ით არის წარმოდგენილი. გარდა ამ კომპონენტისა „მატარენ პლუსის“ კრემს დამატებული აქვს წიწაკის ნაყენი (ბუნებრივი კაფსაიცინი), რომელიც სხვა სინთეზური ანალოგებისაგან განსხვავებით არ იწვევს შემაწუხებელ წვას თუ სიმხურვალეს და აქვს მსუბუქი დამათბობელი ეფექტი, ახდენს ადგილობრივად კაფსიცინური რეცეპტორების გაღიზიანებას და აუმჯობესებს ადგილობრივ სისხლის მიმოქცევას, რაც კიდევ უფრო უწყობს ხელს ანთებითი პროცესის ჩაქრობას და არსებობის შემთხვევაში, შეშუპების გაწოვას. დამატებითი კომპონენტების სახით „მატარენ პლუსის“ კრემს დამატებული აქვს ლავანდისა და კორიანდრის ზეთები, რომლებიც „მატარენ პლუსის“ კრემის ტექსტურას კიდევ უფრო სასიამოვნოს ხდის და ხელს უწყობს კრემის სწრაფ და უკვალო შეწოვას. ამგვარად „მატარენ პლუსი“ ხასიათდება მაღალი ეფექტურობით და სწრაფი მოქმედებით, რაც დამეთანხმებით, მეტად მნიშვნელოვანია ტკივილით შეწუხებული პაციენტებისთვის. ტკივილის გახანგრძლივების ან დროთა განმავლობაში ტკივილის ინტენსივობის ზრდის შემთხვევაში აუცილებელია კვალიფიციური ექიმის რჩევა და სწორად შერჩეული კომპლექსური მკურნალობა.



**დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ ან დაუკავშირდით კომპანია „შტადას“ წარმომადგენლობას საქართველოში ტელ: 240 24 44**

R

# 90-იანების „საჩუქარი“

## ნარკომანი ქალის დღიური



*ზუსტად არ ახსოვს, როდის და როგორ დაიწყო ყველაფერი. რამდენჯერმე თანატოლებთან „მოსაწევი“ გასინჯა. შემდეგ „თინეიჯერული კომპლექსების მოხსნას“ მოუხშირა — მეგობრები ურჩევდნენ, მოწევა სულიერი თავისუფლების პოვნაში დაგეხმარებაო.*

*მოსწავლეობისას გათხოვდა. ქმარი ნარკომომხმარებელი იყო, მაგრამ ცოლს მსუბუქი ნარკოტიკის მიღებასაც უკრძალავდა. თუმცა მეგობრებმა გადაწყვიტეს ერთხელ „წამალიც“ გაესინჯათ... 20 წლისამ აღმოაჩინა, რომ ნარკოდამოკიდებული იყო. რამდენიმე წლის შემდეგ ნარკოტიკების მოხმარება-შენახვის ბრალდებით დააკავეს...*

*39 წლის ანა „კვირის პალიტრას“ თავისი ცხოვრების უმძიმეს წლებზე უამბობს...*

**რამდენიმე ხნის შემდეგ ასეთივე „საჩუქარი“ (ასე შევარქვით ნარკოტიკს გოგოებმა, მარიხუანას კი „მალენკაია სტრანას“ ვეძახდით) სხვამაც მოიტანა. ოჯახისთვის დატოვებული ფულის დიდ ნაწილს ვაძლევდი იმას, ვინც ამ საქმეში „ცალკე არხი გაჭრა“. ვუსმენდით „ნირვანას“ და მიგვაჩნდა, რომ განსაკუთრებულები ვიყავით, თავი მაგარი ტიპები გვეგონა და „შკოლნიკებივით“ არ ვცხოვრობდით. ჩვენი კერპი კურტ კობეინი იყო. უბანში ტატუ პირველმა ჩემმა დაქალმა გაიკეთა. ეს იყო უმძიმესი 90-იანები და იმ ნაცრისფერ თბილისში უდიდეს სიამოვნებას ვიღებდით**

### თინეიჯერული კომპლექსების „სამკურნალოდ...“

„90-იანი წლები იყო და სახლში არც სითბო გვქონდა, არც დენი, არც ტელევიზორი. სკოლაში გაკვეთილები მაინც არ გვიტარდებოდა და თავიდან უბრალოდ ვერთობოდით. სკოლის დამთავრებამდე გავთხოვდი. უბანში ყველაზე „მაგარ ბიჭს“, 24 წლის გიოს გავყევი ცოლად. ის უკვე ნარკომომხმარებელი იყო, რაც ჩემი თაობის გოგოებისთვის ტრაგედია არ ყოფილა. გიომ მკაცრად გამაფრთხილა, მარიხუანასკენ ერთხელაც რომ გაიხედო, მოგკლავო. მალე დავფეხმძიმდი, თუმცა ბავშვი თანდაყოლილი გულის მანკით დაიბადა და დაიღუპა. ეს იყო პირველი შოკი ჩემს ცხოვრებაში. მივხვდი, სამყარო მხოლოდ გასართობად არ იყო შექმნილი. გარშემო ყველასა და ყველაფერს ვადანაშაულებდი, მათ შორის, ქმარსაც.

მერე ისევ ძველი მეგობრებისკენ გამიწია გულმა. გიოს მათთან ურთიერთობა არ დაუშლია, თუმცა სულ მაკონტროლებდა. მეც სახლში ვიჯექი და ჩემი „ბანდაც“ გარშემო ტრიალებდა. მათ შორის იყვნენ ჩემი ქმრის მეგობრების ცოლებიც — სკოლის მერხიდანვე მოტაცებულ-გათხოვილი გოგონები. ერთხელ სააბაზანოში სარკის უკან „გამზადებული“ შპრიცი ვიპოვე. სახლში სამი გოგო ვიყავით და დიდხანს არ გვიმსჯელია — ერთხელ გავსინჯოთ და მორჩაო. კონკრეტულად რა იყო, არ ვიცოდით. სხვა შეგრძნება არ მახსოვს, მხოლოდ ცხელ ტალღას ვგრძნობდი მთელ სხეულში.

საღამოს გიო რომ დაბრუნდა, ყველაფერი თავდაყირა დააყენა. სააბაზანოდან გაფითრებული გამოვიდა ოთახში, მითხარი, რომ შენ არ აგიღიაო. ამ სცენისთვის მზად ვიყავი და ისეთი კონცერტი გავუმართე, ამას როგორ მაბრალებ-მეთქი, რომ ხმა აღარ ამოუღია. რამდენიმე ხნის შემდეგ ასეთივე „საჩუქარი“ (ასე შევარქვით გოგოებმა, მარიხუანას კი „მალენკაია სტრანას“ ვეძახდით) სხვამაც მოიტანა. გიო ფრთხილობდა და სახლში არაფერს ტოვებდა, მაგრამ მე ოჯახისთვის დატოვებული ფულის დიდ ნაწილს ვაძლევდი იმას, ვინც ამ საქმეში „ცალკე არხი გაჭრა“.

ვუსმენდით „ნირვანას“ და მიგვაჩნდა, რომ განსაკუთრებულები ვიყავით, თავი მაგარი ტიპები გვეგონა და „შკოლნიკებივით“ არ ვცხოვრობდით. ჩვენი კერპი კურტ კობეინი იყო. უბანში ტატუ პირველმა ჩემმა დაქალმა გაიკეთა. ეს იყო უმძიმესი 90-იანები და იმ ნაცრისფერ თბილისში უდიდეს სიამოვნებას ვიღებდით. ჩემი ქმარი ერგნეთის მხარეს დადიოდა, ბიზნესიც ჰქონდა და „საჩუქრებსაც“ არ იკლებდა.

### გზა ჭაობისკენ

ერთ დღეს გავიგე, რომ ისევ ფეხმძიმედ ვიყავი და თითქოს ცოტა გონს მოვედი. გიომ ჩემი ფეხმძიმობის შესახებ რომ შეიტყო, უზომოდ გაუხარდა. მონასტერში წავიდა ორი კვირით, ვილოცებ, ჩვენი შვილი ჯანმრთელი დაიბადოსო. თითქოს შეგვისმინა უფალმა ლოცვა და ცხოვრების წესის გამოსწორების შანსი მოგვცა, მაგრამ მონასტრიდან დაბრუნებული გიო ლამის ერთი თვე არ გამოფხიზლებულა. მეც უკვე ვგრძნობდი, რომ „რაღაც“ ძალიან მინდოდა მოსადუნებლად ან გასაფრენად, მაგრამ თავს ვერ ვუტყდებოდი.

მაშინ 22 წლის ვიყავი. რაც დრო გადიოდა, ის „რაღაც“ არ მასვენებდა. მშვიდად არ მეძინა, სულ გაღიზიანებული ვიყავი. გიო ამას ფეხმძიმობის შემდგომ პერიოდს აბრალებდა. ერთხელ მითხრა, თუ გინდა, ცოტა ხნით დედაშენთან წადი, დაგეხმარებაო. მეც მეგონა, გარემოს შეცვლა მიშველიდა. ერთხელ დედაჩემთან სტუმრად ჩემი მეგობრები მოვიდნენ. მათ შორის იყო ყველაზე „ყოჩაღიც“. გოგონები ოთახში განვმარტოვდით თუ არა, მან ჩანთა გახსნა ეშმაკური ღიმილით და... ყველამ გავინაწილეთ.

ერთხელ ვიღაცამ დაგვასმინა. გიო დედაჩემთან მოვარდა, ყვიროდა, მოგკლავო. დედა შოკში იყო, ვერ გაიგო, რა ხდებოდა. მამა რუსეთში მუშაობდა და იქიდან რეკავდა, მაგრამ ქმარმა ნამუსი შემინახა, სახლში წამიყვანა და თვალს არ მაშორებდა. ბიჭები რომ მოდიოდნენ, აივანზე გადიოდნენ და იქ იჩხირავდნენ. მუდმივმა თვალთვალმა ისე დამღალა, სული კბილით მეჭირა, მაგრამ ვუძლებდი. ალბათ, ჯერ კიდევ ჰქონდა ორგანიზმს მოთმენის უნარი. ასე გავიდა ორ კვირაზე მეტი. ვცდილობდი, მთლიანად ბავშვზე ვყოფილიყავი გადართული. დედაჩემი იმ უტრანსპორტობასა და სიბნელეში რამდენიმე გაჩერებას ფეხით გადიოდა. დღემდე ვნანობ, რომ მისთვის მადლობა არ მითქვამს.

ერთხელ შუაღამეს დროის გასაყვანად უჯრების დალაგება დავიწყე. ჯერ კიდევ მეგონა, რომ ნარკომანი არ ვიყავი და თავს ვაკონტროლებდი. უცებ უჯრაში ძველ დღიურებთან ერთად სავსე შპრიცსაც გადავაწყდი. გიოს ეძინა და ვიფიქრე, რომ მის გაღვიძებამდე ნარკოტიკით გამოწვეული ეიფორია გადამივლიდა. სინამდვილეში, ქმარმა გამოცდა მომიწყო და ბურანში წასულს თავზე დამადგა. გათენებას დაელოდა, დედაშენს ინფარქტს ვერ დავმართებო და დილით გვარიანად ნაცემი მამისეულ სახლში მიმიყვანა.

### „ამ კოშმარში ჩაიძირა ჩემი ბავშვობა“

დედას უამრავი ტყუილი ვუთხარი, გიო ეჭვიანობს, სხვა ქალის მოყვანა უნდა, მარტო ყოფნა და თავისუფლება სურს, ამიტომ დამაბრალა ნარკომანობა-მეთქი. არ დამიჯერა... რამდენიმე მეგობარს სახლში მოსვლა აუკრძალა, ჩემს შვილზე ცუდ გავლენას ახდენთო, მაგრამ უკვე გვიანი იყო. თავად ვეძებდი მათთან მისასვლელ გზებს. ბავშვს დედა ზრდიდა, მე კი ხან ერთ დაქალთან ვრჩებოდი, ხან მეორესთან. დედაც ხან სად მეძებდა, ხან სად. „ბანდას“ ახალი წევრები ემატებოდნენ: ბიჭები, გოგოები, ქმარს გაცილებულები, გასათხოვრები... უკვე „ვინტის“ მოხარშვაში დასპეცებული ვიყავი. ყველას გვყავდა ნაცნობი ნარკორეალიზატორი, ექიმი ან ფარმაცევტი აფთიაქში, რომელიც საჭირო ინგრედიენტებს გვაძლევდა. დოზებს თავად ვსაზღვრავდით. ეს კიდევ ცალკე „სკოლა“ იყო. ხანდახან ჰეროინი და მისი სინთეტიკური ანალოგიც გაჩნდებოდა, თუმცა არც „ბუბკებსა“ და სხვა საძაგლობაზე ვამბობდით უარს. ეს იყო ერთი დიდი კოშმარი, რომელშიც ჩაიძირა ჩემი ბავშვობა, შვილი, დედა, მამა და ქმარი. ძველ და ახალ შპრიცებს უკვე ვეღარ ვარჩევდი. ფსორიაზი დამეწყო, ჯანმრთელობა შემერყა...

„ბუნაგებს“ ხშირად ვიცვლიდით ახალი სანაცნობო წრის მეშვეობით და ხვალინდელი დღის გარანტიებს ვიღებდით.

ერთხელ ტაქსით „ბუდეში“ ვბრუნდებოდით და ფანჯრიდან დედაჩემის სილუეტი დავლანდე — ცალი ხელით პატარა ბიჭი ჰყავდა ახუტებული, მეორით სურსათით სავსე ჩანთას მოათრევდა. ქვეყნად თავი ყველაზე ამაზრზენ ადამიანად ვიგრძენი. სიკვდილი მინდოდა. მერე, რაც ხელში მომხვდა, ყველაფერი გავიკეთე.

### როგორ გადავრჩი...

გონზე საავადმყოფოში მოვედი. თავთან დედა მეჯდა, მოკუნტული, დაპატარავებული. გულწრფელად ვინანე, რომ გადავრჩი. ვინ გადამარჩინა, დედა, რას მერჩოდა-მეთქი, ამოვილუღლუღე. თქვენი შვილი ნარკომანია, აქამდე უნდა გეტირათო, უთხრა ვიღაც ქალმა დედას და კარი გაიჯახუნა. ერთი სიტყვით, ზედოზირების გამო ვიღაცამ „სასწრაფო“ გამოიძახა. პოლიციაც მოვიდა და 11 ადამიანი აიყვანეს, მათ შორის მეც ვიყავი, ცოცხალ-მკვდარი...

ნარკოტიკების დიდი ოდენობით შენახვისა და მოხმარებისთვის 6 წელი და 8 თვე მომისაჯეს. დედა ციხეშიც მაკითხავდა, ვთხოვე, ბავშვი არ მომიყვანო, ამ მდგომარეობაში არ მინდა მნახოს-მეთქი. ბავშვის სკოლის ამბებს მიყვებოდა. ჩემი ქმარი არც ერთხელ არ უხსენებია. სხვებისგან გავიგე, რომ რუსეთში გადაიხვეწა და დაიკარგა. ციხეში იმაზე თავისუფლად იშოვებოდა ნარკოტიკი, ვიდრე გარეთ. ზოგი ჩინურ ფსიქოსტიმულატორს მიეძალა და ნერვული შეტევები, პარანოია დაეწყო. მივხვდი, თუ გავაგრძელებდი, დავიღუპებოდი...

C ჰეპატიტი და კიდევ რამდენიმე ვირუსული დაავადება აღმომაჩნდა. დავიწყე მკურნალობა, პარალელურად, ხელსაქმე, ხატვა, წერა, ძალიან ბევრს ვკითხულობდი... დედას ვთხოვდი, ხშირად მოსულიყო, ის ერთგვარი სინდისის მათრახი იყო ჩემთვის. ცოტა აზრზე რომ მოვედი, გამიმხილა, რომ მამას რუსეთში ებრაელი ქალი შეურთავს ცოლად და შვილებიც გაუჩენიათ.

ისეთი ძლიერი შეტევები მქონდა, ტრანკვილიზატორებსა და ოპიატებს ვიღებდი. ზოგჯერ ვითიშებოდი კიდეც. პირველად ყველაზე ხანგრძლივმა რემისიამ, ანუ სიფხიზლის პერიოდმა, 8 თვეს გასტანა... დედაჩემისა და ჩემი შვილის არსებობას ჩავებღაუჭე და გადავრჩი. მას შემდეგ რამდენიმე წელი გავიდა, მაგრამ დღემდე მახსენებს თავს, შეიძლება 40 გრადუს სიცხეში ძვლებამდე შემცივდეს.

ჩემი შვილი დედაჩემის დამსახურებით კარგი ადამიანი დადგა. ვცდილობ ნაადრევად დაბერებულ დედასთან ძველი ცოდვები გამოვისყიდო. პატარ-პატარა სამუშაო მაქვს და თითქოს არ გვიჭირს, მაგრამ ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები ნარკოტიკმა შეიწირა. ციხიდან გამოსვლის შემდეგ, ახალგაზრდობის მეგობრებიდან რამდენიმე გამომეხმაურა, მე კი მათთან ურთიერთობის გასაწყვეტად საცხოვრებელი ადგილი შევიცვალე.

**„ბუნაგებს“ ხშირად ვიცვლიდით ახალი სანაცნობო წრის მეშვეობით და ხვალინდელი დღის გარანტიებს ვიღებდით. ერთხელ ტაქსით „ბუდეში“ ვბრუნდებოდით და ფანჯრიდან დედაჩემის სილუეტი დავლანდე – ცალი ხელით პატარა ბიჭი ჰყავდა ახუტებული, მეორით სურსათით სავსე ჩანთას მოათრევდა. ქვეყნად თავი ყველაზე ამაზრზენ ადამიანად ვიგრძენი. სიკვდილი მინდოდა. მერე, რაც ხელში მომხვდა, ყველაფერი გავიკეთე**

*ლალი პაპასკირი*

# „ესტროლაიფი“

## ქალის შარდსასქესო სისტემის ჯანმრთელობა




ქალის ჯანმრთელობას მთელი ცხოვრების განმავლობაში სჭირდება მოფრთხილება. მაგრამ, სამწუხაროდ, მუდმივი საზრუნავის გამო, მშვენიერი სქესის წარმომადგენლები ხშირად ივიწყებენ ამის შესახებ. შედეგად ცივდებიან, ხდებიან ინფექციური შეტევების სამიზნე, უქვეითდებათ იმუნიტეტი, განიცდიან ჰორმონალურ დისბალანსს. ქალის სუსტი შარდსასქესო სისტემა იშვიათად პატიობს ასეთ დაუდევრობას. და თუ ახალგაზრდა ასაკში ის რეაგირებს ადნექსიტით, ცისტიტით, პიელონეფრიტით, უნაყოფობით, წლების მატებასთან ერთად „ქალური დაავადებების" სია იზრდება და უფრო სახიფათო ხდება. ესაა სიმსივნური დაავადებები (მიომა, ფიბრომიომა, საკვერცხეების კისტა, მასტოპათია), ასევე, საშვილოსნოს ყელის ეროზიები, კენჭები თირკმელებში, შარდის შეუკავებლობა, ენდომეტრიუმის დაავადებები. ქალის ცხოვრებაში წითელ ზოლად ჩნდება კლიმაქსი. ის მიმდინარეობს ოფლიანობით, წამოხურებებით, ხასიათის ცვალებადობით, წნევის ცვალებადობით, ოსტეოპოროზის განვითარებით, ქრონიკული დაავადებების გამწვავებით. ესტროგენის დაბალი დონის გამო, ამ პერიოდში ქალები განსაკუთრებით უტევთ შარდსასქესო სისტემის დაავადებები. **მუცლის დაბლა, წელის ან შარდსადინარი არხის არეში ტკივილის იგნორირება, ხშირი შარდვა ან წვის შეგრძნება, სისხლდენა შარდვისას, უჩვეულო გამონადენი – ყველაფერი ეს ძალიან სახიფათოა!** უყურადღებოდ მიშვებული ქალური დაავადებები ხშირად ქმნის ონკოლოგიის, პერიტონიტის, თირკმლის უკმარისობის საფრთხეს. აღმოაჩინეთ თქვენში საგანგაშო სიმპტომები? რთულად გადაგაქვთ კლიმაქსი? არავითარ შემთხვევაში არ მიუშვათ დაავადება თვითდინებაზე!

**„ესტროლაიფის" ელექსირი საიმედო ფარია ქალის ჯანმრთელობისთვის**

ორგანიზმი რომ ნებისმიერ იმ სირთულეს გაუმკლავდეს, რაც ქალებს ხვდათ წილად, საჭიროა მისი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით, ვიტამინებით, მიკრო- და მაკროელემენტებით, ნუტრიენტებითა და ანტიოქსიდანტებით დახმარება. ამ ამოცანას ადვილად გაუმკლავდება „ესტროლაიფის" ნატურალური ელექსირი. ეს არის აქტიური კომპონენტების დაბალანსებული ნაკრები, რომელიც ასე საჭიროა ქალისთვის შარდსასქესო სისტემის დაავადებებთან საბრძოლველად და შესაძლო ასაკობრივი პრობლემების თავიდან ასაცილებლად.

„ესტროლაიფის" ელექსირი ბუნებრივად ეხმარება ქალის ორგანიზმს, შეიცავს რა ისეთ ბუნებრივ „მკურნალებს", როგორებიცაა ოქროწკეპლას, ასისთავას, ორტილია ცალმხრივის, ბარამბოს, ექინაცეის, შროშანას, მარმუჭის, ოქროს ულვაშის, გულყვითელას, ვარდისფერი როდიოლას, მოცვის, წითელი მოცვის, ბაბუაწვერას ფესვის, ჩვეულებრივი მატიტელას, მინდვრის შვიტას ექსტრაქტები. მცენარეთა ამგვარ კომპლექსს, შარდმდენი, ანტიბაქტერიული, დამამშვიდებელი, სიმსივნის საწინააღმდეგო მოქმედებით, ბუნებრივი ანტიოქსიდანტებისა და ფიტოჰორმონების შემცველობით, შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს ინფექციურ აგენტებსა და სოკოებს, გაწმინდოს შარდგამომყოფი გზები, მოაწესრიგოს შარდვა, გააუმჯობესოს შარდსასქესო გზების მიკროფლორის მდგომარეობა, მოხსნას ანთება, თავიდან ააცილოს მენოპაუზის უსიამოვნო გამოვლინებები.

**აქცია ძალაშია!**
**12 თებერვლიდან — 16 მარტამდე**

**„ესტროლაიფის“ ელექსირი ზრუნავს ქალების ჯანმრთელობაზე, რომელთაც აწუხებთ შემდეგი დაავადებები და მდგომარეობები:**

- მცირე მენჯის ორგანოების ანთებითი დაავადებები (ადნექსიტი, სალპინგიტი, ოოფორიტი, ცერვიციტი, ენდომეტრიტი, ბართოლინიტი, კოლპიტი, საშვილოსნოს ყელის ეროზია, რძიანა)
- შარდვის პროცესის დარღვევა (შარდის შეუკავებლობა, შარდის ბუშტის ხშირი, გართულებული დაცლა, შარდმჟავა დიათეზი)
- თირკმლების, შარდის ბუშტისა და შარდგამომყოფი გზების ანთებითი დაავადებები (ცისტიტი, ურეთრიტი, პიელონეფრიტი, გლომერუონეფრიტი, შარდკენჭოვანი დაავადება)
- საკვერცხეების კისტები, შეხორცებები, საშვილოსნოს მიომა და ფიბრომიომა, ენდომეტრიოზი, მასტოპათია
- მენსტრუალური ციკლის დარღვევები, წინამენსტრუალური სინდრომი, დისმენორეა და პოლიმენორეა
- რეპროდუქციული ფუნქციის დარღვევა
- კლიმაქსის სიმპტომების (წამოხურებების, ოფლიანობის, წნევის ცვალებადობის, ტაქიკარდიის, უძილობის, ხასიათის ცვალებადობის) კუპირება
- საშოს სიმშრალე, სექსუალური სურვილის დაქვეითება

**ლამაზებო, მშვენიერებო! თქვენ მთელი ცხოვრება შრომობდით და უდრტვინველად იტანდით სირთულეებს, ზრუნავდით ქმრებზე, შვილებზე, მშობლებზე. დადგა დრო, საკუთარ თავზეც იზრუნოთ. გახსოვდეთ, არაფერი ისე არ ალამაზებს ქალს, როგორც ჯანმრთელობა.**



მთელი ცხოვრება ბევრს ვმუშაობდი, თვითონ გამყიდველი ვარ, მაგრამ ხდებოდა, რომ მტვირთავის მაგიერაც ვცლიდი საქონელს. სოფელში როგორც კი წახვალ, იქაც სიმძიმეების თრევა გიწევს და დამემართა **საშვილოსნოს დაწევა**. როდესაც გამოკვლევას ვიკეთებდი, კიდევ დამიდგინეს **საშვილოსნოს ყელის ეროზია, პოლიპიც** აღმომიჩინეს. ექიმმა მითხრა, რომ შეიძლება კიბოდ გადაიქცეს, მაშინვე ოპერაცია შემომთავაზა, მაგრამ ძალიან არ მინდოდა მისი გაკეთება. გამოწერილი აფთიაქის წამლები საერთოდ არ მშველოდა, ამიტომ დავიწყე თქვენი ნატურალური ელექსირის „ესტროლაიფის" მიღება. რვა შეფუთვა დავლიე და მორჩა: აღარც ტკივილები მაქვს, აღარც გამონადენი უსიამოვნო სუნით. ქალთა კონსულტაციაში გავიკეთე ულტრაბგერითი გამოკვლევა და კოლპოსკოპია, ჩავაბარე ანალიზები. ეროზია შეხორცდა, პოლიპი ველარ იპოვეს, ინფექცია აღარაა, ქალური ორგანოები ანთების გარეშეა. კიდევ „ესტროლაიფმა" საშვილოსნოს ტონუსი აამაღლა. არანაირ ტაბლეტებს აღარ ვილებ, ახლა არსებობს ის, რაც ქალებს დაგვიცავს!

*ლორა მეიგეში, ქ. რიმავსკა-სობოტა, სლოვაკეთი*



სულ სხვა ცხოვრება დავიწყე. რომ არა „ესტროლაიფი", ეს შეუძლებელი იქნებოდა. **პიელონეფრიტი** დიდი ხანია მაწუხებდა. მზარეულად ვმუშაობდი, გახურებული შენობიდან სიცივეში გამოვდიოდი. თავიდან **ცისტიტები** მემართებოდა, შემდეგ თირკმელები ამტკივდა, თირკმლის წნევა მიწევდა. მთელი ცხოვრება წამლებზე ვიყავი. შეშუპებისგან ფეხები მისივდებოდა. თირკმელებში 5 მმ და უფრო დიდი კენჭები მქონდა. ჭვლების გამო ტკივილისგან ვყვიროდი. კიდევ ხალხში გასვლა მრცხვენოდა - **შარდს ვერ ვიკავებდი**, როცა მოუნდებოდა ფეხებზე ჩამომდიოდა. აღარ შემეძლო პამპერსების ყიდვა და ტანსაცმლის რეცხვა. ქმარს დააწვა მთელი მეურნეობა, სახლში სუნი იდგა, საწოლში ცელოფანს ვიფენდი, მრცხვენოდა, რომ ქმარი სხვა ოთახში გავასახლე. ჩემმა მეუღლემ როგორც კი „ესტროლაიფის" შესახებ წაიკითხა, სასწრაფოდ მიყიდა. 2 კურსი ჩავიტარე და შეუკავებლობის აღარ მეშინია, შარდს კარგად ვიკავებ, პამპერსები და ცელოფნები სულ გადავყარე. თირკმელები აღარ მტკივა, შეშუპება და თირკმლის წნევაც აღარ მაქვს. ვფიქრობდი: „სად წავიდა ჩემი ჭვლები?" გავიკეთე ულტრაბგერითი გამოკვლევა. იქ კი არც ერთი კენჭი აღარაა! თავიდან შარდი მღვრიე მქონდა, შემდეგ კი გაღიავდა. ყველა წამალი მომიხსნეს!

*შამირამ ალპეტიანი, ქ. ვანაძორი, სომხეთი*



ყოველთვის მაგარი ვიყავი. სამი გოლიათი გავაჩინე, არასოდეს არაფერი სერიოზულით ავად არ ვყოფილვარ. და უცებ მკვეთრად გავხდი ავად, სულ ცუდად ვიყავი. რაღაც არაგეგმიური სისხლდენები მქონდა, ხშირად ტკივილები მაწუხებდა მუცლის არეში. საპირფარეშოში ნახევარ საათობით ვიჯექი, შარდი არ გამოდიოდა, ცისტიტები მქონდა. ექიმებმა მითხრეს, რომ საშვილოსნო მეწევა დაბლა. კიდევ **ფიბრომიომა** აღმომიჩინეს. მითხრეს, რომ თუ სიმსივნე კიდევ გაიზრდება, საშვილოსნოსთან ერთად ამომაჭრიან. მე კი ნაცნობი მყავს, რომელიც ფიტოთერაპევტია, მირჩია მიმეღო ქალთა ელექსირი „ესტროლაიფი" და შემდეგ მივსულიყავი ჩემს გინეკოლოგთან. ასეც მოვიქეცი - 3 თვე ვიღებდი „ესტროლაიფს". შემდეგ კი ექიმთან მივედი, რომელმაც ფიბრომიომა ველარ მიპოვა და საშვილოსნოც აღარ აწვებოდა შარდის ბუშტს. სხვა უსიამოვნო შეგრძნებებმაც გამიარა. საპირფარეშოში ნორმალურად დავდივარ მოსაშარდად, მუცელი არ მქაჩავს, არანაირი ზედმეტი სისხლი. ქმართანაც **სექსუალური ცხოვრება მომიწესრიგდა,** პირდაპირ სურვილი და განწყობა გამიჩნდა. მადლობას მოგახსენებთ, თქვენ ჰარმონია დააბრუნეთ ჩვენს ოჯახში!

*ალა ივანეს ასული მარტინოვა,*
*ქ. გროდნო, ბელარუსი*



როგორ ვნერვიულობდი ან **ცისტიტის, ურეთრიტის** და დამატებით - **შარდკენჭოვანი დაავადების** გამო! 20 წელი ვიმუშავე მელიანდაგედ. ხუმრობა ხომ არაა: ქარში, 40-გრადუსიან ყინვაში სიმძიმეებით. ხშირად დავრბოდი მოსაშარდად. ვშარდავი ტკივილითა და სისხლით, ვფიქრობდი, შარდის ბუშტი გამისკდება. შორისში ყველაფერი მეწვოდა და მექავებოდა. ექიმები უსასრულოდ მჩხვლეტდნენ ანტიბიოტიკებით, მანამ, სანამ აღარაფერს აღარ მშველოდა. მივედი იქამდე, რომ შარდი შემეხუთა. განძრევითაც კი მტკიოდა. ვერც კი დავითვლი, რამდენჯერ ჩამიდგეს კათეტერი, რათა შარდი გამოეშვათ და წამალი შეეყვანათ. ორი თვის წინ კი მითხრეს, რომ საჭიროა ოპერაცია, ვინაიდან შარდის შეკავების გამო ინფექცია სწრაფად პროგრესირებდა. თვალთ დამიბნელდა, ისე გავნერვიულდი. ოპერაციის შემდეგ მთელი ცხოვრება შეიძლება მილით მომიწიოს შარდვა, მაგრამ არც სიკვდილი არ მინდა. დროულად შევიტყვე „ესტროლაიფის" ელექსირის შესახებ, მისი მეშვეობით ორ თვეში დავამარცხე ავადმყოფობა. ოპერაციაზე ექიმები ამჟამად ხმასაც აღარ იღებენ. ვშარდავ ყველანაირი კათეტერის გარეშე, თვითონ, ძალდატანების, ტკივილისა და სისხლის გარეშე, ტუალეტშიც ხშირად აღარ დავრბივარ. შარდის ანალიზი კარგია, ანთება არ მაქვს, ულტრაბგერითი გამოკვლევაც მახარებს, ვინაიდან „ესტროლაიფის" წყალობით თირკმელებში კენჭებიც აღარ მაქვს. ძალზედ კმაყოფილი ვარ!

*ლიდია ლეონიდის ასული კაზკო,*
*ქ. ხარკოვი, უკრაინა*

## გამოფენა-გაყიდვის განრიგი

**თბილისი**

**1.** ბახტრიონის №22. 12,**13,14,15,16,17,18, 26,27,28**. თებერვალი და **1,2,3,4** მარტი **15.00-17.00** სს.

**2.** მიხეილ ასათიანის №14 (აქცია და ფასდაკლება არ მოქმედებს) ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა **10.00-18.00** სს.

**3.** ვარკეთილი-3. 2-მ/რ, სუხიშვილის ქუჩის ბოლოს, სესილია თაყაიშვილის №1 „სამკურნალო-სარეაბილიტაციო ცენტრი“ (167 და 150 მარშრუტკის ბოლო გაჩერება, ავერსის აფთიაქის თავზე) ყოველდღე, **10.00-20.00** სს.

**თელავი** 26 მაისის №5, -------- **16** თებერვალი და **2** მარტი, **11.00-12.00** სს. ჭადრაკის სახლი.

**რუსთავი** მის. კოსტავას №21, ----- **17** თებერვალი და **3** მარტი, **12.00-13.00**სს. სასტუმრო «21» (მერიის მიმდებარე ტერიტორია)

**გორი** სტალინის გამზ. №24. --- **18 თებერვალი და 4 მარტი, 12.00-13.00** სს. სამედიცინო სახლი „მკურნალი“

### 19 თებერვალი და 5 მარტი

| | | |
|---|---|---|
| **ბათუმი** | ყაზბეგის №15. სასტ. „ყაზბეგი“. ---------------------- | **10.00-11.00** სს. |
| **ოზურგეთი** | იოანე პეტრიწის №1, რესტორანი „იზაბელა“. -------- | **12.00-13.00** სს. |
| **ფოთი** | 9 აპრილის №10. ბავშვთა გასართობი ცენტრი „ბალუ“. — | **14.00-15.00** სს. |
| **ზუგდიდი** | გამსახურდიას №28, კაფე „აქატი“ ---------------------- („მაგთის“ ოფისის გვერდზე) | **16.00-17.00** სს. |

### 20 თებერვალი და 6 მარტი

| | | |
|---|---|---|
| **სამტრედია** | რუსთაველის №21, ------------------------------------ რესტორანი „ჭურტავა“. (სამტრედიის ხიდთან) | **10.00-11.00** სს. |
| **ქუთაისი** | I კოსტავას №25, სასტუმრო „ლია“. **20** თებერვალი --- | **12.00-13.00** სს. |
| | II გამსახურდიას №45, სასტუმრო „ტირიფი ჰოლიდეი“. ----- **6** მარტი | **12.00-13.00** სს. |
| **ზესტაფონი** | აღმაშენებლის №61ა, აფთიაქი ---------------------------- (ყოფილი ცენტრალური აფთიაქის შენობაში) | **14.00-15.00** სს. |
| **ჭიათურა** | აღმაშენებლის №91, სასტუმრო „ნელი ტაბატაძე“. --- | **16.00-17.00** სს. |

### 21 თებერვალი და 7 მარტი

| | | |
|---|---|---|
| **ხაშური** | კოსტავას №6. აფთიაქი 1 ------------------------------- | **10.00-11.00** სს. |

## კურსზე და კურს ზევით თითოეულ შენაძენზე ფასდაკლება

„პროსტოუროლი“ „დიაფრინი“
„ზოროტექსი“ „მანუფლექსი“
„ორლემიქსი“ „არტერონი“
„მთის მკურნალი“

**-20%**

## „ესტროლაიფი“

1 შეფუთვის ფასი 37,40ლ / 34,40 ლ*

4 შეფუთვიდან და ზემოთ შეძენისას

სააქციო ფასი ერთ შეფუთვაზე 29,90ლ / 27,50

მინიმალური კურსი 4 შეფუთვა

* პირველი ფასი მოცემულია ერთი შეფუთვის, მეორე კი შშმპ და პენსიონერებისათვის

**(+995) 571 22–98–98** **WWW.APIFITO.GE**

ქ. თბილისში ფუნქციონირებს ადგილზე მიტანის სერვისი (ფასდაკლება არ მოქმედებს). არ წარმოადგენს მედიკამენტს (მიღებამდე გაიარეთ ექიმის კონსულტაცია). პროდუქცია სერტიფიცირებულია

# განცხადებები

## მადლობა

82 წლის ასაკში პირველად დამჭირდა სასწრაფოს გამოძახება. არ შემიძლია მადლიერება არ გამოვხატო ორი ახალგაზრდა ექიმის: **კოტე ჭკადუასა და ჯულიეტა კასრაძის** მიმართ. ამ ორმა ექიმმა გამაოცა ყურადღებით, სითბოთი, გულისხმიერებით და მაღალი პროფესიონალიზმით...

ულრმესი მადლობა მათ ჩემი გადარჩენისთვის.

*პატივისცემით, ბელა შუბლაძე*

## გთავაზობთ

ჟურნალ „პატრულის" რედაქცია ოფისში სამუშაოდ იწვევს 20-35 წლამდე გოგონებს სარეკლამო მენეჯერის ვაკანსიაზე. მის. თბილისი, დავით ბაქრაძის ქუჩა №6. მე-5 სართ. ტელ: 595 36-05-55 დავითი

## მომსახურება

კვალიფიციური იურიდიული დახმარება და უფასო კონსულტაცია უძრავ-მოძრავ ქონებასთან, მემკვიდრეობასთან, განქორწინებასთან, ალიმენტთან, სესხთან, სამსახურთან, დაუკანონებელ ქონებასთან, მოქალაქეობასთან, ემიგრაციასა და მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხები და დავები. ასევე განცხადების, საჩივრის, სარჩელის, შესაგებელის, ნებისმიერი სირთულის ხელშეკრულებების მომზადება. შესაძლებელია იურისტ-კონსულტანტის გამოძახებაც. ტელ: 568 63-79-29

## ვასწავლი

გიტარას, ქალაქურ სიმღერებს და ფანდურს შეასწავლის პროფესიონალი გიტარისტი და მომღერალი (ფსევდონიმით ესტრადაზე „მისტერ-იქსი", ასწავლიდა სახელმწიფო საესტრადო-საცირკო სასწავლებელში). დამატებით ახალ მიმდინარეობას გიტარა „მინი-ორკესტრი". კარგი მონაცემების შემთხვევაში ასევე სცენისათვის, ხოლო დაბალი მონაცემების მსურველებს რეალური შედეგით. ასაკი შეუზღუდავია. ტელ: 558 35-39-60, 599 72-00-42, 279-07-72

## მკურნალობა

საგვარეულო რეცეპტებით ვმკურნალობთ თმის ცვენას, ქერტლს, ქავილს, გამონაყარს, ცხიმიან და მშრალ სებორეას, მომენტალურად ქრება თმის ცვენა და ამოდის თმა. ტილები, წილები ისპობა. ერთ დღეში ფსორიაზი. აკნე, დემადეკოზი, ფეხის გულების ნახეთქები, ბუასილი, ეგზემა. დამწვრობა, სახსრები. მსურველებს შევასწავლი ფიტოთერაპიას და კოსმეტოლოგიას. ბიოლოგი მჭედლიძე და ბეგაშვილი. მის: თბილისი, მ. „დელისთან", ვაჟა-ფშაველას 47, II სტომატოლოგიური პოლიკლინიკა, ოთახი 28. ტ: 593 918-917

სქესობრივი სისუსტის – პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა და მისგან გამოწვეული შარდვის პრობლემების მოწესრიგება (შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ხშირი შარდვა, წვა, ტკივილი შარდვისას, უნებლიე შარდვა), სოკოვანი და ვენერიული პრობლემებისგან გათავისუფლება, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისგან და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, უძილობა, შიშები, აგრესია), ღვიძლის ფუნქციის აღდგენა ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე, მცენარეული საშუალებებით, უკუჩვენების გარეშე, 100%-იანი გარანტიით. მის. აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი". ტელ: 599 25-44-14, 218-48-99 ექიმი, ქ-ნი მზია

სიმაღლეში ზრდა სწრაფად და ეფექტურად 25 წლამდე, ძვლის მკვებავი მინერალების და ვიტამინების ნაკრებით + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, კურსის გამეორება შესაძლებელია სასურველი შედეგის მიღწევამდე მცენარეული საშუალებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერებით. მის. აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი". ტელ: 599 96-44-94, 218-46-08, ექიმი ქ-ნი სალომე

ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, უძილობა, შიშები, აგრესია), ღვიძლის ფუნქციის აღდგენა, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე, კუჭნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოწესრიგება (გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი) მცენარეული საშუალებებით, უკუჩვენების გარეშე, 100%-იანი გარანტიით. მის. აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი". ტელ: 595 12-91-29, 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი

სახსრების პრობლემების: კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, ხერხემლის პრობლემები, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, და შებოჭილობის მოხსნა, შედეგი მიიღება, როგორც ნაოპერაციებ ასევე საოპერაციო სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სითხის ბალანსის აღდგენა, აგრეთვე გულსისხლძარღვთა სისტემის პრობლემების და სისხლის მიმოქცევის აღდგენა, ქოლესტერინის დონის დარეგულირება, ნერვული სისტემის მოწესრიგება, იმუნიტეტის ამაღლება მცენარეული საშუალებებით, უკუჩვენების გარეშე, 100%-იანი გარანტიით. მის. აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი". ტელ: 555 15-63-33; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო

ღრძილების სხვადასხვა დაავადებების, პირის ღრუს და სასუნთქი გზების ლორწოვანი გარსის ანთებითი პროცესების მკურნალობას მცენარეული ნაყენით „მკურნალი სუმბაძე", მარტივი მოხმარებით და სასურველი საფუძვლიანი შედეგით (გინგივიტი, პიორეა, პარადონტოზი, სტომატიტი, ჩირქოვანი და ქრონიკული გლანდები, ყელის კატარი, ჰაიმორიტი, რინიტი, სურდო, ხველება, ბრონქიტი, ასუფთავებს ბრონქებს ნახველისა და ნიკოტინის დანალექისაგან). ნაყენი მოთავსებულია 0,5ლ შუშის ბოთლში და განკუთვნილია პირის ღრუში ჩასაგუბებლად, სურდოს ან ჰაიმორიტის შემთხვევაში ცხვირში ჩასაწვეთებლად, თან ახლავს გამოყენების წესი. გისურვებთ მომხიბვლელ ღიმილს და ჯანმრთელობას! ექიმი-მკურნალი ცისანა სუმბაძე. ტელ: 577 41-86-16

ნაღვლის ბუშტის, ღვიძლის, თირკმელების, კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, გასუფთავება, გაჯანსაღება მცენარეული ნაყენებით (ქრონიკული ქოლეცისტიტი, მარილები, ქვიშა, ჩირქოვანი დანალექი, კოლიტი, გასტრიტი). მკურნალობა ინდივიდუალურია, თან იქონიეთ ექოსკოპიის დასკვნა, აგრეთვე ვმკურნალობ მალამოებით ბუასილის სხვადასხვა ფორმის დაავადებებს, ჩირქოვან ჭრილობებს, ფურუნკულებს, დამწვრობას, ტროფიკულ წყლულებს, ფსორიაზს, გამონაყარს სახეზე. გისურვებთ ჯანმრთელობას! ექიმი-მკურნალი ცისანა სუმბაძე. ტელ: 577 41-86-16

ნევროზის მკურნალობა და ნერვული სისტემის მოწესრიგება სრული განკურნებით (ნევრასთენია, აკვიატებული მდგომარეობა, ნევროზი, ისტერიული ნევროზი, ჰიპოქონდრიული ნევროზი, ნევრასთენიული დეპრესია, შიშის ნევროზი და სხვა ფორმები), ოსტეოქონდროზი, მისი მკურნალობა და კარგი შედეგებით განკურნება. ალკოჰოლიზმისგან სრულად განკურნება (ანონიმურობა დაცულია, სურვილის შემთხვევაში). ტელ: 557 20-26-55, 597 10-69-89

მამაკაცებისთვის: პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ტკივილი შარდვისას, მამაკაცური ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა-დანიშნულებით, მცენარეული საშუალებებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით, დიაგნოსტიკა და კონსულტაცია უფასოა. მის. აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი". ტელ: 595 12-91-29, 218-46-08 ექიმი მეგი

მამაკაცებისთვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება, მამაკაცური ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, სოკოვან-ვენერიულ დაავადებებზე მკურნალობა, კუჭნაწლავის პრობლემების მოწესრიგება (კოლიტი, გასტრიტი, დისბაქტერიოზი), ასევე ალკოჰოლიზმისგან და ნარკომანიისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზი, უძილობა, შიშები, აგრესია, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე, იმუნიტეტის გაძლიერებით, მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, შედეგის გარანტიით. მის. აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი". ტელ: 595 29-32-99, 218-46-08 ექიმი ქ-ნი ინგა

ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, პოდაგრული ართრიტის, ძვლოვანი წანაზარდების, სისხლ-ძარღვების შევიწროების, მყესების-იოგების და კუნთების ანთებითი პროცესების მკურნალობა, სითხის დაბალანსება სახსრებში, ტკივილის-შებოჭილობის მოხსნა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, ნერვული სისტემის მოწესრიგება მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე, 100%-იანი შედეგით. მის. აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი". ტელ: 599 96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე

მკურნალობა ხერხემლის მალთაშუა დისკის თიაქრის, სახსრების ანთება-ტკივილის, თავის ტკივილის (შაკიკის), თავბრუსხვევის, კიდურების დაბუჟება-ტკივილის, ნერვის ანთების, ინსულტის, ტრავმების შემდეგი პერიოდის დროს. აიცილეთ ხერხემლის და სახსრების ოპერაცია სულ რამდენიმე პროცედურით. ლიზა. ტ: 599 91-11-53

ეკოლოგიურად სუფთა სამკურნალო საშუალებებით გარანტირებული მკურნალობა სახსრების და ხერხემლის დაავადებებზე. დისკოზი, რადიკულიტი, ნერვის ანთება, პროტრუზია, ხერხემლის თიაქარი, ართრიტები, ართროზები, ოსტეოქონდროზი, სქოლიოზი, პადაგრები ოპერაციის გარეშე. ტ: 599 22-11-66

ოსტეოქონდროზის, თავის ტკივილის, თავბრუსხვევის, სმენის დაქვეითების, ნევრიტის, ჰაიმორიტის, ფრონტიტის, ოტიტის, ჰეპატიტის, გასტრიტის, კოლიტის, ქოლეცისტიტის, ცისტიტის, პროსტატის, შარდვის პრობლემების, რადიკულიტის, სახსრების დაავადებების, წითელი ქარის, დიაბეტის, საკვერცხეების ანთების, მასტიტის, მენსტრუალური ციკლისა და ჰორმონალური დარღვევის, სხვადასხვა დაავადებების მკურნალობა უმაღლესი შედეგებით. მის: დავით აღმაშენებლის 114. დამიკავშირდით წინასწარ. სერტიფიცირებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტ: 599 97-85-46

## იყიდება

სმენადაქვეითებულებისთვის სმენის ყურის ციფრული შვეიცარიული, დანიური, ავსტრიული, გერმანული SIMENS oticon FHONHK Danavox აპარატები, შესაძლებელია სმენის გამოკვლევა და ყურის ნიჟარის ფორმის სხმულის დამზადება, ადგილზე მიტანა, მორგება, რეგულირება, კონსულტაცია უფასოა. არის აპარატების აქსესუარები, ასევე წარმოებს აპარატების სარემონტო სერვისი. აპარატები იგზავნება რეგიონებშიც. ტ: 272-95-11, 597 99-15-19

160 კვ.მ. კომერციული ფართი თელავში, პრესტიჟულ ადგილზე, გუბერნიასთან ახლოს, ერეკლეს ქუჩაზე. ტელ: 595-64-44-74

## შევიძენ

ოჯახებიდან! თეთრეულს, ჩიხოლებს, თეთრ და ზოლიან ზეწრებს, ბალიშის პირებს, პირსახოცებს, ჩაის ტილოებს, ყვავილებიან შარფებს, სუფრებს, აბრეშუმის გადასაფარებლებს, ჭურჭელს, „პოდსტაკანიკებს", სერვიზებს, ფიგურებს, სამოვრებს, ყანწებს, დასადგამ მეტალის საათებს, შანდლებს, ბრებს, ძველ ჭაღებს, ჭიქებს, ვაზებს, ფაიფურის, მეტალის დიდი ბროლის ვაზებს, ფერად ჭიქებსა და სხვადასხვა ძველებურ ნივთებს, დანა-ჩანგალს, კოვზებს, ძველ სუნამოებს. ტელ: 595 77-16-74, 252-51-82 ლია

# ხსოვნა



### მედეა ლომთაძე-ბუბაშვილის გახსენება

უშენობის 10 წელი... დედა! – სიტყვა, რომელმაც ასაკი არ იცის. ყოველი შენი გახსენება ჩემთვის ცრემლი, დიდი ტკივილი და სიცარიელეა. ტკივილი, რომელიც არ ნელდება, ცრემლი, რომელიც არ შრება და მასთან ერთად მიწევს ცხოვრება. რაც დრო გადის, უფრო ძნელი და მტკივნეულია შენთან განშორება, ლამაზად გავლილი წლები ცრემლით და სევდით მოსაგონარი რჩება. სულ მენატრები... მენატრება შენი მზრუნველობა, თბილი გამოხედვა, გულში ჩახუტება, შენი სურნელი. მუდამ სიკეთის მთესველო.

გმადლობ სითბოსთვის, ალერსისთვის, მუდამ მლოცველი გულისთვის, კარგი დედობისთვის. ვცდილობ, მეც ასეთივე დედა ვიყო ჩემი შვილებისათვის. სიცოცხლე გრძელდება შვილებში და შვილიშვილებში. ზეციურ სასუფეველში ღმერთმა შენი სული წაიყვანა და იქ დაგიმკვიდრა ადგილი. შენ გამიილე სიკვდილზე ფიქრი...

*შენი „ციცნა"*



### უჩა ჯაფარიძის გასენება

ჩვენო ძვირფასო უჩა, დაგვათენდა 12 თებერვალი, შენი დაბადების დღე, რომელიც უშენოდ უნდა აღვნიშნოთ. არც კი გვჯერა, რომ წარსულში უნდა მოგიხსენიოთ და მოგილოცოთ.

რაც დრო გადის, მით უფრო მენატრები ჩემო თბილო, კეთილო, მთელი ცხოვრების სიყვარულო და ტკივილო ადამიანო.

მანუგეშებენ შენი შვილები ტიტე და ნიკუშა, მამიკო ცაში უფრო კარგად გრძნობს თავს, თორემ ამდენი ხანი როგორ გაძლებდა უჩვენოდო. როდესაც ძალიან მოეძალებათ მამიკოს მონატრება, ჩუმად ეცრემლებათ თვალები, დედიკომ არ შეგვამჩნიოს და უფრო მეტად არ დავასევდიანოთო. ისინი კი მხოლოდ 7 წლისები არიან და მთელი ცხოვრება მოუწევთ საყვარელი მამიკოს მონატრებით და მოგონებებით ცხოვრება.

დაბადების დღეს გილოცავენ შენი მოხუცი მშობლები, რომლებსაც დაუტოვე გაუსაძლისი დარდი, სევდა, მონატრება... მათ ხომ შვილები დაკარგეს, ჯერ გოჩა და მერე შენ. დაკარგეს ისინი, ვინც ყველაზე და ყველაფერზე მნიშვნელოვანი და უძვირფასესია ადამიანის ცხოვრებაში.

ნათელში იყავით ჩვენო საყვარელო ადამიანებო, არასოდეს დაგივიწყებთ.

ნათელში იყოს თქვენი სულები. ამინ!

*მწუხარებით, მეუღლე, შვილები, მშობლები, ნათესავები და მეგობრები*



### გამოსათხოვარი სიტყვა მეგობარს – მამუკა ამირიძეს

ორმოცი დღე გავიდა, რაც ამ ქვეყნიდან წახვედი. ამიერიდან შენი სული მარადისობას შეუერთდა. ახლა ზამთარია. ზამთარში ბაღი იძარცვება, ფოთლები ცვივა, ყვავილი ჭკნება. ვაი, რომ ამ ზამთრის პირს შენი ბაღიც გაიძარცვა, ფოთოლი ჩამოცვივდა, ყვავილი დაჭკნა. ბაღი მაშინ იძარცვება და ყვავილიც მაშინ კვდება, როცა მას სიცოცხლის ძალა ამოეწურება და აღსასრული გარდაუვალი ხდება. შენ კი მაშინ დაგიდგა განსვენების ჟამი, როცა იმ სოფლის გზა ჯერ ისევ ძალიან, ძალიან შორს იყო. ვაი, რომ ვეღარ ივლი თბილისის ქუჩებში, ვეღარ უთავაზებ საყვარელ ოჯახს, ვეღარ მოეფერები შენს პირმშოს, პატარა ნატალიკოს, რომელიც უშენოდ გაიზრდება, მაგრამ შენით იამაყებს, იამაყებს იმით, რომ სახელოვანი კაცის შვილია, იმ კაცისა, რომელმაც ხანმოკლე წუთისოფელი უმწიკვლოდ განვლო. ვეღარ დაამშვენებ დაობლებულ სამეგობროს. მაინც რა უცებ წახვედი, სააღერსო სიტყვაც ვერ გითხარით, ვერ მოგეფერეთ. გული გვტკივა, რომ მიუხედავად თავდაუზოგავი ძალისხმევისა, ვერ გიშველეთ, ვერ გადაგარჩინეთ. გვაპატიე.

რაც სამყარო არსებობს, სიკეთე და ბოროტება ებრძვის ერთმანეთს. ბოროტება მარცხდება, სიკეთე იმარჯვებს, მაგრამ არა ყოველთვის. თვრამეტი დღე ებრძოდი სიკვდილს, რომელიც, სამწუხაროდ, ამ უკანასკნელის გამარჯვებით დამთავრდა. ერთი რამ დანამდვილებით ვიცი, უფალი იმქვეყნად გამორჩეულ ადგილს დაგიმკვიდრებს, იმ ადგილს, რომელიც განვლილი ცხოვრებითა და ადამიანურობით დაიმსახურე. ღმერთმა ნათელი სასუფეველი დაუმკვიდროს შენს სულს.

*მამუკა ჭანტურაია*



### ადამიანობის და კაცურ კაცობის მსოფლიო აკადემიის აკადემიკოსს! – მურმან გვენცაძეს!

ჩემო ძმაო, ჩემო მურმან, 12 თებერვალი შენი დაბადების დღეა! ვერ წარმოვიდგენდი თუ ოდესმე უშენოდ დავრჩებოდით. მას შემდეგ 15 წელი გაფრინდა, თითქოს გუშინ დაგვატყდა ეს უბედურება. შენი გარდაცვალებით უკურნებელი ტკივილი მოგვაყენე ყველას, საყვარელ მეუღლეს – ნანულის, შვილებს – მაიკოს და ნინოს. ჩვენს გულებში შენს სახელზე დანთებული სანთლები უქრობია. ნათელში გამყოფოს ღმერთმა.

*შენი ძმა ვლადიმერ შუშტაკაშვილი*



### ნინიკო ნაცვლიშვილის გახსენება

ჩვენო საყვარელო ნინიკო, უკვე 3 წელი გავიდა უშენოდ. 3 წელია რაც შენი მხიარული, ენერგიული ხმა აღარ გვესმის. რა ცოტა ყოფილა ეს დრო ისეთი ტკივილის შესამსუბუქებლად, რასაც შენი დაკარგვა ჰქვია. დრო ვერ აღმოჩნდა კარგი მკურნალი უშენობის გადასატანად. დღე არ გავა რომ არ გავიხსენოთ ის ბედნიერი წლები, რომლებიც შენთან ერთად გავატარეთ და ეს არც თუ ისე ცოტა იყო. წახვედი და შენი წასვლით ბევრ რამეზე სხვაგვარად ჩაგვაფიქრე, სხვაგვარად გადავაფასეთ ცხოვრება. ვუფრთხილდებით ყოველ დღეს, ყოველ საათს, ყოველ წუთს... შენ იყავი ადამიანი, რომლისგანაც უნდა გესწავლა თუ როგორი დედა, შვილი, მეუღლე და მეგობარი უნდა ყოფილიყავი, როგორ წრფელად და უანგაროდ უნდა გყვარებოდა ადამიანი, როგორი ერთგული უნდა ყოფილიყავი. ეს ყველაფერი შენში იყო და ამიტომაც იყავი ასეთი გამორჩეული. ჯერ კიდევ არიან უნივერსიტეტში ის სტუდენტები, რომლებსაც შენი შემართება და საქმისადმი სიყვარული ახსოვთ, მადლიერებით გიხსენებენ თვალცრემლიანები და ეს ყველაზე გულწრფელი ემოციაა. ახალ თაობას კი ყოველთვის მოვუყვებით შენზე, როგორც ადამიანზე, რომელიც ასე ძალიან დააკლდა სასწავლო პროცესს და ჩვენს კოლექტივს.

ჩვენს გულებში სამუდამოდ დაიმკვიდრე ადგილი, რომელსაც ვერასოდეს ვერავინ ვერ ჩაანაცვლებს! შენ ხომ ნინიკო ხარ ნაცვლიშვილი!!!

*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის თანამშრომლები*

### მონატრებული პაატა და ინგა ფანცულაიები



შენს დღეს გილოცავ ჩემო ცქრიალა გოგოვ. დაბადების დღიდან 10 დღეში ჩუმად, მოულოდნელად წახვედი ჩვენგან და აუტანელი ტკივილი დაგვიტოვე.

წახვედი ჩემო ანგელოზო შენს 11 წლის მონატრებულ ძმასთან. ვერ ეგუებოდი მის გარდაცვალებას და ჩუმად, შენთვის იკლავდი გულში დიდ დარდს.

ჩემო პაატა, ჩემო საამაყო ვაჟკაცო, სხვის დასახმარებლად წასულმა მარადისობაში გადაინაცვლე გასპეტაკებულმა.

მენატრებით, მენანებით, მტკივა თქვენი არ ყოფნა, ძალიან მაკლიხართ ჩემო ძვირფასებო.

*გამწარებული მამიდა ნონა*



### ეკატერინე ფოლადაშვილი-კვეზერელის ტკივილიანი მონატრება

ჩემო საყვარელო დედიკო, დაბადების დღეს გილოცავ. რა ბედნიერი ვიქნებოდი, ცოცხალი რომ იყო და ჩემთან ერთად ხვდებოდე ამ დღეს. როგორც მეუბნებიან, ყოველთვის იხდიდი, მხიარული და ბედნიერი იყავი, ყველას უნაწილებდი შენს სითბოს. მიხარია, რომ ასეთი საყვარელი დედიკო მყავდა...

ჩემო ეკა, უკვე მეცხრედ ვხვდებით 14 თებერვალს შენ გარეშე, 38 წლის სრულდები შვილო, ყველასათვის საყვარელი, ერთგული მეგობარი იყავი, მაგრამ უდროოდ წახვედი ჩვენგან, დაგვიტოვე უსაშველო ტკივილი, მოუშუშებელი ჭრილობა და სევდა. დედისთვის არ არსებობს სიმშვიდე, რომელმაც ვერ დაიფარა თავისი შვილი საშინელი ტრაგედიისგან.

შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია. როგორ მენატრები, როგორ აკლიხარ ყველას ჩემო სიცოცხლით სავსე ეკა.

დაე, ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს სასუფევლის გზა.

*შვილი – ლალი კვეზერელი, დედა – ნაია-ნუნუ ანთაძე*



### თამაზ გასვიანის გახსენება

თამაზ, 6 წელი გავიდა, რაც ჩვენს გვერდით აღარ ხარ, მოვდივართ შენს საფლავთან, ვანთებთ სანთლებს და ვეფერებით შენს სურათს. გასული დრო ჩვენთვის მკურნალი არ არის, ისევ ჩვენი მოუშუშებელი და მოუნელებელი ტკივილი ხარ. შენთან ერთად ძლიერები ვიყავით, სამუდამოდ გაქრა სიხარული. უშენობამ სევდად გვაქცია და ყველაფერი გაუფერულდა, ერთბაშად ყველაფერმა აზრი დაკარგა. უმძიმესია ამ ტრაგედიასთან, ტკივილთან და მონატრებასთან შეგუება. გვენატრები და დიდ სიცარიელეს ვგრძნობთ უშენოდ. რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს, შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია, ყველას ახსოვხარ სოფელშიც და ქალაქშიც, შენი ვაჟკაცური და ულალატო თვისებების გამო.

თამაზ, რვა თვეა შენთან წამოვიდა შენით გამწარებული დედა, რომელიც 5 წელი იტანჯებოდა უშენოდ, სულ ამბობდა, თამაზისთან წასვლა მინდაო, იმედია ერთად იქნებით.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი სულები ჩვენო ვაჟკაცო ძმაო.

*ვახტანგი და ციცო გასვიანები*

### სპარტაკ კვირაიას გახსენება



ადამიანი კვდება მაშინ, როდესაც მას აღარ იხსენებენ, სწორადაა ნათქვამი. ხსოვნა სიცოცხლის გაგრძელებაა.

სპარტაკ, გილოცავთ დაბადების დღეს, 14 თებერვალს – სიყვარულის დღეს ცათა სასუფეველში მეორეჯერ, რომელიც ძალიან გიყვარდა და ყოველთვის აღნიშნავდი შენს ახლობლებთან და მეგობრებთან ერთად.

ვაჟკაცური კაცი იყავი სულით ხორცამდე. ნამდვილი ქართველი კაცის ღირსებებით შემკული. ადამიანობის, მეუღლეობის, ოჯახის, შვილების, შვილიშვილების, ნათესავების, მეგობრების მოყვარული. ყველას სიკეთის ეტალონი. ძალიან ენატრები ოჯახს. არ არსებობს მონატრებაზე დიდი ტკივილი.

ყოველ დილით გინთებთ სანთელს და უფალს შევთხოვთ მარადიულ ხსოვნას შენი ლამაზი და კეთილი სულისთვის.

14 თებერვალს მოვალთ შენს საფლავზე მეუღლე, შვილები, შვილიშვილები, ნათესავები, მეგობრები ყვავილებითა და სანთლებით და მოგილოცავთ შენს დაბადების დღეს – 14 თებერვალს – სიყვარულის დღეს, რომელიც შენთვის ყველაზე ძვირფასი და საყვარელი დღე იყო.

გფარავდეს ნათელი უფლისა და შუქი კელაპტრისა.

ჩვენ კი მეუღლე, შვილები და შვილიშვილები მუდამ შენთვის ვილოცებთ.

*შენი ოჯახი*

ქალაქ რუსთავის მეათე საშუალო სკოლის 1965 წლის კურსდამთავრებულები თანაგრძნობას უცხადებენ დათო (სერგო) დეკანოსიძეს მეუღლის,

**მზია მღებრიშვილის**

გარდაცვალების გამო.

# დაუცველი დამცველები: სოცმუშაკთა დიდი პროტესტი

***4** წლის ნინო ზალინაშვილის ტრაგედიამ მთელი ქვეყანა შეძრა. სიკვდილის წინა დღეებში გადაღებული ნაცემი გოგონას ფოტოები უმძიმესი სანახავია. ბავშვი ოჯახური ძალადობის მსხვერპლი იყო და დედას, ლელა ქსოვრელს, შვილთან მიახლოება აეკრძალა. სასამართლომ შემაკავებელი ორდერი გასცა და ბავშვი ბებიას ჩააბარეს, მაგრამ გოგონა მაინც დედასთან ცხოვრობდა. მართალია, მისთვის შვილის მკვლელობის ბრალდება ოფიციალურად არ წაუყენებიათ, მაგრამ დააპატიმრეს და დამცავი ორდერის დარღვევაში ადანაშაულებენ. თავად დედა შვილის სიკვდილში თავს დამნაშავედ არ ცნობს, მეზობლები კი აცხადებენ, რომ გოგონას სასტიკად სცემდა და ამის გამო არაერთხელ დარეკეს პოლიციაშიც. საქმეში ჩართული ყოფილა სოციალური მომსახურების სააგენტოც. სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება ორივე უწყებას ევალებოდა. ჯანდაცვის სამინისტრომ ამ ტრაგედიის შემდეგ ორი სოციალური მუშაკი და ორი უფროსი სოციალური მუშაკი სამსახურიდან დაითხოვა, ხოლო სოციალური სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის უფროსი მარი წერეთელი თავად გადადგა. ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის განმარტებით, ბავშვის საქმის მართვაში შეცდომები იქნა დაშვებული.*




## „გემუდარებით, გაიგონეთ ჩვენი ხმა!..“

მას შემდეგ, რაც სოცმუშაკები დაითხოვეს, გლდანი-ნაძალადევის სერვისცენტრიდან ყველა სოციალური მუშაკი წავიდა. მათი თქმით, ჯოხი დაბალ რგოლზე გადატყდა და საჯაროდ მიმართეს მინისტრ სერგეენკოს:

*„ბატონო მინისტრო, მოგმართავთ საჯაროდ, რადგან ვშიშობთ, ჩვენი თქვენთან ოფიციალურად გამოგზავნილი წერილი „შემთხვევით“ არ დაიკარგოს, ან შვებულებაში გასული თანამშრომლის უჯრაში არ აღმოჩნდეს. იმედი აღარ გვაქვს, რომ თქვენამდე მოვა სოციალური მუშაკების ხმა, არაერთი წერილი დავწერეთ, თუმცა ამაოდ... პირველ რიგში, როგორც სისტემაში დასაქმებული სოციალური მუშაკები, ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ, 4 წლის ნინოს გარდაცვალების გამო. თითოეული ვგრძნობთ მორალურ პასუხისმგებლობას. როგორც ჩანს, საკმარისი არ იყო არაერთი მოხსენებითი ბარათი, წერილი, რითაც ვითხოვდით თქვენს დახმარებას, რადგან ყოველგვარ ადამიანურ შესაძლებლობას სცდება იმ სამუშაოს ჯეროვნად შესრულება, რაც გვაკისრია. არაერთხელ აღგვინიშნავს, სანამ რომელიმე სოციალური მუშაკი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ფიზიკურად არ განადგურდება, მანამდე სისტემა ვერ დაინახავს რეალურ უფსკრულსო, თუმცა მსხვერპლი, სამწუხაროდ, ყველაზე უდანაშაულო არსება აღმოჩნდა... დიდი ხანია სოციალური მუშაკების რაოდენობა ვერ სწვდება მომსახურების საჭიროების მქონე ბენეფიციართა დროულ და სრულ იდენტიფიცირებასაც კი. ჩვენ ვართ ადამიანები, რომლებიც ვიმყოფებით მუდმივად „საოპერაციო ბლოკში“, სადაც უამრავი ბავშვია ნარკოზის ქვეშ. არ გვაძლევთ სათანადო „აღჭურვილობას“, რომ გავაკეთოთ ჩვენი საქმე. არ გვაქვს სოციალურ მუშაკებს 10 ხელი, რასაც ხშირად ვნატრობთ... არც იფიქროთ, რომ გავურბივართ ჩვენ წილ პასუხისმგებლობას შექმნილი ვითარების გამო, მაგრამ თქვენ თუ გრძნობთ ამ პასუხისმგებლობას? თუ გრძნობთ, რას აკეთებთ? ეძებთ რომელი ცენტრის სოციალური მუშაკი მეტად დამნაშავეა, რომ სამაგალითოდ დასაჯოთ, ხომ? კი ბატონო, ჩვენ ყველანი დავტოვებთ პოზიციებს და სიმართლეს დავიცავთ თუნდაც სასამართლოში, მაგრამ ეს არის გამოსავალი?! ეს არ უშველის იმ ასობით ბავშვს, რომელთა შესახებაც ინფორმაცია მოსულია სააგენტომდე, თუმცა ვერ ვახერხებთ შემთხვევის დროულად გაცნობას, არათუ შემდგომ თითზე დასათვლელ მომსახურებებში ადეკვატურ ვადებში მათ ჩართვას. სამწუხაროდ, ბევრია ძალადობის მსხვერპლი ბავშვი, სადაც არ უნდა დავიგვიანოთ რეაგირება! არ უნდა დაგვაგვიანებინოთ!!! გემუდარებით... გაიგონეთ ჩვენი ხმა, ბატონო დავით!“*

## „სოცმუშაკები ბოროტ ხალხად აღვიქმებით“

ნინო სიხუაშვილი ერთ-ერთი იმათგანია, ვინც მიმართვა დაწერა. როცა მასთან ინტერვიუ ჩავწერე, ჯერ კიდევ მუშაობდა:

— იმდენად დიდი იყო ჩვენი ცენტრიდან სოცმუშაკების გადინება, დარჩენილებს ძალიან გვიჭირდა. დახმარებას ვითხოვდით, რადგან ვერ ვასწრებდით დროულად მისვლას მოქალაქეებთან. თითოეულ სოციალურ მუშაკს 100-ზე მეტი ბენეფიციარი ჰყავს. ერთია მისვლა, მაგრამ რას სთავაზობ ბენეფიციარს, რომ გააძლიერო? როგორ გააძლიერებ, როცა თითზე ჩამოსათვლელი პროგრამაა და ისიც დროში გაწელილი. მოქალაქე პროგრამაში ორი თვის ან ორი წლის შემდეგ ერთვება. არადა, დედა გეუბნება, შვილი შიმშილით მიკვდებაო. მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ვაუჩერი, მაგრამ 2 თვე სჭირდება, რომ მიიღოს 80-ლარიანი კვების ვაუჩერი. მარტო ვიზიტი კი არა, მათ თანადგომა სჭირდებათ. მთელ თბილისში ასეთი ოჯახებისთვის მხოლოდ ერთი ფსიქოლოგია. წარმოიდგინეთ, რამდენ ოჯახში უნდა მივიდეს? საზოგადოებაშიც მიდის ჩვენი პროფესიის დემონიზაცია.

როცა უკიდურესი მდგომარეობაა, ცდილობ ბავშვი მიმღებ ოჯახში წაიყვანო, ამიტომ ჩვენ აღვიქმებით როგორც ბავშვის გამტაცებლები, ბოროტი ხალხი. კარგი, წაიყვანე მინდობით ოჯახში, მაგრამ მიმღები არის იმ სტანდარტის, რომ ჩაანაცვლოს ბიოლოგიური მშობელი? შეიძლება ბავშვს მასთან ცხელი სადილი ჰქონდეს, მაგრამ სითბო და სიყვარული აკლდეს. მიმღების ხელფასი ჯანმრთელ ბავშვზე 450 ლარია, 600 ლარი კი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირზე. მერწმუნეთ, ეს თანხა ვერ ფარავს ბავშვის საჭიროებებს. არც სათანადო სამედიცინო დაზღვევა აქვთ. პერიოდულად ბიოლოგიურ მშობელსაც ვეკონტაქტებით, მაგრამ ვერაფერს ვაკეთებთ მის გასაძლიერებლად.

**„პოლიციელის ცემისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი დგება და ჩვენ რომ თავს გვესხმიან, ამისთვის არავინ ისჯება...“**

ან რას ვაკეთებთ მოძალადესთან, რომ ის არ იყოს მოძალადე? აქამდე იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მცირე დახმარებას მაინც გვიწევდნენ, მაგრამ ახლა მხოლოდ სახელმწიფოს იმედად ვართ, რაც ძალიან არაეფექტურია.

იმაზე არც უნდა იყოს ლაპარაკი, რომ სოცმუშაკს ღირსეული სამუშაო პირობები სჭირდება. მოქალაქე რომ მოდის ოფისში, არ უნდა თქვას, შენ თვითონ დასახმარებელი ყოფილხარო. გლდანი-ნაძალადევის რაიონში ბევრია ისეთ საყოფაცხოვრებო პირობებში, როგორშიც ზალინაშვილები ცხოვრობდნენ. გინდა დაეხმარო, მაგრამ ვერაფერს აკეთებ.

ჩვენ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება გვევალება, იგივე ვალდებულება აქვს პოლიციასაც, განცალკევების პროცესში თანაბრად არიან ჩართული, მაგრამ რა მოხდა? ჯოხი სოცმუშაკებზე გადატყდა და არავის გახსენებია პოლიცია... 2020 წელს ამოქმედდება კანონი „სოციალური მუშაკის შესახებ“, გაჭირვებულს ის ვუთხრათ, 2021 წელს დაელოდეო? ხომ შეიძლება შიდა ბიუროკრატიას მიხედონ.

თუ სამუშაო საათების შემდეგ გიწევს შემთხვევაზე გასვლა და გამოსაყვანია ბავშვი, მანქანის გამოყოფაც ვერ ხერხდება. შაბათ-კვირას ხომ გამორიცხულია, იმიტომ, რომ ტრანსპორტირება ცალკე დეპარტამენტს ეკუთვნის, ის კი ისვენებს. ასეთი რამეების მოგვარება მაინც ხომ ელემენტარულია.

ცალკე პრობლემაა ის, რომ ტექნიკური საქმეების კეთებაში დიდი რესურსი იხარჯება. ვაუჩერების ბეჭდვაც კი ჩვენ გვევალება.

ბოლო ერთი წელი განგაშის ზარებს ვრეკავდით, გავიძახოდით, ვერ ვმუშაობთ, ვერ ვასწრებთ მისვლას ოჯახებში, დაგვეხმარეთ, რაღაც ცუდი მოხდება-მეთქი, მაგრამ არავინ გაიგონა ჩვენი ხმა...

სოფიკო ხვთისიაშვილი ყოფილი სოცმუშაკია, ის შარშან წამოვიდა გლდანი-ნაძალადევის სერვისცენტრიდან, რადგან თავს ბენეფიციარი დაესხა.

— 2018 წლის ზაფხულში 4 სოცმუშაკი წამოვედით. სააგენტოში ბევრი პრობლემაა და იქ მუშაობა აღარ შეიძლებოდა. იმდენად მცირე დროა თითოეულ საქმეზე, სათანადოდ ვერ რეაგირებ. შეიძლება იმ დროს მიხვიდე შემთხვევაზე, როცა ყველაფერი ჩავლილია. შარშან ჩვენს კოლეგას მივეხმარეთ რამდენიმე სოცმუშაკი, რადგან 3 ბავშვი იყო ბინიდან გამოსაყვანი. დედა ძალადობდა შვილებზე. ბავშვები გამოვიყვანეთ და მინდობით ოჯახში დავაბინავეთ, ჩვენ კი სამსახურში დავბრუნდით. ამ დროს დედა მოგვივარდა, გვცემა, არაფერს ვამბობ ლანძღვა-გინებაზე, რომელიც ბევრჯერ აგვიტანია. ჩვენი უსაფრთხოება არაფრით არ იყო დაცული თუნდაც მაშინ, როცა ფსიქიკური პრობლემის მქონე ოჯახში შევდიოდით, ან როცა თავს გვესხმოდნენ. პოლიციელის ცემისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი დგება და შენ რომ თავს გესხმიან, ამისთვის არავინ ისჯება...

## „ბავშვის დაღუპვა რეაგირების გარეშე დატოვების შედეგი იყო“

თამარ ბარკალაია, *ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე:*

**— ქალბატონო თამარ, გლდანი-ნაძალადევსა და დიდუბეში ყველა სოციალურმა მუშაკმა დატოვა სამსახური.**

— დიახ, ახლა კრიზისულ ინტერვენციას ვაკეთებთ, თბილისის სხვა რაიონებიდან დროებით გადმოვიყვანეთ სოციალური მუშაკები. ახალი კადრების დანიშვნის პროცედურებიც დაწყებულია.

**— ისინი სისტემურ პრობლემებზე საუბრობენ. ამბობენ, რომ კადრების დამატება არ შეცვლის ვითარებას.**

— ეს კონკრეტული ტრაგიკული ფაქტი არ შეიძლება გავაიგივოთ სისტემურ პრობლემასთან. თუმცა სისტემური პრობლემები ნამდვილად არსებობს: კადრების სიმცირე, ტექნიკური უზრუნველყოფა, კვალიფიკაცია, მომსახურების ხარისხი... ოჯახის გაძლიერებას ნაკლებად ვახერხებთ, ვერ ვახდენთ პრევენციას, დიდი რესურსი სჭირდება სოციალური მუშაკის ოჯახის სერვისებში ჩართვას. თუმცა დღეს მწირი, მაგრამ არსებული რესურსები, სოცმუშაკების რაოდენობა და ა.შ. საკმარისია იმისთვის, რომ შესაბამისი რეაგირება გაეკეთებინა სოციალურ მუშაკს და ძალადობის მსხვერპლი ბავშვი გადარჩენილიყო. ბავშვის დაღუპვა უგულებელყოფის, სათანადო ცოდნის უქონლობის ან რეაგირების გარეშე დატოვების შედეგი იყო.

**— სოციალური მუშაკები სისტემაში არსებულ ბიუროკრატიაზეც ჩივიან. ამბობენ, რომ ვაუჩერს ორი თვე ელოდებიან, საღამოს საათებში მანქანის გამოყოფა ვერ ხერხდება, რადგან სხვა სამსახურის კომპეტენციაა... ამის მოგვარება მაინც ხომ შეიძლება?**

— ბიუროკრატიამ არ უნდა შეაფერხოს რეაბილიტაციის პროცესები. დღეს ბევრი მხარდაჭერითი სერვისია, ბევრი იქნება მომავალშიც. სოციალური მუშაკი ისე უნდა გავაძლიეროთ, რომ თვითონ იყოს სერვისი, მას უნდა ჰქონდეს შესაბამისი კვალიფიკაცია, რესურსი და ეს ეტაპობრივად მოხდება.

**— ვაუჩერის ბეჭდვაში რომ არ დაიხარჯოს დრო, ამის გაკეთება სხვას ხომ შეუძლია?**

— ადმინისტრაციული ნაწილი უნდა გაიცხრილოს. რეორგანიზაცია მიმდინარეობს.

**— ამბობენ, იმდენი ბავშვი გამოიყვანეს ამ დღეებში, მიმღები ოჯახების დეფიციტიაო.**

— პირიქით, ბოლო ორი წლის განმავლობაში მიმღები ოჯახების რაოდენობა გაიზარდა. მათი გადამზადებაც ხდება. ახლა გრანტსაც მოგვცემენ და მიმღებ ოჯახებსაც გავაძლიერებთ. რეფორმა მიმდინარეობს და ეტაპობრივად აღმოიფხვრება ხარვეზებიც.

*თეა ხურცილავა*

„პალიტრის" თარო

# შენს ქვეყანას კარგად იცნობ?

## გაეცანი „საქართველოს გეოგრაფიულ ატლასს"

*პირველად საქართველოში შეიქმნა და გამომცემლობა „პალიტრა L"-მა გამოსცა თანამედროვე ტიპის „საქართველოს გეოგრაფიული ატლასი". ამ ატლასით, რომელიც არ არის გათვლილი რომელიმე ასაკობრივ ჯგუფზე, მკითხველი გაეცნობა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ, ბუნებრივ და სოციალურ-კულტურულ გარემოს. ატლასი ორიგინალურია იმით, რომ რუკებთან ერთად მასში წარმოდგენილია შესაბამისი ტექსტი და გეოგრაფების, აგრეთვე, ქართველ და უცხოელ მოყვარულ ფოტოგრაფთა გადაღებული ფოტოსურათები.*

*ატლასის კონცეფციაზე კარტოგრაფი, გეოგრაფიის აკადემიური დოქტორი ᲒᲣᲚᲘᲙᲝ ᲚᲘᲞᲐᲠᲢᲔᲚᲘᲐᲜᲘ გვესაუბრება.*

**— ქალბატონო გულიკო, როდის დაიბადა ამ ატლასის შექმნის იდეა და რამდენად რთული და შრომატევადი აღმოჩნდა მასზე მუშაობა?**

— ატლასზე მუშაობის იდეა დაიბადა 2015 წელს. ამ დროისთვის საქართველოში უკვე გამოცემული იყო ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში შედგენილი ორი ეროვნული ატლასი — 1964 და 2012 წლებში. 2018 წელს ეროვნული ატლასი გამოსცეს ინგლისურ ენაზეც. ეროვნული ატლასების მთავარი ღირსებაა მეცნიერული კვლევების მრავალფეროვანი სპექტრი.

ეროვნული ატლასების გამოცემის შემდეგ დღის წესრიგში დადგა საცნობარო გეოგრაფიული ატლასის გამოცემის საჭიროება. საზოგადოების დიდი ნაწილისთვის საინტერესოა ქვეყნისთვის აქტუალური და პოპულარული თემები.

ᲐᲢᲚᲐᲡᲘᲡ ᲙᲝᲜᲪᲔᲤᲪᲘᲐ ᲘᲛᲐᲨᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲗᲔᲛᲔᲑᲘ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲐᲛᲓᲔ ᲛᲘᲢᲐᲜᲘᲚᲘᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲠᲣᲙᲘᲗ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲡᲐᲗᲐᲜᲐᲓᲝ ᲢᲔᲥᲡᲢᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲗᲔᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲛᲘᲡᲐᲓᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲝᲢᲝᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘᲗ, ᲮᲝᲚᲝ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐ — ᲓᲘᲐᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲔᲑᲘᲗ.

სწორედ ამ კომპლექსურობაში მდგომარეობს ატლასის კონცეფცია.

ატლასზე წარმატებული მუშაობა უზრუნველყო სამუშაო ჯგუფმა, რომელიც წარმოდგენილია ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის კარტოგრაფია-გეოინფორმატიკის ლაბორატორიის კარტოგრაფებით, ესენია: თამარ ჭიჭინაძე, ნატო სოლოღაშვილი, რომან კუმლაძე, ანა ირემაშვილი, თამარ ცხაკაია, ნინი გესლაიძე, მიხეილ ხაბაზიშვილი. აგრეთვე უცხოეთში მცხოვრები კარტოგრაფები: ირმა ქველაძე და მანანა ქურთუბაძე. ყველა ჩემი ყოფილი სტუდენტია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. ჩვენ მუდმივი მხარდაჭერა გვქონდა ინსტიტუტის დირექტორის, გეოგრაფიის აკადემიური დოქტორის ნანა ბოლაშვილისა და ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან, გვყავდა კომპეტენტური კონსულტანტები

**— რას ეტყოდით მათ, ვისაც ჯერ არ ჰქონია ამ ატლასის გაცნობის ფუფუნება? რითია ის მნიშვნელოვანი და გამორჩეული?**

— საქართველოს გეოგრაფიული ატლასის ეს გამოცემა მნიშვნელოვანია იმით, რომ მკითხველი გაეცნობა მრავალ ისეთ თემას, რომელიც ადრე გამოცემულ ატლასებში არ ასახულა და გრაფიკული სახით არც ლიტერატურაშია წარმოდგენილი. მადლობა გამომცემლობა „პალიტრა L"-ს, რომელმაც მხარი დაუჭირა ჩვენს იდეას და უზრუნველყო ჩვენ მიერ შედგენილი ატლასის გამოცემა და მკითხველამდე მიტანა.

**— ატლასი მდიდარია სხვადასხვა ტიპის სტატისტიკებითაც. რას იტყოდით გამოცემის ამ ნაწილზე?**

— ატლასში მრავლადაა გამოყენებული სტატისტიკური მონაცემები. ვისარგებლეთ როგორც საქსტატის, ისე ცალკეული ორგანიზაციებიდან მიღებული რაოდენობრივი მაჩვენებლებით. ამ ორგანიზაციებთან ურთიერთობის გარეშე რუკების შედგენა შეუძლებელი იქნებოდა. ატლასის დიაგრამები და გრაფიკები განსაკუთრებული დიზაინით გამოირჩევა, რაც ჩვენი ატლასის დიზაინერის მანანა ქურთუბაძის დამსახურებაა.

**— ატლასში დეტალურად არის საუბარი საქართველოს ტერიტორიულ მოწყობაზე, მოსახლეობაზე, ბუნებრივ რესურსებზე... კიდევ რომელ მნიშვნელოვან საკითხებზე გაკეთდა აქცენტი?**

— ატლასის ყველა თემა ღრმად არის გააზრებული.

ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲐ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲐ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲔᲑᲘ, ᲒᲐᲣᲙᲐᲪᲠᲘᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘ, ᲔᲗᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲣᲛᲪᲘᲠᲔᲡᲝᲑᲔᲑᲘ, ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ, ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲨᲘᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲐ, ᲘᲣᲜᲔᲡᲙᲝᲡ ᲫᲔᲒᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ. ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲛ ᲠᲣᲙᲘᲓᲐᲜ ᲕᲘᲚᲔᲑᲗ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲖᲔ: ᲠᲐ? ᲡᲐᲓ? ᲠᲝᲓᲘᲡ? ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ?

ატლასში განსხვავებულად არის წარმოდგენილი ვახუშტი ბაგრატიონისა და ივანე ჯავახიშვილის კარტოგრაფიული მემკვიდრეობა. გეოგრაფიული მეცნიერების წინაშე განსაკუთრებული დამსახურებით არიან წარმოჩენილი ქართველი გეოგრაფები. ატლასი მთავრდება XXI საუკუნის ორი მეცნიერი-მოგზაურის, არნოლდ გეგეჭკორისა და ნიკო ბერუჩაშვილის მსოფლიოში მოგზაურობის ამსახველი რუკებითა და ტექსტით.

ატლასში აგრეთვე სხვა მრავალი საინტერესო რუკაა, რომელთა გაცნობა მკითხველისთვის მიგვინდვია.

**— ვისთვის, რა კატეგორიის მკითხველისთვის შეიქმნა გეოგრაფიული ატლასი?**

— ჩვენ არა ვართ განებივრებული ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული ატლასებით. ამიტომ მიღწევად უნდა ჩავთვალოთ მისი შექმნა და გავაგრძელოთ მუშაობა ამ მიმართულებით.

ეს ატლასი ერთი მხრივ საინტერესო და მნიშვნელოვანი შრომაა პროფესიონალებისთვის, სტუდენტებისა და მოსწავლეებისთვის და მეორე მხრივ, ძალიან ღირებული შენაძენია მთელი ქართველი საზოგადოებისთვის.

*ეკა სალაღაია*

**„ეს ატლასი ერთი მხრივ საინტერესო და მნიშვნელოვანი შრომაა პროფესიონალებისთვის, სტუდენტებისა და მოსწავლეებისთვის და მეორე მხრივ, ძალიან ღირებული შენაძენია მთელი ქართველი საზოგადოებისთვის**

ᲒᲐᲘᲒᲔ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲨᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲐᲢᲚᲐᲡᲘ




ᲧᲓᲐ: ᲛᲐᲒᲐᲠᲘ+ᲡᲣᲞᲔᲠᲘ
ᲖᲝᲛᲐ: 228 x 305 ᲛᲛ.
ᲒᲕᲔᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ: 184

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐᲖᲔ ᲘᲛᲣᲨᲐᲕᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲗᲐ ᲓᲘᲓᲛᲐ ᲯᲒᲣᲤᲛᲐ

39.95 ₾

"საქართველოს გეოგრაფიული ატლასი" ეს რუკების, ტექსტისა და ფოტოების ჰარმონიული მთლიანობაა. გაიგე, როგორია საქართველო მსოფლიოსთვის. შეიტყვე მეტი მისი როლის შესახებ, სოციო-კულტურულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებში.

ᲘᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲑᲘᲑᲚᲣᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲔᲑᲨᲘ

Palitra.L.Publishing www.palitra.ge +995(32)248 68 44

# „მხოლოდ სიტყვა „დედა“ ახსოვდა და გამუდმებით მეძახდა“

***არსებობს ტკივილი, რომლის სიტყვებით გადმოცემა უძნელესია. სამი შვილის დედის, ირინა ქობულაძის ტკივილიც ეს არის — ენით აღუწერელი: როდესაც სამი წლის წინ მითხრა, ჩემს 12 წლის გიორგის პანენცეფალიტი დაემართა, ეს დაავადება ტვინს თიშავს, დამეხმარეთ, ასე არ მოხდესო, ამის შემდეგ კარგა ხანს იჯდა გაფითრებული და უმეტყველო. ბოლოს ისევ მე ვკითხე, ეს რა დაავადებაა-მეთქი და მიპასუხა, წითელაზე აუცრელ ბავშვებს ემართებათ, გიორგის აცრა ცოტა დავუგვიანე, შვიდი თვისა ავცერი, წითელა კი ექვსი თვისას შეხვდა და ბაქტერია დაუტოვა, რომელიც 16 წლამდე ასაკში იღვიძებს და ტვინს ჭამსო! თავიდან მეც ვერ მივხვდი, ეს რა იყო, გიორგიმ თავად მითხრა, დედა, მე ვიცი პანენცეფალიტი რაც არის, სიკვდილიაო!***

**„ეს დაავადება წითელაზე აუცრელ ბავშვებს ემართებათ, გიორგის აცრა ცოტა დავუგვიანე, შვიდი თვისა ავცერი, წითელა კი ექვსი თვისას შეხვდა და ბაქტერია დაუტოვა, რომელიც 16 წლამდე ასაკში იღვიძებს და ტვინს ჭამს!“**

დამეთანხმებით, ამის მოსმენა ადვილი არ იყო, მით უფრო, დაწერა. მაგრამ უნდა დამეწერა — ადამიანებს ამან სიკეთის გაკეთების საშუალება მისცა, განადგურებულ დედას კი გულის მოოხების, რომ შვილის გადასარჩენად ყველაფერი გაეკეთებინა, რაც დედამ უნდა გააკეთოს. თუმცა კი ამაოდ. გიორგი სამი წელიწადია კომაშია, დედამისი კი ისევ იმაზე ფიქრობს, რომ მისი გიორგის სუნთქვა არ შეწყდეს.

— ის დღეები რომ მახსენდება, როცა გიორგი ნელ-ნელა ეცემოდა, ამ ქვეყნიდან გაქრობა მინდა, მაგრამ ასე როდი ყოფილა. როცა ამბობენ, უფალი ადამიანს იმაზე მეტ განსაცდელს არ მისცემს, რისი გაძლებაც არ შეუძლიაო, მართალი ყოფილა, ახლა ყველაფერს გაქვავებული ვაკეთებ. ყველაზე ძნელი წუთები ის იყო, როცა ვხედავდი, როგორ უძლურდებოდა ჩემი ჭკვიანი და ლამაზი ბიჭი, როგორ უსუსტდებოდა მუხლები, როგორ მიათრევდა ფეხებს, როგორ დაეჭიმა და გაუშეშდა ხელები, ფეხები და ყველა ნაკვთი, ახლა კი მხოლოდ უნდა ვაცოცხლო და კიდეც ვაცოცხლებ.

— **გიორგი ხვდებოდა მის თავს რა იყო?**

— უკვე ვეღარ. ნელ-ნელა ყველა და ყველაფერი დაავიწყდა, ოჯახის წევრების და ჩემი სახელიც კი. მხოლოდ სიტყვა „დედა“ ახსოვდა და გამუდმებით მეძახდა. სულ ჩემ გვერდით ყოფნა უნდოდა, რომ გულში ჩამეკრა იმ პატარა ჩვილი გიორგივით, რომელიც ოდესღაც მყავდა. ერთ საშინელ დღეს ყბებიც შეეკრა, რომ ვეღარ გავუხსენით, იაშვილის საავადმყოფოში წავიყვანეთ და ამით დამთავრდა ყველაფერი. საავადმყოფოში მხოლოდ ის შეძლეს, რომ გიორგისთვის ზონდით საჭმლის მიცემა მასწავლეს.



**„ჩემი გიორგი ულამაზესი იყო, მაგრამ მე ისეთი კი არ მესიზმრება, როგორიც იყო, არამედ ისეთი, როგორიც ახლა არის, ოღონდ ფეხზე წამომდგარი, მეუბნება, დედა, ნუ გეშინია, კარგად ვარო... თან ლოყებზე მჩქმეტს და მკოცნის, როგორც იცოდა ხოლმე“**

— **მას შემდეგ მისთვის სიცოცხლის ნიშანწყალი არ შეგიმჩნევიათ?**

— პირველ თვეებში ვამჩნევდი, როცა ჩავიხუტებდი და ვკოცნიდი, მტრედივით აღუღუნდებოდა, ახლა ესეც გაქრა.

— **რა დარჩა?**

— ჩემი შვილი სუნთქავს. როდესაც ღამღამობით მის გვერდით ვწევარ, მისი სუნთქვა მესმის. მეშინია, რომ დავიძინო, ვეღარ გავიგებ, ამიტომ სამი წელიწადია, არ მძინავს. ხანდახან გიორგის კბილების ხმაც მესმის, პირს ვერ ვუღებთ, ყბები იმდენად დაჭიმული აქვს, მაგრამ კბილებს ერთმანეთზე მაინც ძლიერად აჭერს. იმდენად ძლიერად, რომ მთქნარების რეფლექსი აქვს შენარჩუნებული და მაშინ ვხედავ, რომ კბილები სულ ჩალეწილი აქვს. იცით, გიორგი იზრდება, ზრდისთვის მნიშვნელობა არა აქვს კომას. რომ იზრდებოდა, პირველად მაშინ მივხვდი, როცა ძველი შარვალი აღარ ეტეოდა.

**„პირველ თვეებში როცა ჩავიხუტებდი და ვკოცნიდი, მტრედივით აღუღუნდებოდა, ახლა ესეც გაქრა... როდესაც ღამღამობით მის გვერდით ვწევარ, მისი სუნთქვა მესმის. მეშინია, რომ დავიძინო, ვეღარ გავიგებ, ამიტომ სამი წელიწადია, არ მძინავს...“**



— **გიორგიზე უმცროსი ტყუპიც გყავთ და მათ როგორ სწვდება დედის მზრუნველობა?**

— ისინი გიორგის ჩემზე მეტად ეფერებიან. როდესაც მაღაზიაში გავდივარ, შინ შემოსვლისას სულ მესმის, პატარა ბავშვივით რომ უჩლექენ ენას.

— **როგორ აუდიხართ ამდენს, გიორგის ხომ რამდენიმე წამალი და საკვებიც სჭირდება?**

— არაფერს ვაკლებ. ჩემი მეუღლე დილისით სახელმწიფო სამსახურში მუშაობს, ღამით კი ტაქსაობს და როგორღაც ვართ, თანაც სრულიად უცნობ ადამიანებს ვახსოვარ და მეხმარებიან. გიორგის სპეციალური საწოლიც უცნობმა გოგონამ მიყიდა. რა ვთქვა... ვერასოდეს ვერავინ გადამარწმუნებს, რომ სიკეთე სიკეთის მკეთებელს უკან არ უბრუნდება, მაგრამ ახლა ისეთი რამ დამჭირდა, რომ მეშინია, ვეღარ ვიყიდი, რადგან ძალიან ძვირია. გიორგის ჟანგბადის ელექტროაპარატი სჭირდება, რომელიც 2000 ლარი ღირს.

— **ამის ნუ გეშინიათ, დამხმარე უსათუოდ გამოჩნდება, მაგრამ თქვენც მეფიქრებით, ძნელია თქვენი ტვირთის ზიდვა.**

— იცით, ჩემი შვილი სიზმარში მესიზმრება და ის მახარებს. ჩემი გიორგი ულამაზესი იყო, მაგრამ მე ისეთი კი არ მესიზმრება, როგორიც იყო, არამედ ისეთი, როგორიც ახლა არის, ოღონდ ფეხზე წამომდგარი, მეუბნება, დედა, ნუ გეშინია, კარგად ვარო, თან ლოყებზე მჩქმეტს და მკოცნის, როგორც იცოდა ხოლმე.

**თიბისი ბანკი. ანგარიში:**
**GE95TB7679145061100041. მიმღები ირინა ქობულაძე;**
**ლიბერთი ბანკი. ანგარიში:**
**GE79LB0711196350689000. მიმღები გაგა მოდებაძე;**
**საკონტაქტო ნომერი: 557233233**

*ეთერ ერაძე*




# „სცენაზე გასვლის წინ ყველაფერს კულისებში ვტოვებ და მუსიკასთან პირისპირ ვრჩები“

*ცნობილი მომღერალი ოთო ნემსაძე ამჟამად მუსიკალური კონკურსის, „საქართველოს ვარსკვლავის“ მონაწილედ მოგვევლინა. როგორც ამბობს, მისთვის მთავარი გამარჯვებაა, რის შემდეგაც ევროვიზიის საერთაშორისო კონკურსზე საქართველოს სახელით სიმღერის პატივი ერგება. საკუთარი ცხოვრების დეტალებით ოთო ნემსაძე „კვირის პალიტრას“ ესაუბრა:*



— გორელი ვარ, რაღაც სხვანაირი ატმოსფეროა იქ, სხვანაირი ხალხი ცხოვრობს, პატარაა, მაგრამ ჩემი ყველაზე დიდი სიყვარულია. სამწუხაროდ, გორში აგვისტოს ომის დროს არაერთი ტრაგედია დატრიალდა. ბებია ოსი მყავს და დიდი დრო მაქვს გატარებული ცხინვალშიც, ახლომახლო სოფლებშიც, ნათესავებთან, რომელთაც დღეს ტელეფონით ვეკონტაქტები. მჯერა, შორს არ არის ის დღე, როცა ჩვენი ტერიტორიები დაბრუნდება.

— **როგორი ბავშვი იყავი?**

— ისეთი, როგორიც ყველა — ცელქი, მოუსვენარი.

მამა ეკონომისტი მყავს, დედა ინჟინერი. დედის დამსახურებაა, რომ მე და ჩემს ძმას მუსიკა შეგვიყვარდა.

— **რა პროფესიაზე ოცნებობდი?**

— პატარა რომ ვიყავი, თურმე სულ გავიძახოდი, პროკურორი უნდა გამოვიდე-მეთქი. კიდევ კარგი, მაგხელა პასუხისმგებლობა არ ავიკიდე, თუმცა საბოლოოდ არანაკლებ საპასუხისმგებლო პროფესიას დავეუფლე — მამაჩემის არ იყოს, მეც ეკონომისტი ვარ. რამდენიმე წელი ვიმუშავე ამ პროფესიით, 2009 წლამდე, ფინანსთა სამინისტროშიც, მერე კი ჩემს ცხოვრებაში გამოჩნდა მუსიკალური კონკურსი „ჯეოსტარი“, რომელშიც გავიმარჯვე.

— **მას შემდეგ რამდენ კონკურსში მონაწილეობდი?**

— პატარა პროექტებს არ დავასახელებ... 5 დიდი მეგაპროექტი იყო ჩემს კარიერაში: „ჯეოსტარი“, უკრაინის „ახალი ხმა“, „ბრავო“, „ერთი ერთში“, „1010“ და „საქართველოს ვარსკვლავი“. მთავარი პრიზი დავიმსახურე უკრაინაში, „ბრავოში“, „ჯეოსტარში“... „ერთი ერთში“, პრიზი ავიღე მეორე ადგილის გამო. მე ხომ უძრავი ქონებით მოვაჭრეს მეძახიან ხუმრობით, ხან მანქანას ვიგებ, ხან ბინას, ხან კიდევ რა ვიცი, რას...



— **კონკურსებში მონაწილეობის მიზანი რა იყო?**

— პროფესიული ზრდა. ჩემდა ბედად, ყოველთვის საუკეთესო მუსიკოსების ხელში ვხვდებოდი, ისინი დღეს უკვე ჩემი კოლეგები და მეგობრები არიან.

სცენაზე გასვლის წინ ყველაფერს კულისებში ვტოვებ და მუსიკასთან პირისპირ ვრჩები. ჩემთვის მუსიკა უპირველესია.

— **ამჟამად „საქართველოს ვარსკვლავში“ მონაწილეობ. ამ შემთხვევაში რა გაქვს მიზნად?**

— ევროვიზიაზე წასვლა. ყველაზე მასშტაბური მეგაპროექტი მსოფლიოში ევროვიზიაა.

— **ქართველი მომღერლებისთვის ევროვიზია არც ისე იღბლიანი კონკურსია. ფინალის შემდეგ ქართველი მონაწილეები ყოველთვის თავს იმართლებენ ხოლმე, პოლიტიკური კონკურსია და მარტო მუსიკალური მონაცემებით შორს ვერ წავიდოდითო.**

— მცდარია აზრი, თითქოს ევროვიზიას რაღაც ფორმატები აქვს. ჩემთვის სადაც მუსიკაა, იქ გადამწყვეტი არც პოლიტიკაა, არც სხვა რამ. ევროვიზიის ბევრი გამარჯვებული ვიცი, რომელთაც დამსახურებულად, მუსიკალური შესაძლებლობების გამო დაიმსახურეს აღიარება. არ ვამბობ, რომ აუცილებლად გავიმარჯვებ, მაგრამ თუ მომეცა იქ გამოსვლის შანსი, გპირდებით, გულგრილს არავის დავტოვებ. კონკურსების მოგება მთავარი არ არის, შეიძლება მე „ჯეოსტარი“ წამეგო, მაგრამ აქამდე მაინც მოვიდოდი.

— **„საქართველოს ვარსკვლავში“ ერთ-ერთი კონკურენტი შენი ძმაც იყო. რას გრძნობდით, როდესაც ოჯახის ორი წევრი ერთად იბრძოდით გამარჯვებისთვის?**

— რთული იყო არა მხოლოდ ჩემთვის, არამედ ჩვენი მშობლებისთვისაც.

— **ერთ-ერთ ინტერვიუში ხუმრობდი, ჩვენი ცოლები ჩვენს გულშემატკივრობაში ხოცავენ ერთმანეთსო.**

— ახლა ყველა ოთო ნემსაძეზეა მობილიზებული. ძნელია ჩემი აუტსაიდერებში დაყენება. მეექვსე კონკურსია, აუტსაიდერებში არ ვმდგარვარ.

— **ყველაზე შთამბეჭდავი და დასამახსოვრებელი შეფასება ვისგან მიგიღია?**

— ხალხისგან... ქუჩაში მხვდებიან და მეუბნებიან, გვიყვარხარო. დიდი მადლობა თითოეულს, უთქვენოდ ოთო ნემსაძე აქამდე ვერ მოვიდოდა.

*ეკა სალაღაია*


სკანვორდი ჟურნალ „კარუსელისგან“

უფრო მეტი სკანვორდი, კროსვორდი, თავსატეხი და საინტერესო ამბები იხილეთ შემეცნებით - გასართობ ჟურნალში




**თარაზულად:** 4. თავადაზნაურული მემკვიდრეობითი ტიტული დას. ევროპაში; 10. ფერმენტი, რომელიც შლის სახამებელს და ხელს უწყობს მის გარდაქმნას შაქრად; 11. ჰოლივუდის მსახიობი უაინონა ...; 12. ტვინის ზედა დანამატი — გირჩისებრი ჯირკვალი; 13. მოჩვენებითი რიხიანობა; 14. პერანგი ფართო, გადახსნილი საყელოთი; 15. ლიტერატურული ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი; 17. ხაზებით, შტრიხებით ხატვის ხელოვნება; 18. უდაბნო პერუში; 20. თვალის ფერადი გარსი; 21. სიბრძნის, მეცნიერების მფარველი რომაული ქალღმერთი; 24. აშშ-ის შტატი; 28. ბულგარელი ნათელმხილველი; 31. ერთგვარი წვრილი გვარლი; 32. ოხუნჯი, ხუმარა; 33. ფრანგული ეპოსის გმირი; 34. აეროსტატის ზედმეტი ტვირთი; 35. წარწერიანი ქვის ფილა.

**შვეულად:** 1. ფრანგული ვაზის ჯიში; 2. ათასჯერ ათასი; 3. ინგლისელი მოდელიერი; 4. ჩიტის „ციხე“; 5. ყალთაბანდობა; 6. ალმაცერი; 7. მტაცებელი თევზი; 8. ასოკირკიტა, ფორმალისტი; 9. დესპოტიზმი; 16. სახელმწიფო სამხ.-აღმ. აზიასა და ოკეანეთში, დედაქალაქია ჯაკარტა; 17. ფრანგებისა და ყოველივე ფრანგულის სიძულვილი; 19. მსხვილი და მოკლე სოსისი; 21. შუამავალი სავაჭრო გარიგებაში; 22. თამბაქოს მოსაწევი მოწყობილობა; 23. საკვების ნორმა გარკვეული ვადისათვის; 25. ეთეროვანი ზეთის შემცველი ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარე; 26. კავშირი, გაერთიანება; 27. კურორტი თურქეთში; 28. „... ზურგს, ... კურტანი მოუხდებაო“ (ანდაზა); 29. გიორგი სააკაძის მშობლიური სოფელი; 30. უმარტივესი, მიკროსკოპული ერთუჯრედიანი არსება.

## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 7. ამალა; 8. ავიზო; 9. ნარდი; 10. ატილა; 11. ყალიონი; 14. ამარტი; 17. რაბინი; 20. ფანდური; 21. კლანჭი; 22. ბრიყვი; 23. ასინეთა; 24. ბურატინო; 26. ტრიფონია; 27. ლუი; 28. სიბილა; 30. სტიქია; 31. რეიგანი; 33. ანტალია; 36. ეტალონი; 37. იბისი.

**შვეულად:** 1. კალანდა; 2. კალორია; 3. მაუდი; 4. პანდა; 5. ბიარიცი; 6. მონტაჟი; 11. ყიფიანი; 12. იადონი; 13. ირიბარი; 15. მოლაღური; 16. რენეგატი; 18. ბრისტოლი; 19. ნიველირი; 25. ოლქი; 26. ტიტა; 29. არბალეტი; 30. სიბარიტი; 32. გეა; 34. ტრაპი; 35. „ლეონი“.


გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი
გიორგი თევდორაშვილი

გამომშვები რედაქტორი
გიორგი კვიტაშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები:
ლია იაკობაშვილი; ნათია გორდელაძე
სარედაქციო კოლეგია

მის.: იოსებიძის ქ. №49
ტელ.: რედაქცია: 238-98-88 რეკლამა: 237-78-07
ფაქსი: 238-98-88

contact@kvirispalitra.ge
www.kvirispalitra.ge
სარეგისტრაციო ნომერი 1518
„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით
გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.

დაიბეჭდა სტამბა კოლორში

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ ინტერნეტით, ვებ-გვერდზე: www.elva.ge ან სატელეფონო შეკვეთის საშუალებით: (+995 32) 2 37 50 03; (+995 32) 2 38 26 74
ადგილზე მიტანა უფასოა!


„პალიტრამედიის“ ცხელი ხაზი
2 19 60 13; 2 19 60 53
ან მოგვწერეთ: 91110